PRIME Time

N40 (341) ორშაბათი, 12 ოქტომბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

სენსაციური პროექტი



ლაბორატორია, რომელიც კიბოს განკურნებაზე იმუშავებს თბილისში, აშენდება

ივანიშვილი დვალის მეგაპროექტს დააფინანსებს

სასიკვდილო მინარევები სპორტულ საკვებში

„შესაძლებელია, დაირღვეს ღვიძლის, თირკმლის ფუნქციები და სისხლის ტუტემჟავიანობა, რაც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს“

SCANDAL



აბაშიძე კარასინს ქართველი მზვერავების განთავისუფლებას სთხოვს

„მოლაპარაკების დეტალებზე ვერ გესაუბრებით“

თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში შეიარაღებულმა არასრულწლოვნებმა სცადეს შეპარვა

„პატრული გამოვიძახეთ, მოვიდა ეკიპაჟი, საგამოძიებო დაფიქსირეს და დააკავეს“

SCANDAL

ეჭსკლუზივი

თბილისის მერი საკადრო ცვლილებებზე, ოპოზიციაზე, კალაძის ცოლისძმასა და წინასაარჩევნო დაპირებებზე

PRIME Time EXCLUSIVE

„ოპოზიციის დამოკიდებულება ჩვენ მიმართ უმეტეს შემთხვევაში უსამართლოა“

ჰააგამ შესაძლოა, სააკაშვილი დაკითხოს

EXCLUSIVE

ირაკლი კობახიძე: „ნაციონალები ბინძურ მეთოდს მიმართავდნენ: კომპრომატებს, დაჭერებს... სრული ტერორი იყო...“

EXCLUSIVE

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია

საქართველოში ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობა დაიწყო

„ავერსი“ განგებ ქმნის დეფიციტს, რომ თავისი პროდუქცია გაასაღოს“

SCANDAL AVERSI წამლების სკანდალში ეხვევა

ირაკლი ბაგრატიონი საქართველოს სამეფო ტახტის კიდევ ერთი მემკვიდრე

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორია აუტიზმის სპექტრის მქონე ბა

EXCLUSIVE

გიორგი ურუშაძე

რამდენიმე დღის წინ, სამშვილიანი ოჯახი ნაქირავები სახლიდან იმის გამო გამოაგდეს, რომ ერთ-ერთი შვილი აუტიზმის სპექტრის მქონე ჰყავთ. ზოგისთვის ასეთი ბავშვები უცხო და განსხვავებულია, ის სხვა სამყაროს შვილია.

მაშ ასე, კეთილი იყოს შენი მობრძანება, იმ ადამიანების სამყაროში, რომლებიც შენ ასე გაფრთხობენ, არადა, სულ ტყუილად.

„ეს ის შემთხვევა, როდესაც მე თვითონ დავამსხვრიე ჩემს თავში სტერეოტიპი“ - ეს სიტყვები აუტისტური სპექტრის მქონე, 10 წლის გუგას დედას ეკუთვნის. ჩვენი მიზანიც ესაა. დავამსხვრიოთ სტერეოტიპები და მივიღოთ ისინი ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან.

დღეს არაა 2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე, მაგრამ ამ უკანასკნელი მიზნის მიღწევის დრო ნამდვილადაა. ილიას უნივერსიტეტის აუტიზმის ცენტში ჩემი მისვლა გაუკვირდათ, რადგან, როგორც წესი, ჟურნალისტებს ისინი მხოლოდ 2 აპრილს ახსენდებათ ხოლმე.

კეთილმოწყობილი ცენტრი პატარა არსებების თავშესაფარი და სკოლაა. მართალია, მათი ყურადღების მიქცევა რთულია, თუმცა, ეს მაინც შესაძლებელია.

ცენტრის ჰოლში, კედლებზე ნახატებს შეამჩნევთ. ისინი მათი პატარა სამყაროს გამოხატულებაა. მათ ინდივიდუალიზმს უსვამს ხაზს და არა, განსხვავებულობას.

იქვე მშობლებსაც შეამჩნევთ, რომლებიც შვილების თერაპიის დამთავრების მოლოდინში იცდიან. მათი სახეები განსხვავებულია. ზოგს ეშინია, ზოგი დამფრთხალია, ზოგი ჯერ კიდევ გაურკვეველია და არ იცის, რატომაა იქ. თუმცა მათ ერთი რამ - შვილის სიყვარული აერთიანებთ.

ხათუნა ავსაჯანიშვილი 10 წლის გუგას დედაა. მისთვის ის მეორე შვილია. ზუსტად 10 წლის წინ რომ გეკითხათ, რა იყო აუტიზმი, პასუხს ვერ გაგცემდათ, რადგან ამაზე წარმოდგენა ისევე არ ჰქონდა, როგორც საზოგადოების დიდ ნაწილს. თუმცა, ამასთან შეხება მოუწია. დიაგნოზის დასმის დღეები მისთვის უმძიმესი იყო. ეგონა ცხოვრება დამთავრდა და ამით, ჩამოეშალა ყველა ის გეგმა, რითაც შვილის ცხოვრების წარმართვას აპირებდა.

ხათუნა ავსანჯიშვილი:

„ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე თვითონ დავამსხვრიე ჩემს თავში სტერეოტიპი. ჩემს შვილს, სადღაც 3 წლის ასაკში დაესვა დიაგნოზი. ნევროპათოლოგმა როგორც ამიხსნა, ეს იყო საუკუნის დასასრული, გლოვა. წარმოიდგინეთ რა დღეში ვარდები მშობელი, როცა ასეთ ამბავს ისმენ. ნევროლოგმა მითხრა, რომ შენს ბავშვს სკოლაში ვერ წაიყვანო. როცა გყავს უფროსი შვილი, სად გქონდა თვალებიო. აქ მივხვდი ჩემს „დანაშაულს“, რომ მე რაღაცა დავაშავე, ძალიან დიდი, თუმცა ვერ ვხვდებოდი რა. მეგონა, რომ დასრულდა ცხოვრება. მერე გავიკითხე და გამოვიკვლიე, ძალიან შორს ვიყავი მედიცინისგან და გაგონილიც კი არ მქონდა ამ პრობლემის შესახებ. მერე გავარკვიე, რომ აუტიზმი არ იკურნება, შეიძლება გამოვიდეს ბავშვი მდგომაროებიდან, მაგრამ რაღაცა ნიშნებს მაინც ტოვებს. შეიძლება გარე პირმა ვერ შეატყოს, მაგრამ სპეციალისტი მაინც მიხვდება. ეს არის ყველაზე კარგი ვარიანტი, როცა ბავშვი გამოდის აუტიზმიდან. მაგრამ აუტიზმი მას არ ტოვებს და არის მისი ერთგული მეგობარი. მე ვისწავლე აუტიზმთან ერთად ცხოვრება. რაღაც ეტაპზე ხვდები, რომ დედა თუ დაეცა, მაშინ ეცემა შვილიც“.

„საზოგადოებრივი ტრანსპორტი ავიკრძალე, იძულებული ვარ, რომ ტაქსით წავიყვანო“

დიაგნოზის დასმა გართულდა, რადგან აუტიზმის მქონე სპექტრის ბავშვებს ვიზუალზე არაფერი ეტყობათ ხოლმე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დედა არაა ინფორმირებული ასეთი დაავადების არსებობის შესახებ. თანაც, საქართველოში ამ დაავადების მკურნალობის პრაქტიკა თითქმის არ არსებობდა.

ხათუნა ავსაჯანიშვილი:

„ჩემი ეჭვები გააჩინა იმან, რომ არ ლაპარაკობდა. საკუთარი სახელი არ ესმოდა და არ რეაგირებდა. რაღაც პერიოდი ყურის ანთება ჰქონდა და ამის ბრალი მეგონა, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ 100 %-იანი სმენა ჰქონდა. მაშინ კი მითხრეს, რომ მე დედა არ ვარ და საძაგელი ადამიანი ვარ. არ დამავიწყდება ის დღე, გამოვედით ჰოლში და წავიქეცით, მე და ჩემი შვილი. ეს იყო შოკი და სტრესი. შემდეგ მე გავფრინდი გერმანიაში, იქ მითხრეს, რომ ეს არის გამონაკლისი ფორმა, მაგრამ ეს არის უდავოდ აუტიზმი. გერმანიაში, ექიმმა მითხრა, რომ არც ერთი დღე ABA-ის გარეშე.

ABA – თერაპია - ეს არის ქცევის გამოყენებითი ანალიზის მიდგომაზე დაფუძნებული საგანმანათლებო მოდელი. ერთადერთი თერაპია, რომელსაც სამეცნიერო მტკიცებულება აქვს და რომელიც სხვა უნარებს შორის სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას უწყობს ხელს. სწორედ ამ პროგრამით ხდება სნავლება ილიაუნის აუტიზმის ცენტრში.

აუტიზმის ცენტრის დირექტორი, თავადაც აუტისტური სპექტრის მქონე 10 წლის ნიკოს მშობელია. იგი თავდაპირველად დაავადებასთან გამკლავებას აშშ-ში ცდილობდა. სწორედ იქ გაიგო, საოცარი პროგრამა ABA-ს შესახებ და ამის შემდეგ, მისი დანერგვა საქართველოშიც გადაწყვიტა.

სოფიო კერესელიძე:

„ერთი ნლის განმავლობაში ვიყავით ცენტრალური კალიფორნიის შტატში. საქართველოში კი, კითხვის ნიშნის ქვეშ ჰქონდა დასმული დიაგნოზი. ქალბატონმა თამრიკო გაგოშიძემ დაუსვა ეს დიაგნოზი. მაგრამ წარმოდგენა, რა მდგომარეობაა ეს, რას მოიცავს, არ გვქონდა და მგონი ახლაც არ ვიცით, რა ფენომენთან გვაქვს საქმე. იქ, ჩემი ქმრის უნივერსიტეტში, სადაც ჩემი მეუღლე ლექციებს კითხულობდა, აღმოჩნდა, რომ არსებობს ABA აუტიზმის ცენტრი და იქ დავიწყეთ სიარული. დავრწმუნდით, რომ ძალიან ეფექტური იყო ეს პროგრამა, დღის განმავლობაში 8 საათი მეცადინეობდა. მაშინ ნიკო 3-4 წლის იყო. ერთ თვეში, ბავშვს, რომელსაც რეაქცია არ ჰქონდა, ასაფეთქებელი რომ აგეფეთქებინა ზურგს უკან, უცბად კონტაქტური გახდა, ხელის აწევა, პასუხების გაცემა დაიწყო. სამწუხაროდ, მაშინ არ გვქონდა წარმოდგენა აქ არსებულ რესურსზე, როდესაც აქ ჩამოვედით, გადავწყვიტეთ შეგვექმნა არასამთავრობო ორგანზიაცია, რომელიც ფოკუსირდებოდა, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების პრობლემებზე და მათ მოგვარებაზე. ასე დავიწყეთ 2009 წლის 9 სექტემბერს“.

ცენტრს მაქსიმუმ 14 წლამდე ბავშვების მიღება შეუძლია. ამის შემდგომ უკვე სხვა პრაქტიკა და გამოცდილებაა საჭირო. თუმცა, სოფიო კერესელიძის თქმით, ამაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ცენტრში ამჟამად 70-მდე ბავშვი დადის. ბავშვების რაოდენობა ამხელა ნიშნულს მაშინ მიუახლოვდა, როდესაც 2015 წლის სექტემბერში, თბილისის მერიამ აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების მკურნალობის დაფინანსება დაიწყო. მათ თვეში 20 შეხვედრა უნაზღაურდებათ. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო ამ ბავშვების ბედით დაინტერესდა, თუმცა პრობლემები ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

ხათუნა ხალთაძე ორი შვილის დედაა. ორივე მათგანი აუტიზმის სპექტრის მქონეა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს დროს ზუსტად ჰქონდა გააზრებული შვილების მდგომარეობა და აუტიზმის არსი, თავის დროზე, დიდი ტრავმა გადაიტანა. პროფესიით პედიატრმა სამუშაო მიატოვა და მთელი თავისი ცხოვრება შვილებს მიუძღვნა.

ხათუნა ხალთაძე:

„პირველ ბავშვთან დაკავშირებით კარგა ხანს ვერ მივხვდი. ეს კარგა ხანი, დაახლოებით წელინად-ნახევარი გაგრძელდა. მეორე რომ ყოფილიყო, უფრო ადვილად მივხვდებოდი. თავიდან დავფიქრდი, რომ რაღაც რიგზე არ იყო, მერე ბევრ ექიმთან ვიარე. სამწუხაროდ, დიაგნოსტიკა თავის სიმაღლეზე არ იყო და ჩვენი მდგომარეობის შესახებ ვერაფერი ვერ მითხრეს. მეორე ბავშვს რაც შეეხება, უკვე ერთი წლიდან მივხვდი, რომ რაღაც რიგზე არ იყო. მაგრამ მეორედ ამ ყველაფრის მოსმენა და გაანალიზება ძალიან რთული იყო. მეორედ დადასტურებული ეჭვი, კიდევ ერთი დიდი საშინელება იყო. მე სულ ვამბობ, ჩვეულებრივი ბავშვები, დაახლოებით, ნლინახევრის ასაკიდან, ბევრ რამეს მარტივად ითვისებენ. ჩვენ კიდევ თვეები და ნლები გვჭირდება ბავშვს რაიმე რომ ვასწავლოთ. ისეთი მარტივი რაღაცები, როგორიცაა, ეს ვაშლია, ეს მსხალია, ჩვენთვის სასწავლებლად დიდ დროშია გაწერილი. ის რასაც, პატარა ბავშვი თავისი ნათელი გონებით ითვისებს, ოჯახური ურთიერთობებით, ჩვენ მაგისთვის განუზომელი შრომა გვჭირდება. თუნდაც ასეთი ჩვევები ავიღოთ, ხელი როგორ უნდა დაიბანოს და რა ვიცი, ნებისმიერი რამ. შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია სპექტრი. იმიტომ ჰქვია ამ ყველაფერს სპექტრი, რომ ვიღაცა ცოტა დაბალ საფეხურზეა, ვიღაცა უფრო მაღალ საფეხურზე. ალბათ, ესაც, ჩვენგან დამოუკიდებლად, თავიდანვე განსაზღვრულია.

„სკოლა ძალიან მძიმე თემაა, მასწავლებლები არ არიან გადამზადებულები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ - ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘ�პᲔᲑᲡ ᲛᲘᲚᲓᲛᲐ

მშობელი: „ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე თვითონ დავამსხვრიე ჩემს თავში სტერეოტიპი“

„თვეები და წლები გვჭირდება ბავშვს რაიმე რომ ვასწავლოთ“

ხათუნა საზოგადოების დამოკიდებულებაზეც საუბრობს. მისი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური ამ რეალობაში ხალხი და კონკრეტულად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოვლენილი დამოკიდებულებაა. საზოგადოების ნაწილი ფლობს ინფორმაციას, თუმცა მიმღებლობის დონე ძალიან დაბალია.

ხათუნა ხალთაძე:

„იცით როგორ იყო, იყო წლები, როცა ბავშვის დაბადების დღეს თან მილოცავდნენ, თან ტიროდნენ. ყველას გვქონდა ეს შოკი, მიუღებლობა. მერე მეგონა, რომ მე კი დამემართა ასეთი რაღაც, მაგრამ მე შევძლებ, ამას შევებრძოლები-მეთქი, აი, მე ჩემს შვილს გამოვაჯანმრთელებ-მეთქი. ანუ, სანამ არ დადგა ის ეტაპი, რომ ჩვენ ეს ბავშვი ისეთი მივიღეთ, როგორიც არის, მანამდე გვქონდა ძალიან დიდი ბრძოლები. მერე მქონდა დიდი მონოლოგი ოჯახში, რომ ეს ბავშვი ილაპარაკებს, ვერ ილაპარაკებს, ადაპტირდება, ვერ ადაპტირდება, მაინც ხომ ჩემი შვილი იქნება, მე ეს ბავშვი ასეთი მიყვარს და სულ მეყვარება. ამ ჩემი გამოსვლის შემდეგ, ცოტა უფრო გამოსწორდა ვითარება. რაც შეეხება საზოგადოებრივ ტრანსპორტს. აი, მაგალითად, ჩემს შვილს უნდა ავტობუსში რომ ავა, ერთი და იგივე ადგილზე, ერთი და იგივე მხარეს დაჯდეს და თუ ის ადგილი არ არის თავისუფალი, იწყებს ტირილს. ხალხი ვერ ხვდება რატომ ტირის. იმიტომ რომ, ბავშვი ჰაბიტუსით აბსოლუტურად ნორმალურად გამოიყურება. ამბობენ, დედამ ვერ გაზარდა ეს ბავშვი, რა ხდებაო და მოკლედ, ხალხი აპროტესტებს. მე უკვე გამომიმუშავდა პირობითი რეფლექსივით, სანამ ვინმე რამეს იტყვის, მე თვითონ ვთხოვ ხოლმე, რომ თუ შეიძლება ადგილი გაუცვალოთ და აქ დასვათ“.

აი, ასეთია საზოგადოების სახე, რომელსაც მშობლები გვიხატავენ. თუმცა, მთავარი პრობლემების რიგს სკოლა ემატება. არასაკმარისი სპეც. პედაგოგები და მასწავლებლები, რომლებსაც ხშირად წარმოდგენაც არა აქვთ აუტიზმის შესახებ.

აი, რას ამბობენ მშობლები სკოლაში შექმნილი სიტუაციის შესახებ:

ხათუნა ავსაჯანიშვილი:

„სკოლა ძალიან მძიმე თემაა, მასწავლებლები არ არიან გადამზადებული. ბავშვი ხშირად გაკვეთილის პროცესის მიღმა რჩება და არ არის ჩართული სასწავლო პროცესში“.

ხათუნა ხალთაძე:

„სამწუხაროდ, ინკლუზიური სწავლება ჩვენზე მორგებული არ არის და ძალიან ბევრია სამუშაო. მასწავლებლების შემთხვევაში, პიროვნებაზეა დამოკიდებული. უნდა გაგიმართლოს. ასე არ უნდა იყოს, რატომ უნდა იყოს ჩემი შვილის ბედი გამართლებაზე დამოკიდებული. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ერთ შვილს უფრო გაუმართლა, ვიდრე მეორეს. მიჩნდება უსამართლობის გრძნობა. თუნდაც, მან არ განიცადოს, ვერ იგრძნოს მასწავლებლის ასეთი დამოკიდებულება, ელემენტარულად, ასეთი მასწავლებელი არ ჩართავს სასწავლო პროცესში. ნორმალურ ქვეყნებში ამ ბავშვებს ჰყავთ, მასწავლებელი აჩრდილი, ანუ გარდა იმისა, რომ კლასს ჰყავს თავისი მასწავლებელი, ამ ბავშვებს ჰყავთ თავისი მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ მათთან მოძრაობს, მთელი დღის განმავლობაში. საქართველოში სკოლაში ფსიქოლოგი 6 ბავშვზე ერთია გამოყოფილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ყველა სკოლაში ასე არ არის“.

საკუთარი შვილის შესახებ კიდევ ერთი რესპონდენტი გვესაუბრება. ქალბატონმა გარკვეული მიზეზების გამო ვინაობის გამხელა არ ისურვა. თუმცა, ის პრობლემები, რაც მის გარშემოა, ნათლად წარმოგვიჩინა.

მშობელი:

„საზოგადოებრივი ტრანსპორტი ავიკრძალე, იძულებული ვარ ტაქსით წავიყვანო და მოვიყვანო. შეიძლება სამარშრუტო ტაქსში, რაღაცა ხმა გამოსცეს, ან შეიძლება მულტფილმიდან რაღაცა ფრაზა თქვას, ან გაეცინოს იმ ფრაზაზე, რომელსაც ამბობს. ეს შემოხედვა და ეს მზერა ხალხის, არის კოშმარი. არაინფორმირებულებას ვერ დავაბრალებ, ეს ფაქტორი იმდენად აღარ არის. თუ ადამიანი ტელევიზორს უყურებს, უნდა იცოდეს უკვე.

მე არასდროს არ დამიმალავს და არასდროს ჩამიკეტია, ყველგან დავდივართ. ასე რომ, ძალიან კარგი იქნებოდა თუ დაგვანებებენ თავს“.

ბავშვების შესახებ, მათი ყოველდღიური მეგობრები, ცენტრის თერაპევტებიც გვესაუბრებიან.

ლიდერ-თერაპევტი, ხატია ტაბატაძე: „ეს ბავშვები არიან თბილები და მშვენივრად არეგულირებენ სიტუაციას. ისინი საკმაოდ კარგად პროგრესირებენ, თითოეულ მათგანს ინდივიდუალურ პროგრამას ვუდგენთ და ამ პროგრამის მიხედვით ხდება ბავშვთან მუშაობა“.

„ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲐᲜ ᲛᲘᲚᲝᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲗᲐᲜ ᲢᲘᲠᲝᲓᲜᲔᲜ“

მშობლები, საზოგადოება, ცენტრი და თავად ბავშვები იმ რეალობას ქმნიან, რომელიც ბევრისთვის დღემდე უცნობი იყო. აუტიზმი - არ არის გარესამყაროს ნაწილი. აუტიზმის მქონე ბავშვები, ისეთივე ბავშვები არიან, როგორებიც, სხვა დანარჩენნი. უბრალოდ, მათი მგრძნობელობა, მათი სამყარო, ისეთ რამეებზეა კონცენტრირებული, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია. მთავარი ერთია, სტერეოტიპული დამოკიდებულება არასწორია! მივიღოთ ისინი ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან! დანარჩენზე კი, ფოტოები იმეტყველებენ!

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

გაიცანით, ეს ირაკლი ბაგრატიონია - საქართვე

„ჩვენ არ გვჭირდება სასაზღვრები და ფუფუნება“

გიორგი ურუშაძე

ის ბაგრატიონ-მუხრანელია. სწორად შენიშნეთ, ქართული სამეფო გვარის შთამომავალი. მართალია, თავად მეფობა არ წამოუდგენია, თუმცა მეფეებთან ნათესაურ კავშირს ვერ გაექცევა. დაიბადა რუსთავში და იქვე გაიზარდა. ჩვეულებრივი, საბჭოთა ბავშვობა ჰქონდა.

„პატარა ხულიგანი ვიყავი და გააზრებული არც მქონდა, ჩემი წარმომავლობა. უბრალოდ, მახსოვს ჩემი ოჯახის დამოკიდებულება. ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ მე სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავი და სხვებისთვის მაგალითის მიმცემი უნდა ვყოფილიყავი. ისტორიის მასწავლებელი ამბობდა, აი, ახლა ირაკლის ნათესავების ისტორია უნდა ვისწავლოთო...“.

პურის რიგებიც ახსოვს და ის ქართული რეალობაც, რომელშიც უწევდა ცხოვრება. მერე რა, რომ კონსტანტინე II-ის შთამომავალია. მეფური სისხლი საბჭოთა კავშირში ვიზად არ გამოდგებოდა. დედა – ალბინა საფრონოვა, მამა კი მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელი გახლდათ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ჩვენი შეხვედრაც სწორედ მამამისის საფლავზე, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში შედგა.

უცნაურია, მაგრამ აქამდე არავის გახსენებია. მიუხედავად იმისა, რომ მისმა ოჯახმა საქართველოში დარჩენა ამჯობინა, დღემდე კულისებს მიღმა იდგა. განხვავებით ცნობილი ბიძაშვილებისგან, უგო და დავით ბაგრატიონებისგან, რომლებიც ქართულმა საზოგადოებამ კარგად გაიცნო.

პროფესიით IT სპეციალისტია და ერთ-ერთ წარმატებულ კომპანიაში მუშაობს. ქართველი პრინცი ჯერჯერობით დასაოჯახებელია და გულისსწორს ელოდება. როგორც გავიგეთ, მისთვის გოგონას გვაროვნულ წარმომავლობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი სიყვარულია.

ქალებზე: „ადრეულ ასაკში გარეგნობას ვაქცევდი ყურადღებას. ზოგი ძალიან ლამაზია, მაგრამ ორ სიტყვას რომ იტყვის, წარმოდგენა დაგეკარგება. ადამიანთან ურთიერთობა, კონტაქტი უნდა მოგინდეს. ამის მერე უკვე გაგრძელდება ურთიერთობა.

პირდაპირ რომ გითხრა, მე ქალის წარმომავლობას არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. რა თქმა უნდა, თუ ლამაზი, განათლებული, საინტერესო და ამავდროულად დიდგვაროვანი იქნება, იდეალური ვარიანტია. თუმცა ეს არ არის მნიშვნელოვანი.

მეფობა, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა ამაზე ფიქრის რეალური საფუძველი ჯერ არ მისცემია. თანაც, როცა ამ თემაზე იყო საუბარი, რატომღაც, მისი კანდიდატურა კი არა, დავით ბაგრატიონის და შემდეგ უკვე მისი შვილის კანდიდატურა განიხილებოდა. არადა, საგვარეულო შტოს მიხედვით, მასაც იგივე უფლებები ჰქონდა, რაც დავითს. ისინი ალალი ბიძაშვილები არიან. ამ ყველაფერზე ლეგიტიმური კითხვები ჰქონდა, თუმცა იმის გამო, რომ იმ პერიოდში მეფობის აღდგენა არარეალურად მიაჩნდა, პროტესტი არ გამოუხატავს.

დავით ბაგრატიონსა და მეფობაზე: „კი კითხვები იყო, თუმცა ვხვდებოდი, რომ ჯერ ამის დრო არ იყო. ზოგადად, საქართველოში უცხოეთში მცხოვრებებს უფრო ვაფასებთ ხოლმე, ვიდრე აქ მცხოვრებებს. ეს ასე იყო და არც ახლა იცვლება. მე აქ ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემით ჟურნალისტები, ტელევიზია, არავინ დაინტერესებულა“.

მეფობის აღდგენაზე უფიქრია, თუმცა არა იმ კონტექსტში, როგორც ეს ხალხს წარმოუდგენია. მისი აზრით, არ არის აუცილებელი სამეფო კარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს.

მეფობაზე: „ეს უკვე ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ნათელი მაგალითი არის ლუქსემბურგი. ეკონომიკური სიტუაცია ამ ქვეყანაში იყო ძალიან კარგი და ხალხმა გადაწყვიტა, მოდი დავაბრუნოთ ჩვენი ძველი სამეფო დინასტიაო. შეარჩიეს გვარში უფროსი და ასე აღდგა მეფობის ინსტიტუტი. რა თქმა უნდა, ჩვენს გვარში ამაზე საუბარი ყოფილა, თუმცა ყველაფერი ხალხის ნებაზეა დამოკიდებული. რატომღაც ხალხს ჰგონია, რომ თუ მეფობა აღდება, აუცილებლად სახელმწიფო ბიუჯეტზე დავჯდებით და სწორედ ეს იწვევს აგრესიას. არადა, სრულიად შესაძლებელია ამის გარეშეც. ჩვენ არ გვჭირდება სასაზღვრები და ფუფუნება“.

დავით ბაგრატიონისა და ანა ბაგრატიონ-გრუზინსკის ქორწინებაზეც თავისი აზრი აქვს. ეს პატრიარქის ინიციატივა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაამართლაო.

დავითისა და ანას ქორწინებაზე: „ბაგრატიონებში კამათი, რომ არ ყოფილიყო ტახტზე, პატრიარქმა გადაწყვიტა, რომ თუ თანახმანი იქნებოდნენ, ეს გარიგება - დავითისა და ანას ქორწილი შემდგარიყო. ერთი პერიოდი ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც საჭირო იყო. მერე, შიგნით რა მოხდა, ეს უკვე არ ვიცი.

დავითისა და შორენას სიყვარულის ისტორიაც არ გამოჰპარვია. მით უმეტს მაშინ, როცა ეს მთელი ქვეყნის ნომერ პირველი საჭორაო ამბავი იყო“.

შორენასა და დავითის ურთიერთობაზე: „მე ვფიქრობ, რომ დავითს შორენა ჩვეულებრივად დაევასა. არა მგონია, რაიმე სერიოზული ყოფილიყო. ფიზიკურად შორენა ძალიან ლამაზი ადამიანია. არა მგონია, შორენასა დავითს შორის ქორწინებამდე მისულიყო საქმე. მე ზუსტად არ ვიცი მათი ამბები და ამაზე საუბარი უხერხულიცაა“.

ირაკლი ბაგრატიონმა მეფობის ინსტიტუტის აღდგენაზე ერთი საინტერესო დეტალი და პატრიარქის დამოკიდებულებაც გაგვიმხილა.

მეფობის ინსტიტუტსა და პატრიარქზე: „ერთხელ, ილია მეორემ, ჩვენთან შეხვედრისას, ასეთი რაღაც თქვა. თქვენ იბრძვით სტატუსზე და რატომ არ ფიქრობთ, რომ ამ მდგომარეობაშიც შეგიძლიათ ქვეყნის დახმარებაო და ვფიქრობ, ეს სიმართლეა. ამის შემდეგ საუბარი იყო, რომ ყველა სამეფო წარმომავლობის ადამიანების შვილები უნდა გაიზარდონ ეკლესიაში და მერე, მათ შორის ვინც ყველაზე ჭკვიანი და გამორჩეული იქნება, სწორედ ის გახდება მეფე. ეს, უბრალოდ, იდეის დონეზე იყო“.

კითხვაზე, წამოაყენებს თუ არა საკუთარ კანდიდატურას, იმ შემთხვევაში თუ მეფობის აღდგენაზე წავიდა საუბარი, პასუხი შემდეგია: „ჯერ არ ვიცი, თუმცა არ გამოვრიცხავ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

„მე აქ ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემით ჟურნალისტები, ტელევიზია, არავინ დაინტერესებულა“

„არა მგონია, შორენასა დავითს შორის ქორწინებამდე მისულიყო საქმე“

კონსტანტინე II-ის შთამომავალი, საქართველოში შექმნილ ვითარებაზეც საუბრობს და მას ეკონომიკურ ჭრილში მომოიხილავს.

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე: „ძალიან რთულ ვითარებაში ვართ. ეს არა მარტო საქართველოში ხდება, არამედ სხვაგან. უბრალოდ, ჩვენი ხალხი ვერ ხვდება, რატომ არის საქართველოში ასე. უბრალოდ, ჩვენთან უფრო რთულია, იმიტომ რომ, საქართველოში ძალიან ცოტა წარმოებაა. ექსპორტზე ძალიან ცოტა პროდუქტი გადის და ფული არ შემოდის. მხოლოდ ტურიზმს მოაქვს თანხები“.

ირაკლი ბაგრატიონი მსოფლიო სამეფო შტოების სხვადასხვა კრებასაც ესწრება ხოლმე. ჩვენ დავინტერესდით, რამდენად იცნობენ, სხვა ქვეყნის დიდგვაროვნები საქართველოს და რა წარმოდგენები აქვთ ჩვენზე.

უცხოელები საქართველოზე: „საქართველო, რა თქმა უნდა, იციან. ადრე, პირველი რეაქცია იყო, შევარდნაძე. გერმანიის მხრიდან იცნობდნენ. მერე უკვე მიშას გაიძახოდნენ. სულ ტელევიზორშია და როგორ არ გვეცოდინებაო. აი, დღევანდელი მთავრობა არ იციან. უბრალოდ, ასეთ შეხვედრებზე, ძირითადად რელიგიაზე და პოლიტიკაზე არ საუბრობენ ხოლმე“.

ტრადიციები მისთვის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ისინი ქართული სულის მატარებლები არიან. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა ტრადიცია არაა მოსაწონი.

ტრადიციები: „რეალურად, ტრადიციები საჭიროა. ამ ყველაფერს შენარჩუნება უნდა. ტრადიციას თავისი სული აქვს. მე არ ვამბობ, რომ ყველა ტრადიცია კარგია. ჩვენ სკოლაში რეალური ისტორიის 10 პროცენტს ვსწავლობდით. ბევრი რამ ჯერ კიდევ არც ვიცით“.

ისტორია იქით იყოს და აგერ თურმე, საქართველოში მცხოვრებ ბაგრატიონს არ ვიცნობდით. თუმცა, ეს შეცდომა გამოსწორებულია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით ნარმანია: „ჩვენი მ
მოწესრიგებაა და არა პო

„ჩვენი ამოცანა არჩევნებში ღირსეული გამარჯვებაა. მე, როგორც ამ პოლიტიკური გუნდის წევრი, ამ პასუხისმგებლობას ვგრძნობ

EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

ოპოზიციის ძირითადი სამიზნე კანცელარია და მერიაა.

საარჩევნო მარათონი იწყება და გამარჯვებისთვის მობილიზებული პოლიტიკური ძალები შეეცდებიან, რაც შეიძლება მეტი სკანდალი ააგორონ.

ამჯერად ოპოზიცია იმ საკადრო ცვლილებების გამო ახმაურდა, რომელიც ბოლო რამდენიმე თვეა, მერიაში ხორციელდება.

მერიაში უკვე რვა პოზიციაზეა ვაკანსია გამოცხადებული. ოპოზიცია კორუფციასა და კრიზისზე საუბრობს, თბილისის მერიაში კი გაკეთებული საქმეების გრძელი სია აქვთ.

დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ ბატალიებში მას არაფერი ესაქმება. მისი აზრით, მერი ქალაქის განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. როგორც ჩანს, ეს მისთვის ღირსების საკითხია. ყველა პრობლემას იცნობს, ყველა საკითხზე ინფორმაციას ფლობს და აჟიოტაჟსა და აგორებულ სკანდალს ხელოვნურს უწოდებს.

– მნიშვნელოვანია, საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ. მართლაც, იყო ჩვენთან რიგი პოზიციები, სადაც კონკრეტული ადამიანები მოვალეობის შემსრულებლები იყვნენ. ერთწლიანი ვადა უკვე ამოინურა, შესაბამისად, მათ პოზიციებზე კონკურსი გამოცხადდა. რაც შეეხება ორი საქალაქო სამსახურის უფროსის პოზიციას – კეთილმოწყობისა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურების პირველ პირებს, მათ თვითონ დაწერეს განცხადებები წასვლაზე, ეს მათი პირადი გადაწყვეტილება იყო ჩემთან კონსულტაციების შემდეგ. ორივე მათგანთან მქონდა შეხვედრა და საუბარი...

– მძიმე საუბარი გქონდათ?

– არა, ჩვეულებრივი და ადამიანური. მე ვიტყოდი, რომ ეს უფრო კონსულტაციები იყო.

რაც შეეხება საჯარო სამსახურიდან წასვლას, საჯარო მოხელე ადრე მეც ვიყავი და მაშინ საჯარო სექტორის დატოვების გადაწყვეტილება თვითონ მივიღე. მას შემდეგ დიდი ხნის მანძილზე მხოლოდ კერძო სექტორში ვიყავი დასაქმებული. ეს დიდი ხნის წინათ იყო, 13–15 წლის წინათ, როცა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ვმუშაობდი. ასე რომ, ასეთი გადაწყვეტილებაც შეიძლება მიიღო, როცა არ გსურს სამსახურში დარჩენა ან ხელმძღვანელი გირჩევს წასვლას. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, მეორესთან ადგილი ნამდვილად არ გვქონია.

– და მაინც, როცა წასვლაზე მსხვილი სამსახურების უფროსის განცხადებებს აწერდით ხელს, ეს თქვენთვის გადაცდომების, შეცდომების, გამოუცდელობისა თუ კორუფციული ნიშნების გამო მიღებული გადაწყვეტილება იყო?

– კვალიფიკაციასთან და დაკისრებული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, არსებითი პრეტენზიები არ მქონია. თუმცა, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, სამსახურებისგან უფრო მეტ მოქმედებასა და გადაწყვეტილებების დროულად მიღებას ვითხოვ და ეს ყველა სამსახურზე ერთნაირად ვრცელდება.

– შეიძლება ითქვას, რომ თქვენი საკადრო პოლიტიკა ხარვეზებს შეიცავდა?

– რატომ?

– საუბარი ხომ, უბრალოდ, რვა თანამდებობის პირზე არ არის, თანამდებობები საკვანძო სამსახურების ხელმძღვანელებმა დატოვეს...

– როგორც უკვე გითხარით, ყველა არ წასულა. ზოგს, როგორც გითხარით, მოვალეობის შემსრულებლის ვადა ამოეწურა. აქედან გამომდინარეა მათი თანამდებობები ვაკანტურია და გამოცხადებულია კონკურსები. მათაც შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობა.

რაც შეეხება გუნდს, რომლითაც ჩვენ თბილისის მერიაში მოვედით, გუნდის ძირითადი ნაწილი მუშაობს. მერია საკმაოდ დიდი სტრუქტურული ერთეულია და რამდენიმე ადამიანის ცვლილება საერთო სურათს არ ცვლის და სერიოზულ გავლენას არ ახდენს. აჟიოტაჟი, რომელიც ატყდა და ისმის, ოპოზიციის მიერ ხელოვნურად არის აწეული, რაც სხვებმაც აიტაცეს... სხვათა შორის, მედიის წარმომადგენლებს მოვუწოდე კიდეც და ვთხოვე, მოსულიყვნენ და თავად ენახათ, როგორ მუშაობენ მერიის სამსახურები ხშირად გვიანობამდე.

– შეიძლება ასეც არის და მერიის ცალკეული სამსახურები, როგორც აღნიშნეთ, გვიანობამდე მუშაობს, თუმცა, როცა ქუჩებში სხვადასხვა პრობლემებს აწყდები, აყრილ ასფალტს, მაგალითად, ან ნაგავს...

– ქალაქში ნაგვის ურნების პრობლემა ნამდვილად არ არის. ჩვენ სამი ათასზე მეტი ნარჩენების კონტეინერი შევიძინეთ და დავარიგეთ, ისევე როგორც პრობლემა არ არის საგზაო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით. გარდა იშვიათი გამონაკლისებისა. ასეთ შემთხვევაში კი, თუ კონტრაქტორი ფირმები ჯეროვნად ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, მათთვის აუცილებლად ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და, შესაბამისად, ისინი ჯარიმდებიან. ჩვენ მაქსიმუმს ვაკეთებთ იმისთვის, რომ, თუკი სადმე რაიმე უწესრიგობაა, დროულად აღმოიფხვრას. მათ შორის არა მხოლოდ საგზაო სამუშაოებთან დაკავშირებით, არამედ სხვა კეთილმოწყობით ღონისძიებებთან დაკავშირებითაც.

– ხშირად რაიმე სახის პრობლემების დროს ამბობენ, რომ შეფერხება ტენდერს უკავშირდება. არ ფიქრობთ, ტენდერების ან გამარტივებას ან კონტრაქტორი ფირმებისთვის ჯარიმების გამკაცრებას?

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოქმედი კანონმდებლობის დაცვა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია ის, რომ კანონმდებლობასთან ერთად გვქონდეს სათანადო მონიტორინგი, რათა დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხი დავაყენოთ, ან შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დავაკისროთ. მერიის მხრიდან მთავარი ისაა, რომ დროულად მომზადდეს პროექტები, დროულად ჩატარდეს ტენდერები. იქ, სადაც გადაუდებელი აუცილებლობაა, მოქმედი კანონმდებლობა გვაძლევს პირდაპირი კონტრაქტების გაფორმების საშუალებასაც. ეს მთიანად ღია და გამჭვირვალე პროცესია.

ძალიან მნიშვნელოვანია მონიტორინგის ფუნქციაც. არასდროს ისე ეფექტურად არ მუშაობდა თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია, როგორც ეს ახლა ხდება. ადრე არასდროს მოწმდებოდა ჩატარებული სამუშაოები სადარბაზოებში ან სახურავებზე, როდესაც ამხანაგობების მეშვეობით გამგეობიდან უამრავი დაფინანსება გაიცემოდა. წელს ჩვენ პირველად, იანვრიდან გავაძლიერეთ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია და ამხანაგობების მიერ შესრულებული პროექტებიც კი მოწმდება, რომ აღარაფერი ვთქვა ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და პროგრამებზე. მაგალითისთვის, წყნეთის გზა, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩაიდო ქალაქის ბიუჯეტიდან, ხარისხიანად არის გაკეთებული, ხარისხიანად არის გაკეთებული თამარაშვილი და სხვა სამუშაოები. ჩვენ ლაბორატორიულ სინჯებსა და ნიმუშებს ვიღებთ და ჩატარებულ სამუშაოებს ვამოწმებთ. მხოლოდ ლაბორატორიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში ვახდენთ კომპანიებთან საბოლოო ანგარიშსწორებას. თუ ხარვეზებია, გვქონდა ასეთი შემთხვევა, რამდენიმე კომპანიას გზის საფარი მოვახსნევინეთ და თავიდან დავაგებინეთ. არ იყო ხარისხიანად გაკეთებული. მონიტორინგს მომავალშიც გავაგრძელებთ.

„არასდროს ისე ეფექტურად არ მუშაობდა თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია, როგორც ეს ახლა ხდება. ადრე არასდროს მოწმდებოდა ჩატარებული სამუშაოები“

– ანუ მიგაჩნიათ, რომ ყველაფერს სწორედ აკეთებთ და ბევრს მუშაობთ, ოპოზიციის დამოკიდებულება კი თქვენ მიმართ უსამართლოა?

– ოპოზიციის დამოკიდებულება ჩვენ მიმართ უმეტეს შემთხვევაში უსამართლოა, არ ვამბობ იმას, რომ ყველაფერს იდეალურად ვაკეთებთ და ჩემი შენიშვნებიც ცალკეული სამსახურების მიმართ ორიენტირებული და მიმართულია სწორედ საქმის უკეთესად კეთებისკენ.

რაც შეეხება უსაფუძვლო ბრალდებებს, მათ ყოველთვის ადეკვატურად ვპასუხობთ.

ახლო მომავალში საზოგადოებას ანგარიში უნდა წარვუდგინოთ, სადაც იმ გაკეთებულ საქმეებზე ვისაუბრებთ, რომელთა შესახებაც ძალიან ბევრს ინფორმაცია არ ჰქონდა. ამჯერად, მხოლოდ არასრულ ჩამონათვალს გავაკეთებ:

ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო ის, რომ ქალაქს ექნებოდა განაშენიანების გენერალური გეგმა და ამ გეგმაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. მანამდე მოსამზადებელი სამუშაოები ჩავატარეთ, კვლევა გავაკეთეთ, საერთაშორისო კონკურსი გამოვაცხადეთ და ღიად და გამჭვირვალედ გამოვავლინეთ გამარჯვებული საერთაშორისო კონსორციუმი გერმანელი და ქართველი სპეციალისტების მონაწილეობით.

მეორე, ქალაქის ეკოლოგიაზე ზრუნვა. ამ თვალსაზრისით აქტიურად მიმდინარეობს ერთი მილიონი ხის დარგვის პროგრამა. ამ ეტაპისთვის 130 ათასი ხეა დარგული მხოლოდ ჩვენ, ანუ მუნიციპალიტეტის, მიერ ბოლო ორი სეზონის განმავლობაში. დამატებით გაზაფხულზე 200 ათასზე მეტი ხის დარგვაა დაგეგმილი.

მნიშვნელოვანია, რომ დავიწყეთ ბოლო 20-30 წლის განმავლობაში გაურემონტებელი ხიდების აღდგენის სამუშაოები. 21 ხიდი შევამოწმეთ, ვნახეთ, რომ მათი გარკვეული ნაწილი სავალალო მდგომარეობაში იყო, სერიოზული ტრაგედიისა და მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად მათი გადაუდებელი აღდგენა დავიწყეთ.

სწრაფად დავიწყეთ აღდგენა დაზიანებული კორპუსებისა, 30 ასეთი კორპუსი მაგრდება თბილისის წლევანდელი ბიუჯეტიდან.

მილიონზე მეტი ჩამოვაწერეთ უს-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თავარი ფუნქცია ქალაქის ლიტიკური კინკლაობა“

„ოპოზიციის დამოკიდებულება ჩვენ მიმართ უმეტეს შემთხვევაში უსამართლოა“

ამართლოდ დარიცხული, დენზე მიბმული ნაგვის გადასახადისა, რომელიც ჩვენმა წინამორბედებმა მიაბეს და ესეც ჩვენი დაპირება იყო.

არის სხვა პროექტებიც, რომლის შესახებაც წლიურ ანგარიშში ვისაუბრებთ.

– კორპუსის თავმჯდომარეები ახსენეთ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მერიამ დაიწყო მათ მეშვეობით მოსახლეობის გამოკითხვა. გაქვთ უკვე შედგები? შეგვიძლია ვისაუბროთ იმ მთავარ პრობლემებზე, რომელიც მოსახლეობას ანუხებს?

– ათი ათასი ანკეტა დავურიგეთ გამგეობებს იმისთვის, რომ მათ თავიანთი საუბნო სამსახურების მეშვეობით გამოკითხვა ენარმოებინათ. ჩვენი მიზანია მიღებული პასუხების გაანალიზება და მოსახლეობის მოთხოვნების ასახვა ბიუჯეტში.

შედეგები უკვე ვიცით, პირველ ადგილზეა სოციალური ხასიათის საკითხები. ჩვენ ამ კუთხით სპეციალური პროგრამები გვაქვს და მათ კვლავაც გავაგრძელებთ. საუბარია, კომუნალურ ვაუჩერებზე, რომელიც იცით, რომ გავაორმაგეთ. ისევე, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შემთხვევაში, ელექტროენერგიის კორექტირებულ ტარიფზე ჩვენც გავეცით დამატებითი დაფინანსება.

მეორე საკითხად აყენებენ ეკოლოგიასთან და გამწვანებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ეს განსაკუთრებულად იგრძნობა ცენტრალურ უბნებში.

საბავშვო ბაღებზე ზრუნვა და მეტი საბავშვო ბაღის მომზადება-მოწესრიგება იქნება ჩვენი ამოცანა. თუ წელს ექვსი ახალი ბაღის მშენებლობის პროექტი გვქონდა და ამ შემოდგომაზე მათ ეტაპობრივად გავხსნით, მომავალ წელს მინიმუმ 10 ახალი საბავშვო ბაღის პროექტი გვექნება.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, ასევე, სპორტული მოედნებისა და სკვერების მონესრიგებას. ყველა სათამაშო მოედნისა და სკვერის კეთილმოწყობა მოხდება.

– იყო რამე ისეთი, რომელიც თქვენთვის სიურპრიზი გახდა?

– ისეთი პრიორიტეტი, რომელზეც ინფორმაცია არ გვქონდა, არ ყოფილა...

– პარალელურად ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ მერიაში სერიოზული კრიზისია და თქვენს გადადგომასაც კი მოითხოვენ...

– შედეგები ფასდება იმ პროექტებისა და პროგრამების განხორციელებით, რომელიც ჩვენ გვაქვს დაგეგმილი და მიმდინარეობს. ნლის ბოლოს ვნახავთ და გავაკეთებთ შედარებას, წინა ნლებთან შედარებით რამდენად მეტი რამ გაკეთდა. აქედანვე გეტყვით, რომ წინა ნლებთან შედარებით მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს.

თუ წინა ნლებში ჩვენი წინამორბედები საბავშვო ბაღებს ხურავდნენ და იქ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებს ხსნიდნენ, ჩვენ, პირიქით, საბავშვო ბაღები გავხსენით და 3 ათასამდე ადგილი შევქმენით საბავშვო ბაღებში, რომლის ტენდენციაც გაგრძელდება. მომავალ ნელს ეს რაოდენობა მინიმუმ 2 ათასით კიდევ მოიმატებს.

თუ ჩვენი წინამორბედები, გამწვანების ნაცვლად, ხეებს ჭრიდნენ, ჩვენ გამწვანების მასშტაბური პოლიტიკა დავგეგმეთ და ამ გეგმას აქტიურად მივყვებით.

იგივე ინფრასტრუქტურული პროექტები ავიღოთ, ღირებულებითი და მოცულობითი თვალსაზრისით იმაზე მეტია, ვიდრე წინა ნლების ანალოგიურ პერიოდებში განხორციელდა. ჩვენ საქმესა და პროგრესზე ვართ ორიენტირებული.

ჩავატარეთ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადა და ღირსეულად ვუმასპინძლეთ სამ ათასზე მეტ სტუმარს; ჩვენ 20 მილიონზე მეტი ჩავდეთ „დინამოს“ სტადიონის მოდერნიზაციაში და არასდროს ამხელა ინვესტიცია მისი აშენების შემდგომ ამ სტადიონზე არ განხორციელებულა. აბსოლუტურად თანამედროვე სტანდარტების სტადიონი გავაკეთეთ.

ეს ჩვენი პროგრესული მიდგომების შედეგია და ვისაც ამის დანახვა უნდა, ხედავს და აფასებს, მაგრამ პოლიტიკურ ოპონენტებს, როგორც წესი, ამის დანახვა არ უნდათ ხოლმე.

– თქვენ შედარება გააკეთეთ... ადრე, როგორც ამბობდნენ, სწორედ მერიის გამო, სახელისუფლებო პარტია არჩევნებს თბილისში ყოველთვის აგებდა ხოლმე. რას ელოდებით ახლა, როგორი იქნება თქვენი შედეგი 2016 ნლის არჩევნებში?

– ჩვენი ამოცანა არჩევნებში ღირსეული გამარჯვებაა. მე, როგორც ამ პოლიტიკური გუნდის ნევრი, ამ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ამიტომაც ვართ ჩვენ მაქსიმალურად მომართული და ორიენტირებული მეტი შედეგისკენ, საზოგადოებაც ამაზე დაყრდნობით მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

– თავის დროზე თქვენ აგირჩიეს მერობის კანდიდატად და ითქვა, რომ მერი უნდა იყოს მეურნე და არა პოლიტიკოსი. თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სასარგებლო იქნებოდა, პოლიტიკოსიც ყოფილიყავით, პოლიტიკურ ბრძოლებში თქვენ მაინც გამოუცდელი ხართ...

– პოლიტიკურ ბრძოლებში ჩაბმულია საკრებულო, რომელიც დიდწილად პოლიტიკოსებისგანაა დაკომპლექტებული. ჩემი წარსულიდან გამომდინარე, სამეურნეო უნარ-ჩვევები უფრო მეტია ჩემში, ვიდრე პოლიტიკური. თუმცა, ეს არ შეიძლება ჩემს მიხუსად ჩაითვალოს, ფიქრობ, ეს ჩემთვის უპირატესობა უფროა, რადგანაც ბევრი რამის უკეთ დანახვა შემიძლია. იგივე ცალკეული პროექტებისა და პროგრამების დაგეგმვაში ჩემი ეს უპირატესობა მნიშვნელოვნად მიწყობს ხელს, რომ სამსახურებთან ერთად დავჯდე, დეტალურად გავიარო ესა თუ ის პროექტი და სათანადოდ ჩავნვდე იმ საკითხებს, რაც უკეთეს ქალაქს მოგვცემს.

ჩვენი მთავარი ფუნქცია ქალაქის მოწესრიგებაა და არა პოლიტიკური კინკლაობა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ არ უნდა მოვცდე ჩემს საქმიანობას და ქალაქს უნდა მივხედო.

– სკანდალები, როგორც ჩანს, ჯერ არ დასრულებულა. მთავარ ინტრიგად ოპოზიციაც და მედიაც, კალაძის ცოლისძმის საკითხს განიხილავს – დატოვებს ის მერიას თუ არა...

– სკანდალი რატომ უნდა იყოს, თუკი რომელიმე სამსახურის ხელმძღვანელი შვებულებაში გავა, ან სამსახურიდან წავა? ეს ხომ საქალაქო სამსახურია და არ არის მინისტრის პოსტი, ან უშიშროების საბჭოს მდივანი ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი პოზიცია. ამ შემთხვევაში, საუბარია სამეურნეო ფუნქციაზე. ვიღაც შეიძლება რაღაც პერიოდის შემდეგ წავიდეს, ვიღაც მოვიდეს. მთავარია, ძირითადი ბირთვი, ძირითადი შემადგენლობა მუშაობს.

გიორგის მე დიდი ხანია ვიცნობ. ძალიან კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ის ჩემს საარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული და მაშინ დავინახე მისი ორგანიზატორული ნიჭი, მისი ახალგაზრდებთან მუშაობის უნარი, აქედან გამომდინარე მივიღე გადაწყვეტილება.

– კახი კალაძემ ხომ არ გთხოვათ მისი დასაქმება?

– არა, და თუ გიორგის ერთადერთი მინუსი ის არის, რომ ის კალაძის ცოლისძმაა, ესეც არ არის მინუსი, იმიტომ რომ ღირსეული ადამიანის ცოლისძმაა და თვითონაც ღირსეული ადამიანია.

– თუმცა, კალაძემ მას წასვლა ურჩია, გქონდათ საუბარი გიორგისთან, მიეცით მას რჩევა?

– ჩვენ ყოველდღიური კომუნიკაცია გავქვს, ამ საკითხებზეც გვქონდა საუბარი. ეს მისი გადასაწყვეტია. მე მას არ დავაძალებ და ვერც დავაძალებ. თუ მას მოუნდება რაიმე გადაწყვეტილების მიღება, თავის პოზიციასთან დაკავშირებთ, ეს მისი გადასაწყვეტი იქნება. თუმცა, მე გული დამწყდება.

– როგორც უკვე აღვნიშნეთ, საარჩევნო ციკლში შევედით. ოპოზიცია წინა ხელისუფლების დროს ხშირად ამბობდა, რომ ქალაქის ბიუჯეტი პოლიტიკურია და არჩევნებზეა ორიენტირებული. როგორი ბიუჯეტი გვექნება ახლა, რამდენად იქნება ის პოლიტიკური?

– მე თქვენ ჩემი ექსპერტობის პერიოდი გამახსენეთ, როცა 15 ათასი სიმბარათი ჰქონდა შეძენილი თბილისის მერიას, როცა უამრავი ადამიანი აჰყავდათ დამატებით და ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე აკონტრაქტებდნენ, რათა ამ ადამიანებს უბნებში ევლოთ და საარჩევნო ხმები მოეპოვებინათ.

მათ შორის 2012 ნელს, როცა იყო გადამწყვეტი ბრძოლა, ბევრი ისეთი რამ გააკეთეს, რაც საბიუჯეტო კანონმდებლობაში არ ჯდებოდა. ჩვენი ბიუჯეტი იქნება საზოგადოების საჭიროებასა და დაკვეთებზე ორიენტირებული. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი უკვე ფორმირებულია, თუმცა, დამატებით ველოდებით ტრანსფერის მოცულობის ციფრს, რომლის შედეგადაც საბოლოოდ მოვახდენთ ბიუჯეტის ფორმირებას. ვვარაუდობთ, რომ დედაქალაქის ბიუჯეტის თავდაპირველ მოცულობას (804 მილიონი ლარს) დაემატება დაგეგმილი ეკონომიკური ზრდის მოცულობის ფარგლებში სამემოსავლო ნაწილი, რომლის ხარჯვითი ნაწილიც იმ ძირითად პრიორიტეტებზე გადანაწილდება, რაც ჩვენ გვაქვს და რაზეც მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად მივიღეთ.

– როცა მერიაში თქვენს მუშაობას აფასებთ, ალბათ, კარგად ხედავთ როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებსაც. შეგიძლიათ სისუსტეებზე ისაუბროთ?

– ექსპერტებმა ისაუბრონ ამაზე, მათ თქვან, რა არის ძლიერი და რა სუსტი მხარეები, როგორია ჩემი შესაძლებლობები. ნაკლოვანებების გარეშე ადამიანი არ არსებობს...

– მაგალითად, სისუსტეა, როცა არ ხართ მკაცრი...

– ჯოხით ნამდვილად არავის დავდევ. თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ არ ვითხოვ სამსახურში საკითხების გადაჭრას. ვიღებ ბევრ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას, მათ შორის მკაცრსაც, თუმცა ეს სააშკარაოზე არ გამოდის ხოლმე.

– ეს იმიტომ გკითხეთ, რომ, მაგალითად, ჩვენ რამდენჯერმე მოვისმინეთ თქვენი პრინციპული პოზიცია „სითი პარკთან“ დაკავშირებით, თუმცა, შედეგი არ არის.

– მინდა გითხრათ, რომ ამ საკითხში ჩემი პოზიცია იგივეა. რამდენიმე დღის წინ პროკურატურაში საკმაოდ სქელტანიანი დოკუმენტი გავგზავნეთ, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება.

არის სხვა საკითხებიც, რაც პროკურატურაშია გადაგზავნილი.

– არის მათ შორის საქმეები, რომელიც თქვენს პერიოდს ეხება?

– ასეთი საქმეები არ არის და ვერც იქნება. ახლა შემოვიდა ჩვენთან აუდიტის სამსახური, ამონმებს ადმინისტრაციას და ორ საქალაქო სამსახურს. თუ რაიმეს დაინახავენ, მათ შეუძლიათ, გადაგზავნონ დოკუმენტები პროკურატურაში შესაბამისი რეაგირებისთვის.

– შეიძლება, რომ საკადრო ცვლილებები ამ აუდიტთან იყოს კავშირში?

– არა, აუდიტთან კავშირში არ არის, აუდიტის მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. ის მიმდინარეობს. თანაც აუდიტი არ ხორციელდებოდა კეთილმოწყობის სამსახურში, მისი აუდიტი მოგვიანებით არის დაგეგმილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიძინა ივანიშვილი გია დვალი

მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გია დვალის ახალ ტექნოლოგიურ პროექტთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის სხდომა გაიმართა. შეხვედრას ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი და ევროპელ მეცნიერთა ჯგუფი ესწრებოდნენ. თუ რატომ, ამას ოდნავ ქვემოთ გიამბობთ, მანამდე კი გეტყვით, რომ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ადრონულ თერაპიას უკავშირდება. ალბათ, გაინტერესებთ, რას ნიშნავს ადრონული თერაპია? როგორც თავად გია დვალი განმარტავს, სიმსივნის ადრონული თერაპია, ეს არის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უახლეს მიმართულებაზე დაფუძნებული თერაპიის მეთოდი, რომელიც მაქსიმალურად ეფექტურად ანადგურებს კიბოს უჯრედებს ჯანსაღი უჯრედების დაუზიანებლად.

გია დვალი: „ეს არის უახლეს მიმართულებაზე დაფუძნებული თერაპიის მეთოდი, რომელიც მაქსიმალურად ეფექტურად ანადგურებს კიბოს უჯრედებს ჯანსაღი უჯრედების დაუზიანებლად“

მეცნიერის მტკიცებით, ეს დარგი ეფუძნება ნაწილაკების ამაჩქარებელზე წარმოებულ მაღალი ენერგიების ფიზიკის კვლევებს, მაგრამ მას ასევე აქვს უმნიშვნელოვანესი სამედიცინო გამოყენება. პროექტის იდეაა, რომ საქართველოში შეიქმნას ადრონული თერაპიის კვლევებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და კვლევის ამ მიმართულების გარშემო აეწყოს საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი ტექნოლოგიური ინსტიტუტის სახით, რომელიც ერთგვარი ლოკომოტივის როლს შეასრულებს ზოგადი მეცნიერული და სასწავლო დონის ამაღლებისთვის ქვეყანაში.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რამდენად რეალისტურია ეს პროექტი? გასაკვირი არაა, რომ ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი ურთულესი განსახორციელებელია. გია

თიბისი ბანკმა განახლებული იპოთეკური ცენტრი გახსნა

თიბისი ბანკის ცენტრალურ ოფისში განახლებული იპოთეკური ცენტრი გაიხსნა. განახლებულ იპოთეკურ ცენტრში მომხმარებლებს კომფორტულ გარემოსთან ერთად უფრო ფართო და მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. ცენტრში საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილი სამშენებლო პროექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათმა რიცხვმა 51-ს მიაღწია. ამჟამად იპოთეკურ ცენტრში სულ 1575 გასაყიდი ბინაა წარმოდგენილი.

თიბისი ბანკის იპოთეკურ ცენტრში ბინის შეძენის პროცედურა ბევრად უფრო მარტივი და მოსახერხებელია. მომხმარებელს შეუძლია გაიმარტივოს ბინის შეძენის პროცესი, ერთ სივრცეში მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე სამშენებლო პროექტებზე, ისარგებლოს კონსულტანტის რჩევებით, შეარჩიოს მისთვის სასურველი სამშენებლო პროექტი და მიიღოს საუკეთესო პირობები იპოთეკურ სესხზე.

ჟურნალისტებთან საუბრისას თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ნინო მასურაშვილმა განაცხადა - თიბისი ბანკის იპოთეკური ცენტრი, ეს არის ერთიანი სივრცე, რომელიც, ფაქტობრივად, უნიკალურია საქართველოში. ერთადერთი ადგილი სადაც მომხმარებელს შეუძლია ინფორმაცია მიიღოს ქვეყანაში არსებული მშენებარე ობიექტების შესახებ, შეიძინოს ბინები და პარალელურად ისარგებლოს სესხით. ამ ეტაპზე ჩვენ მიერ წარმოდგენილია 51 მიმდინარე პროექტი, მომხმარებელს აქვს ფართო არჩევანი, როგორც, უბრალოდ, გაცნობის, ასევე შეძენის მიმართულებით. ერთ ადგილას, ამ ოფისიდან გაუსვლელად, მომხმარებელს ეძლევა საშუალება, დაათვალიეროს და ასევე ჩვენ მიერ შეთავაზებული სესხის საფუძველზე შეიძინოს ბინა. ეს არის ჩვენი ძირითადი შეთავაზება მომხმარებლებისადმი. ეს ცენტრი გაიხსნა წლის დასაწყისში და ამ მომენტისთვის შეიკრიბა პროექტების მაქსიმალური რაოდენობა. პროექტები წარმოდგენილია, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ცენტრი მუდმივად განაახლებს პროექტების რაოდენობას და ჩვენ ვფიქრობთ, რომ წლის ბოლოს მომხმარებელს მინიმუმ 100 პროექტს შევთავაზებთ.

მომსახურების გამარტივების მიზნით, მომხმარებლებისთვის შეიქმნა იპოთეკური ცენტრის ვებგვერდიც. (http://bit.ly/1VlOLpN)

მომხმარებლებს სახლიდან გაუსვლელად, ყველა მიმდინარე სამშენებლო პროექტზე დეტალური ინფორმაციისა და ფოტომასალის ნახვა ონლაინ სივრცესი შეუძლიათ. ამისთვის ონლაინ აპლიკაციაში მხოლოდ სახელის, გვარისა და მობილური ტელეფონის ნომრის დაფიქსირებაა საკმარისი.

სამშენებლო კომპანია „მეტროდეველოპმენტის“ წარმომადგენელმა ლიანა მოდებაძემ განაცხადა - პირველ რიგში, ვულოცავ თიბისი ბანკს იპოთეკური ცენტრის გახსნას, მართლაც მშვენიერი გარემოა, როგორც კლიენტებისთვის ასევე დეველოპერებისთვის. მე წარმოვადგენ „მეტრადეველოპმენტს“ ეს არის კომპანია, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლის ინტერესებზე, მაქსიმალურად ცდილობს, რომ შექმნას ხარისხიანი და კარგი გარემო. ჩვენ თიბისი ბანკთან ვთანამშრომლობთ უკვე ერთი წელია და კმაყოფილები ვართ ამ სერვისით. ჩვენთვის, დეველოპერული კომპანიებისთვის, ეს არის დამატებითი სერვისი, რომლითაც გაყიდვები ბევრად უფრო გამარტივებულია. ასე რომ, წარმატებებს ვუსურვებ თიბისი ბანკს ამ მიმართულებით და ყველა იმ დეველოპერს, რომელიც ამ პროექტში მონაწილეობს.

თიბისი ბანკის პირველი იპოთეკური ცენტრი 2014 წელს გაიხსნა. ამ დროისთვის, უკვე თბილისში, ორი იპოთეკური ცენტრი ფუნქციონირებს, ჭავჭავაძის გამზირზე და იუსტიციის სახლში მდებარე თიბისი ბანკის ფილიალში. ორივე ცენტრში საქართველოს მასშტაბით მიმდინარე 51 პროექტი ექსკლუზიურადაა წარმოდგენილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ს მეგაპროექტს დააფინანსებს

ირაკლი ღარიბაშვილი: „ამ ორი პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს ნახევარ მილიარდს და მჯერა, რომ ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის“

დვალის ინფორმაციით, იდეამ პროგრამის სახე მიიღო ბიძინა ივანიშვილის აქტიური მონაწილეობით, რომელიც, ამას გარდა, თავის თავზე იღებს სრულ ფინანსურ მხარდაჭერას. პროექტის დაფინანსება საკმაოდ სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული და როგორც ზემოხსენებული კომისიის სხდომაზე გაირკვა, მას „ქართუ ჯგუფის“ დამფუძნებელი, ექსპრემიერი ივანიშვილი 500 მილიონი ევროთი დააფინანსებს. კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილია, რომელმაც კომისიის სხდომაზე მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს.

„პირველ რიგში, მინდა გამოვყო ბიძინა ივანიშვილის როლი ამ საქმეში, როგორც ინიციატორის და, ასევე, მნიშვნელოვანია გია დვალის წვლილი. ბატონი ბიძინას ინიციატივა იყო ამ საქმის წამოწყება საქართველოში და პროექტს მთლიანად დააფინანსებს ბიძინა ივანიშვილი და მისი ფონდი „ქართუ“. ამ ორი პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს ნახევარ მილიარდს და მჯერა, რომ ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თავად ბიძინა ივანიშვილის განმარტებით კი, ქართული მხარე ყველაფერს გააკეთებს და მაქსიმალურად გამოიყენებს წამყვანი მეცნიერების შესაძლებლობებს, რათა საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი დაფუძნდეს.

„ორ წელიწადზე მეტია, რაც მე და გია დვალი ამ პროექტით ვართ დაინტერესებულნი. მინდა მადლობა გადავუხადო გიას. ინიციატივა ჩემი იყო, დავუკავშირდი გიას და მისგან მივიღე ძალიან დიდი მხარდაჭერა და სურვილი, რომ საქართველოში შეიქმნას ასეთი სამეცნიერო ცენტრი. თემურ ლომთაძემ მიიღო დიდი მონაწილეობა, ის აქტიურად არის ჩართული პროექტში, ისევე როგორც ჩვენი გუნდი. რა თქმა უნდა, მადლობა ჩამობრძანებისთვის ჩვენს სტუმრებს. თქვენი სტუმრობა საქართველოში ჩვენთვის დიდი პატივია და იმედი მაქვს, რომ თქვენი მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ ამ პროექტის განხორციელებას. ჩვენი მხრივ, ქართული მხარე ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ თქვენი შესაძლებლობები, რათა საქართველოში მსგავსი ცენტრი დაფუძნდეს“, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ფიზიკოსი გია დვალი აცხადებს, რომ საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრს კვლევის მიმართულება ექნება. მისი თქმით, ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის პროექტები საკმაოდ დიდ ჩართულობას მოითხოვს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზეც.

„დღეს გადაიდგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ვინაიდან ის უცხოელი კოლეგები, რომლებიც აქ არიან, წარმოადგენენ უმაღლეს დონეს ამ სფეროში, მაგრამ ეს არის მხოლოდ დასაწყისი. ეს პროექტი იქნება ძალიან რთული, მაგრამ იქნება საინტერესო და პოზიტიური. იდეა არის, რომ ეს იყოს საერთაშორისო სტანდარტის პროექტი. ეს არის კვლევის მიმართულება. 100%-იანი წამალი არსაიდან არ არსებობს, მაგრამ იდეა ამის იყო ის, რომ ეს განხილული უნდა იქნას სამეცნიერო-საგანმანათლებლო კვლევის ჭრილში, რომელსაც, თუ განხორციელდა, აქვს უზარმაზარი სამედიცინო ღირებულება და ეს უნდა გამოიყენონ ამ სფეროს სპეციალისტებმა. თუ ამ პროექტის მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმას დავიწყებთ, ეს არის ავტომატური ინტეგრაცია საერთაშორისო ქსელებში. არ ვიცი, ამ სიტუაციაში ამაზე უკეთესი რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოში ამ მიმართულებით“, – განაცხადა დვალმა.

კომისიის სხდომაზე გაირკვა, რომ ევროპის ცნობილი სამეცნიერო დაწესებულებები – CERN, CNAO, INFN ქართულ მხარეს ექსპერიმენტული კვლევითი ბაზის მშენებლობისა და ფუნქციონირების საქმეში მიღებულ გამოცდილებასა და ცოდნას გაუზიარებენ; აღნიშნული ორგანიზაციები ქართულ მხარეს გადასცემენ ტექნოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის საპროექტო დოკუმენტაციას, ასევე, გამოყოფენ სათანადო გამოცდილების მქონე ექსპერტებს, რათა ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა ფუნქციონირება ეფექტურად დაიწყოს.

მხარეები ითანამშრომლებენ სტუდენტებისა და მკვლევარების მომზადების, ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში.

ამ მეგაპროექტის განხორციელებას, ფინანსებთან ერთად, საკანონმდებლო ცვლილებებიც სჭირდება. სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობამ, საკანონმდებლო ინიციატივის სახით, პარლამენტში შეიტანა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და ადრონული თერაპიის მეგაპროექტის გარშემო თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნის შესახებ“ კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც უნდა დაფუძნდეს ტექნოლოგიური ინსტიტუტი და ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი. კანონპროექტის განხილვას დეპუტატები უახლოეს ხანში დაიწყებენ.

აზედინ ალაილა უკვე საქართველოშია - „ისი პარის“ სურნელოვანი საჩუქარი ქალებს

ნინო მჭედლიშვილი

„ისი პარიმ“ კიდევ ერთი ახალი ბრენდი შემოიტანა საქართველოში. ამის შესახებ „ასა ჰოლში“ შეკრებილ ჟურნალისტებს კომპანიის პიარმენეჯერმა, ხატია შამუგიამ გვამცნო, ორიგინალურ გარემოში, ორიგინალურად გვიმასპინძლა და მართლაც ორიგინალური სურნელი შემოგვთავაზა.

ცოტა რამ აზედინ ალაიალას შესახებ:

ტუნისელი დიზაინერი ფრანგული სულით, შეყვარებული სხეულის სილამაზეზე. გამოირჩევა ექსტრავაგანტური ხედვითა და ამოუცნობი, ინტრიგული ხასიათით. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ალაია, როგორც რჩეული პარიზელი დიზაინერი, არასდროს იღებს მონაწილეობას პარიზისა თუ სხვა მოდის კვირეულებში.



ის დამოუკიდებლად აკეთებს ჩვენებებს და საკმაოდ წარმატებულად.

ალაიას გამორჩეული კლიენტურა ჰყავს.

მათ შორის არიან სახეები: ტინა ტერნერი, სტეფანი სეიმური, ნაომი ქემპბელი და რიანა.

როგორც ცნობილია, მეორე ინაუგურაციაზე მიშელ ობამას, სწორედ ამ დიზაინერის კაბა ეცვა.

„ALAIA PARIS“ – საერთაშორისო ბაზარზე 44-ზე მეტ ქვეყანაში არსებობს.

რაც შეეხება თავად სუნამოს, ეს არის გრილი და ტკბილი არომატის ნოტები, საუკეთესო შერწყმა, რომელიც ზუსტად ძლიერი, მიმზიდველი და არაორდინარული ქალბატონებისთვის არის შექმნილი.

ხატია შამუგია:

- სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ აზედინ ალაილას პარფიუმერია უკვე საქართველოშია, კონკრეტულად „ისი პარის“ მაღაზიათა ქსელში. მიუხედავად იმისა, რომ თავად დიზაინერი 1940 წელს არის დაბადებული და 80-იანი წლებიდან თავისი სიტყვა თქვა მოდის სფეროში, მისი პარფიუმერია წელს შეიქმნა. მსოფლიო პრემიერას არ დააკლდა საქართველო.

- ვინ არიან ის ცნობილი ქალბატონები, ვისაც ალაილა მოსავს?

- მისი მეგობრები და სელებრითები: ტინა ტერნერი, სტეფანი სეიმური, ნაომი ქემპბელი, მიშელ ობამა, დაიან კრიუგერი, რიანა, ბიონსე.

- რისი თქმა შეგიძლიათ თავად პროდუქციაზე?

- ეს არის უნიკალური არომატი, რომელიც, როგორც პარფიუმერები ახასიათებენ, მოსწონს ყველას, განურჩევლად სტილისა და გემოვნებისა. ეს არის ისეთივე დახვეწილი, როგორიც თვითონ აზედინ ალაილას ფეშენია.

- სუნამო მხოლოდ ქალებისთვის?

- მხოლოდ ქალებისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ დიზაინერი აღმერთებს ქალის კულტს, ქალის დახვეწილ სხეულს და ქმნის ქალბატონებისთვის დაუვიწყარ საოცარ სუნამოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟუ
შეიარაღებულმა არასრულწლოვნებმა ს

ირაკლი მამალაძე

თბილისის ერთ-ერთ კერძო სკოლაში შეიარაღებული არასრულწლოვანი პირი დააკავეს. „პრაიმტაიმისთვის“ ექსკლუზიურად ხდება ცნობილი ინციდენტის დეტალები. 15 წლის შეიარაღებული მოზარდი თბილისის მწვანე სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის დროს შეიჭრა. ამ ეტაპზე უცნობია, რა მიზნით შეაღწია დაწესებულებაში არასრულწლოვანმა. ვრცელდება რამდენიმე არაოფიციალური ვერსია, რომლის მიხედვითაც, მოზარდი შურისძიების მიზნით ცდილობდა მწვანე სკოლის ერთ-ერთ მოსწავლესთან შეხვედრას და საქმის გარჩევას, მაგრამ სკოლის დაცვის თანამშრომლებმა ის დროულად დააკავეს და ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გამოიძახეს. რამდენიმე დღის წინ მწვანე სკოლაში მომხდარ ინციდენტზე „პრაიმტაიმს“ ამავე სკოლის რამდენიმე მოსწავლე ესაუბრა. ჩვენ ვიცავთ არსებულ მედიასტანდარტებს და მათ ვინაობას არ ვასახელებთ.



„გავიგეთ, რომ ორი ბიჭი შემოიპარა სკოლის ტერიტორიაზე, რომლებსაც იარაღი ჰქონდათ, მაგრამ დაცვამ შეამჩნია“

„იარაღი პატრულმა ამოიღო და ექსპერტიზაზე წაიღო, მათ უნდა ჰკითხოთ“

„პატრული გამოვიძახეთ, მოვიდა ეკიპაჟი, საგამოძიებო დაფიქსირეს და დააკავეს“

EXCLUSIVE

ლ.გ., მწვანე სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე:

– გავიგეთ, რომ ორი ბიჭი შემოიპარა სკოლის ტერიტორიაზე, რომლებსაც იარაღი ჰქონდათ, მაგრამ დაცვამ შეამჩნია, მიხვდნენ, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები არ იყვნენ და შეაჩერეს. შემდეგ მოსთხოვეს, მაისურები აეწიათ და ჯიბეები გადმოებრუნებინათ. ერთ-ერთი დაცვას არ დაემორჩილა და გაიქცა. დააკვეს და როცა მაისური აუწიეს, იარაღი ჰქონდა შარვლის ქამარში.

– რა იარაღი ჰქონდა?

– ამბობენ, ნაგანი ჰქონდაო, მაგრამ მერე თქვეს, პნევმატური იარაღიო, ზუსტად არ ვიცი, ზოგი ერთს ამბობს, ზოგი – მეორეს.

– დააკავეს ეს ბავშვები?

– კი, ერთი დაიჭირეს, რომელსაც იარაღი უპოვეს. ორწლიანი პირობით ჰქონია და კიდევ დაუმატეს იარაღის ტარებისთვის. პატრულმა წაიყვანა.

– ვინ არის, იცით სახელი და გვარი?

– მე არ ვიცნობ, მაგრამ ამბობენ, ვიღაც ნ.ც. ყოფილა. რა უნდოდა, არ ვიცი. ამბობენ, ვიღაცის სანახავად იყო მოსული სკოლაშიო.

ამ ეტაპზე არაოფიციალურად ორი ვერსია ვრცელდება. სკოლის ტერიტორიაზე ამოღებულ იარაღთან დაკავშირებით სკოლის მოსწავლეები აცხადებენ, რომ არასრულწლოვანს, რომელიც ტერიტორიაზე ფარულად შემოიპარა, ნაგანის ტიპის პისტოლეტი ჰქონდა. სკოლის ადმინისტრაცია კი მშობლებს ამშვიდებს და აცხადებს, რომ სკოლაში შემოპარულ 15 წლის მოზარდს პნევმატური იარაღი ჰქონდა, თუმცა, ასეც რომ იყოს, ამ ტიპის იარაღსაც სჭირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ნებართვა, რადგან ამ ტიპის იარაღის დადგენილი წესების გარეშე მოხმარებასაც მოჰყვება მძიმე შედეგები. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნებისთვის მისი ტარება ნებადართული არ არის.

რა იარაღი ამოიღეს მწვანე სკოლის ტერიტორიაზე და რა მიზნით შევიდნენ არასრულწლოვნები დაცულ პერიმეტრზე? **„პრაიმტაიმმა“ თბილისის მწვანე სკოლაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დაცვის თანამშრომლის ინტერვიუ მოიპოვა:**

– რა მოხდა თქვენს სკოლაში? გავიგეთ, რომ ვიღაც იარაღით დაგიკავებიათ...

– ეს ბავშვები ამ სკოლის მოსწავლეები არ იყვნენ, სხვა საჯარო სკოლიდან მოვიდნენ მეგობრის სანახავად.

– და იარაღი რად უნდოდათ?

– იარაღი ამოიღეს, ექსპერტიზა ჩაუტარდება და ზუსტად მაშინ გვეცოდინება.

– თქვენ რა მოიმოქმედეთ მას შემდეგ, რაც იარაღი აღმოაჩინეთ?

– პატრული გამოვიძახეთ. მოვიდა ეკიპაჟი, საგამოძიებო დაფიქსირეს და დააკავეს.

– რა მიზნით იყვნენ სკოლის ტერიტორიაზე შემოსულები?

– ხომ გითხარით, ნაცნობის სანახავად.

– ამბობენ, რომ მათ ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ...

– იარაღი პატრულმა ამოიღო და ექსპერტიზაზე წაიღო, მათ უნდა ჰკითხოთ.

„პრაიმტაიმი“ რამდენიმე დღის მანძილზე ცდილობდა, გაერკვია, რა ტიპის იარაღი ამოიღეს მწვანე სკოლის ტერიტორიიდან, თუმცა პასუხი ამ დრომდე ვერ მივიღეთ.

თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში მომხდარი ინციდენტის გამო სკოლის ადმინისტრაციამ საგანგებო სიტუაცია შემოიღო და სკოლის ტერიტორიაზე მშობლების შეშვება აკრძალა. მწვანე სკოლაში პრევენციის მიზნით ახალი რეგულაციები აამოქმედეს.

რა ხდება თბილისის სხვა სკოლებში და რამდენად უზრუნველყოფილია მოსწავლეების უსაფრთხოება? ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეს **კონსტანტინე ანჯაფარიძეს** ესაუბრა:

– ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რა მდგომარეობაა თბილისის სკოლებში?

– ყველა მაჩვენებლით წინ ვართ, გასულ წლებთან შედარებით

„ამბობენ, ნაგანი ჰქონდაო, მაგრამ მერე თქვეს, პნევმატური იარაღიო, ზუსტად არ ვიცი, ზოგი ერთს ამბობს, ზოგი – მეორეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლ სკოლაში
ცადეს შეპარვა

„მე არ ვიცნობ, მაგრამ ამბობენ, ვიღაც ნ.ც. ყოფილა. რა უნდოდა, არ ვიცი. ამბობენ, ვიღაცის სანახავად იყო მოსული სკოლაშიო“

მნიშვნელოვანი პროგრესია.

– საჯარო სკოლებს გულისხმობთ თუ აქ კერძო სკოლების კვლევაც შედის?

– მანდატურის სამსახური ვალდებულია, კანონით მონიჭებული უფლებამოსილება საჯარო სკოლებში შეასრულოს, თუმცა საკონტრაქტო ხელშეკრულებით გვექვემდებარება რამდენიმე კერძო სკოლაც, სადაც ჩვენს მოვალეობას ვახორციელებთ, მაგრამ, თუ მანდატურის სამსახური არ არის, მაშინ კერძო დაცვის სამსახური ასრულებს მოვალეობას კერძო სკოლების ტერიტორიაზე.

– სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო წლებში რა აკრძალული ნივთები ამოგიღიათ სკოლის მოსწავლეებიდან და თუ ყოფილა მათ შორის იარაღი, ცეცხლსასროლი ან პნევმატური?

– უამრავი ნივთი ამოგვიღია, მაგრამ იარაღი ნამდვილად არ ყოფილა. იყო ცივი იარაღი, სხვადასხვა საგნები, მაგრამ იარაღის ამოღების შემთხვევა ნამდვილად არ დაფიქსირებულა.

მანდატურის სამსახურში აცხადებენ, რომ თბილისის მწვანე სკოლაში მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აღნიშნული სკოლა კერძო საკუთრებაა და მას კერძო დაცვის სამსახური ემსახურება. „პრაიმტაიმი“ შეეცადა, დაკავებულ არასრულწლოვანთან დაკავშირებითაც მოეპოვებინა დამატებითი ინფორმაცია. ამ ეტაპზე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მწვანე სკოლის ტერიტორიაზე დაკავებული ნ.ც. ისნის რაიონის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლეა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მას ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

აბაშიძე კარასინს ქართველი მზვერავების განთავისუფლებას სთხოვს

მირიან ბოქოლიშვილი

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით რუსეთის ციხეებში 15-მდე ადამიანი რჩება და სასჯელს საკმაოდ რთულ პირობებში, სხვადასხვა ვადით იხდის. თუმცა შესაძლოა, მალე ისინი საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ. ამის შესახებ „პრაიმტაიმთან“ საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძე საუბრობს. მისი ინფორმაციით, ეს იქნება ერთ-ერთი განსახილველი თემა პრაღაში, გრიგორი კარასინთან დაგეგმილი მორიგი შეხვედრის დროს.

ზურაბ აბაშიძე:

– ამ მიმართულებით უკვე გვაქვს გარკვეული შედეგები. სამი ადამიანი ჩამოვიყვანეთ გასულ წელს, რომელიც ამ ბრალდებით იხდიდა სასჯელს. იმედი გვაქვს, კიდევ წამოვიყვანთ, რადგან რამდენიმე ადამიანი კვლავ რჩება რუსეთის ციხეებში.

– თქვენს მორიგ შეხვედრაზე გრიგორი კარასინთან ამ საკითხს დააყენებთ?

– კი. ეს იქნება ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც მე პრაღაში დავაყენებ.

– რა პირობით შეიძლება ამ ადამიანების განთავისუფლება?

– მოლაპარაკების დეტალებზე ვერ გესაუბრებით. შევთანხმდით, რომ მოლაპარაკების დეტალებს არ გავახმაურებდით. ვადასტურებ, რომ საქართველოს სამი მოქალაქე უკვე დავაბრუნეთ. 10-, 12- და 14-წლიანი სასჯელი ჰქონდათ მისჯილი. ვცდილობთ, დანარჩენებიც დავაბრუნოთ. დელიკატური თემაა და ყველა დეტალზე საუბარი მიზანშეწონილი არ არის.

– რა პირობებში უხდებათ სასჯელის მოხდა ამ ადამიანებს?

– ნუ პირობებზე რა გითხრათ. ციხეში არიან, რა... მოგვაწოდეს გარკვეული ინფორმაცია, მაგრამ პირობები რთულია, რა თქმა უნდა.

აბაშიძის მიერ ნახსენები სამი განთავისუფლებული პირიდან ერთ-ერთი საქართველოს საგარეო დაზვერვის ოპერატიული დირექტორატის უფროსის პირველი მოადგილე, 39 წლის ზაზა ხერკელაძეა. მან რუსეთის ციხეებში 5 წელი და 8 თვე გაატარა.

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის აგენტებმა ის 2008 წლის ივნისის ბოლოს, ვლადიკავკაზში დააკავეს. იგი ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში მეუღლესა და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა და გორკის ქუჩაზე კაფე „ლედი ფოქსი“ ჰქონდა გახსნილი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის სექტემბერში, ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის რანგში, გიორგი მარგველაშვილმა პირობა დადო, რომ რუსეთში ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებული საქართველოს მოქალაქეების გასათავისუფლებლად აქტიურად იმუშავებდა, თუმცა პრეზიდენტის სასახლეში შესვლის შემდეგ, ფაქტია, რომ მარგველაშვილს ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია. დაპირება კი დაპირებად დარჩა.

როგორც გითხარით, ეს საკითხი მხოლოდ პრაღაში, აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატში განიხილება და როგორც პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ვარაუდობს, მალე სხვა ქართველ მზვერავებსაც გაათავისუფლებენ, თუმცა რა პირობით, ან რის სანაცვლოდ, ამას აბაშიძე არ აკონკრეტებს.

გასულ წელს ზაზა ხერკელაძისა და კიდევ ორი პირის განთავისუფლებას რუსეთის მხრიდან გარკვეული პირობები უძღოდა. „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, ქართველი მზვერავების განთავისუფლების სანაცვლოდ ოფიციალურ თბილისს რუსეთისთვის გორში ტერორისტული აქტის გამო გასამართლებული ოსი პატიმრები უნდა გადაეცა.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის 1-ელ თებერვალს, გორში, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ეზოში ტერორისტულ აქტს სამი პოლიციელის: იოსებ მინდიაშვილის, გიორგი მთვარელიძისა და თამაზ იაკობიძის სიცოცხლე შეეწირა. მოგვიანებით, სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულმა გია ვალიევმა, გია ზასეევმა და იოსებ კოჩიევმა, აღიარეს, რომ რუსეთის სამხედრო დაზვერვის მთავარი სამმართველოს (ГРУ) დავალებით მოქმედებდნენ და საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ არაერთი ტერაქტი ჰქონდათ მოწყობილი. 2006 წლის ზაფხულში, გორის სასამართლომ მათ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ზურაბ აბაშიძე: „ეს იქნება ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც პრაღაში დავაყენებ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოში ბავშვთა პირველი ჰოსპისი აშენდება

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია

გიორგი ურუშაძე

საქართველოში ბავშვთა პირველი ჰოსპისის მშენებლობა იწყება. უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც სამთავრობო, არასამთავრობო, ბიზნეს და სამოქალაქო სექტორი გაერთიანდა, დიდ მიზნებს უკავშირდება. სოციალური პროექტი, აქამდე არსებულ რეალობას შეცვლის და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ახალ სივრცეს გააჩენს. სივრცეს, სადაც ისინი იმ მზრუნველობას მიიღებენ, რომელსაც ასე საჭიროებენ.

სოციალური პროექტის ინიციატორი ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოა“, რომელსაც „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი და ინდივიდუალური დონორები ახორციელებენ.

დღეს გამართულ ღონისძიებას საქართველოს პირველი ლედიც დაესწრო. მაკა ჩიჩუამ სიტყვით გამოსვლის დროს, ცრემლები ვერ შეიკავა. როგორც ჩანს, ცენტრის ფუნქციონირება, ქვეყნის პირველი ლედისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მაკა ჩიჩუა:

„დღევანდელი დღე იმიტომ არის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი, რომ პირველად ხდება ბავშვებისთვის ჰოსპისის მშენებლობა. ყველაზე მთავარი, რაც ვნახე და თქვენც კარგად ხედავთ, არის ის, რომ არასამთავრობო, სამთავრობო, ბიზნეს სექტორი, ინდივიდუალური სეგმენტი ადამიანებისა, ყველა ჩართულია ამ პროექტში. ყველაზე მთავარი რაც არის კიდევ, ამ პროექტს სჭირდება მუდმივად კვება იმისთვის, რომ იარსებოს. აი, ქეთიმ თქვა ხუციშვილმა, რომ ჩვენ ამით არ გავჩერდებითო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჩვენი საზოგადოების პატარა წევრები იყვნენ ბედნიერები და ჩვენ გავუხალისოთ მათ ცხოვრება. ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ბავშვებს ჰქონდეთ შესაფერისი გარემო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. მე მოვუწოდებ ყველას, რომ მუდმივად ჩართულები იყვნენ ამ საქმეში“.

„სამედიცინი კორპორაცია ევექსის“ გენერალურ დირექტორს, ნიკა გამყრელიძეს საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობა და მათი ერთიანობა ახარებს. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იყოს ასეთი ღირებული პროექტის მთავარი დონორი კომპანია.

ნიკა გამყრელიძე:

„პირველ რიგში ძალიან მიხარია, რომ იდეა, რომელიც რამდენიმე ადამიანს ერთი წლის წინ გაგვიჩნდა, დღეს განხორციელების ფაზაში შევიდა. ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის დაწესებულების არსებობა საქართველოში. პირველ რიგში, იმიტომ, რომ არ არსებობდა მსგავსი დაწესებულება აქამდე და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს, ჩვენ შევძლებთ პირველი ბავშვების მიღებას. ხაზგასასმელი აქ რაც არის, საზოგადოების ყველა ფენის, ყველა მხარის ჩართულობაა. ბიზნესი, არასამთავრობო სექტორი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და რაც მთავარია, უამრავი კერძო პირი, რომლებმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოწირულობები შემოიტანეს ამ პროექტისთვის, უმნიშვნელოვანესი ინვესტიციაა. ჩვენ ძალიან გვახარებს საზოგადოების ასეთი ერთიანობა“.

„ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ წარმომადგენლის ქეთევან ხუციშვილის აზრით, ეს იქნება ადგილი, სადაც ბავშვი სრულყოფილ სერვისს მიიღებს. ოჯახური გარემო კი, მათზე სასიკეთოდ იმოქმედებს.

ქეთევან ხუციშვილი:

„მე ძალიან მეამაყება, რომ დღეს ჰოსპისისა და პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო დღეს, ჩვენ, „კორპორაცია ევექსმა“ და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა ერთად ჩავუყარეთ საფუძველი, პირველი ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობას საქართველოში. ჩვენმა კვლევებმა 2013 წელს აჩვენა, რომ 839 ბავშვს ესაჭიროება პალიატიური მზრუნველობა. ჰოსპისი, რომლის მშენებლობა ჩვენ ახლა დავიწყეთ, იმედი მაქვს, რომ 2016 წლის ბოლოსკენ დასრულდება. რა თქმა უნდა, ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ინიციატივა სხვებსაც მისცემს მაგალითს, რომ გააკეთოს მსგავსი საქმეები. ეს იქნება ადგილი, სადაც ბავშვი მიიღებს სრულ მზრუნველობას, როგორც სამედიცინო მზრუნველობას, ასევე ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და გართობას. ჰოსპისი მნიშვნელოვანია, როგორც ბავშვებისთვის, ისე მათი მშობლებისთვის“.

ცენტრის მნიშვნელობაზე საუბრობს მშობელი, რომელსაც ეს სიკეთე პირადად შეეხო. ნათია შარვაძე ძალიან კმაყოფილია ცენტრის ბინაზე მომსახურების სერვისით და დიდ შეღავათსაც გრძნობს.

ნათია შარვაძე:

„ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, მძიმე და ღრმა კატეგორიის ბავშვებისთვის. საერთოდ, შეზღუდული შესაძლებლობა ბავშვებისთვის, ძალიან დიდი ტვირთია. ისინი საჭიროებენ თანადგომას და არა შეცოდებას. ძალიან კარგია, რომ არსებობენ არასამთავროები, რომლებიც ჩვენდა სამწუხაროდ, სახელმწიფოზე მეტს აკეთებენ ჩვენთვის. ეს ორგანიზაცია უკვე რამდენიმე თვეა მემსახურება ბინაზე, ყველანაირად მეხმარებაინ. აი, მათხოვარი ვიყავი პამპერსისა და წამლის, ახლა კი ყველაფერი მოგვარდა. მე თანადგომა უკვე ვიგრძენი ამ რამდენიმე თვეში. ჰოსპისი უკვე მუშაობს, ერთადერთი, ჯერ შენობა არ აქვს, ოფისის სახით არიან. მაგრამ ისინი ოჯახებში უკვე მუშაობენ. ძალიან მეიმედებიან და მიხარია, რომ ასე სერიოზულად გვიდგანან გვერდში“.

ბავშვთა ჰოსპისის აშენების იდეა 2013 წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ გაჩნდა, რომლის მიზანი იყო ბავშვებისთვის პალიატიური მზრუნველობის საჭიროების შესწავლა. როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოში პალიატიური მზრუნველობა ყოველწლიურად 0-დან 18 წლამდე 839 ბავშვს ესაჭიროება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ავერსი“ სკან

ინფექციური: „ამ წამლების მაგივრად აღარაფერს ვნიშნავთ, ერთი კვირაა რაც ეს პრობლემა გვაქვს, შემცვლელებიც კი დეფიციტშია“

გია გურჯანაძე: „ვერავინ დამარწმუნებს, რომ ქართულ ბაზარზე რაიმე მედიკამენტის წარმოება, ევროპული სტანდარტების მიხედვით ხდება“

სალომე ჩადუნელი

„ავერსის“ მისამართით გაჟღერებული ბრალდებების საპასუხოდ, რომ აფთიაქი წამლების დეფიციტს შეგნებულად ქმნის ბაზარზე, რათა თავისი წარმოებული პროდუქცია გაასაღოს, „ავერსი ფარმას“ ცხელ ხაზზე დავრეკეთ. „პრაიმტაიმი“ პრესსამსახურს შეგნებულად არ დაუკავშირდა. ჩვენი მთავარი მიზანი იყო გაგვერკვია, შეუძლია თუ არა რიგით მოქალაქეს მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია ცხელი ხაზის ოპერატორების დახმარებით. რატომ არ შემოაქვს „ავერსის“ ბაზარზე ენტენორმი, რომლის დისტრიბუტორიც თავადაა? - ამ კითხვით მივმართეთ ავერსის ცხელ ხაზს, ოპერატორმა ოფისში გადაგვამისამართა. ოფისის ნომერზე ავტომპასუხემ რამდენჯერმე შეგვახსენა, რომ „ავერსი“ ფარმაში ვრეკავდით, ოპერატორმა კი კითხვაზე პასუხი არ გაგვცა და უფრო მეტიც, გვარწმუნებდა „ავერისში“ არ რეკავთ, სხვაგან მოხვდითო. როგორც ჩანს, თავის მოვალეობას აფთიაქის ცხელი ხაზიც ვერ ასრულებს.

მაშინ, როდესაც ქვეყანაში ენტეროვისურის ბუმია და ინფექციურს თვეში საშუალოდ 500 პაციენტი აკითხავს, წამლები ენტეროლი და მისი პირდაპირი შემცვლელი იომოგი, რომელსაც ექიმები ენტეროვირუსის დროს ყველაზე ხშირად უწერენ პაციენტებს, სააფთიაქო ბაზარზე დეფიციტშია. სამაგიეროდ „ავერსი ფარმა“ შემცვლელად თავის წარმოებულ წამლებს: ენტეროლსა და მოლდის გვთავაზობს. აღსანიშნავია, რომ სხვა სააფთიაქო ქსელები და ექიმები ენტენორმსა და მოლდის ენტეროლისა და იომიგის შემცველებად არ მოიაზრებენ.

ხელოვნურად შექნილი დეფიციტი თუ სააფთიაქო ბაზრის პრობლემა, ვინ აკონტროლებს ფარმაკოლოგიურ ბაზარს და ირღვევა თუ არა მომხმარებლის უფლება მიიღოს ექიმის გამოწერილი მედიკამენტი. ამ კითხვებით დაინტერესდა „პრაიმტაიმი“ და სააფთიაქო ქსელებისა და ინფექციური საავადმყოფოს ექიმების დახმარებით დეტალების გარკვევას შეეცადა.

ყოველდღიურად, ინფექციურ საავადმყოფოებს ენტეროვირუსის დიაგნოზით საშუალოდ 17-20 პაციენტი აკითხავს. ექიმების თქმით, ყველაზე ხშირად სწორედ წამალი ენტეროლი ინიშნება, იშვიათად მისი პირდაპირი შემცვლელი იომოგინი. რამდენიმე კვირაა ბაზარზე ამ ორი მედიკამენტის დეფიციტია. როგორც ინფექციურის მიმღებში განმარტავენ ამ პრობლემის გამო ენტეროლის გამოწერა შეწყვეტილია და ბაზარზე აღარც მისი შემცვლელი იომოგი და დიეროლი მოიპოვება. მიმღები ექიმის განცხადებით, რამდენიმე დღის წინ იომოგის ბაზარზე შემომტან კომპანიას შეხვდნენ და მიიღეს დასტური, რომ წამალი ბაზარზე რამდენიმე დღეში გამოჩნდება, ენტეროლთან დაკავშირებით კი ინფორმაციას არ ფლობენ.

„ამ წამლების მაგივრად აღარაფერს არ ვნიშნავთ, ერთი კვირაა რაც ეს პრობლემა გვაქვს. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ იყოს, მაგრამ ეს ისეთი პრეპარატია, რომ მკურნალობისას მხოლოდ დროში გვეხმარება, თორემ მკურნალობას რომ ვიწყებთ, ის, რასაც ენტეროლით ვმკურნალობთ, თავისთავად მოწესრიგდება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტი არ არის. ვმკურნალობთ წამლებით, როგორიცაა სოლსიტმაქსი, პრობილასი, ეკოკოლონი“, - განგვიცხადეს ინფექციურ საავადმყოფოში.

ინფექციური საავადმყოფოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, ენტეროლსა და მის შემცვლელ მედიკამენტეს ერთნაირი სიძლიერის მოქმედება აქვთ, ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან, თუმცა ენტეროლი, რომელიც საფრანგეთის წარმოებაა, რა თქმა უნდა, უპირატესია.

არის თუ არა ენტეროლი და იომოგი ბაზარზე დეფიციტური წამლების რიგებში? ინფორმაციის გადამოწმების მიზნით რამდენიმე აფთიაქში დავრეკეთ. PSP-ს წამლების ბაზაში იომოგი ჯერ კიდევ მოიპოვება, თუმცა ენტეროლი არა, ჯი-პი-სიში ვერც ენტეროლს და ვერც იომოგს ვერ იყიდით, თუმცა შეგიძლიათ შეიძინოთ ისეთი შემცვლელები, როგორიაა ენტენორმი, დიფლორაკი, ენტეროჯერმინა, ლაციოფილი. ჩამოთვლილი შემცვლელებიდან დიფლორაკი და ენტენორმი ქართული წარმოების წამლებია. ჯი-პის-სის ოპერატორები გვირჩევენ წამლის მიღებამდე კონსულტაცია ექიმთან გავიაროთ. ენტეროლს ვერც ფარმადეპოს მომხმარებლები შეიძენენ, ავერსში, საინფორმაციო ცენტრის ოპერატორის ცნობით, ბაზარზე დარჩენილია ენტეროლის პაკეტები, ისიც რამდენიმე ფილიალში, ხოლო კაფსულები საერთოდ აღარაა. სამაგიეროდ გვთავაზობენ შემცვლელებს ენტენორმსა და მულდის, რომელსაც ენტეროლისა და იომოგის მსგავსად, რეცეპტი საერთოდ არ სჭირდება და „ავერსი ფარმას“ წარმოებული მედიკამენტებია.

საინტერესოა, რომ სხვა სააფთიაქო ქსელებში კითხვაზე არის თუ არა ენტენორმი ენტეროლის პირდაპირი შემცვლელი, უარყოფით პასუხს გვაძლევენ. „ავერსის“ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები ეჭვქვეშაც არ აყენებენ ენტეროლის ენტენორმის ჩანაცვლებას და დამატებით ინფორმაციასაც გვაწვდიან, რომლის მიხედვითაც, მედიკამენტის მიღების შემთხვევაში დისბაქტერიოზის პრობლემებსაც მოვიგვარებთ.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის თავმჯდომარე მადონა კოიძე აღნიშნავს, რომ აფთიაქს აქვს უფლება მომხმარებელს შესთავაზოს იმ მედიკამენტის შემცვლელი წამალი, რომელიც არ აქვს და აქ მომხმარებლის უფლებების

მადონა კოიძე: „თუ ბაზარზე არ შემოდის წამალი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეგნებულად არის დეფიციტი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ შეიძლება ანალოგი წამალი უფრო იაფი ღირს და მასზე მეტი მოთხოვნაა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დიდი ეხვევა

ავერსი AVERSI

ინფექციური: „ენტეროვირუსით თვეში 500-მდე პაციენტი გვაკითხავს“

გია ბურჯანაძე: „ავერსი“ განგებ ქმნის დეფიციტს, რომ თავისი პროდუქცია გაასაღოს“

დარღვევაზე ლაპარაკი არ არის.

„როდესაც ექიმი წერს პრეპარატს, თუკი კონკრეტულად ის პრეპატარი არ აქვს აფთიაქს, მას შეუძლია შესთავაზოს ანალოგი, მაგრამ მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს და თავად გადაწყვიტოს შეიძენს თუ არა ამ წამალს. თუკი მისი სურვილია, უნდა გაიაროს კონსულტაცია ექიმთან, რომელმაც გამოუწერა ისეთი წამალი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არ არის, თუკი ექიმი ჩათვლის მიზანშეწონილად მომხმარებელმა მიიღოს სხვა პრეპარატი, მაშინ პრობლემა აღარაა, მაგრამ თუკი ექიმი ეუბნება მას, სხვა პრეპარატი არ მიიღოს და აფთიაქს შეყავს მომხმარებელი შეცდომაში მაშინ ხდება დანაშაული“.

მადონა კოიძის განმარტებით, მაშინ როდესაც კონკრეტულ წამალზე დიდი მოთხოვნაა, ბაზარზე წამლის არშემოტანის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მისი ანალოგი წამალი უფრო იაფია, მასზე მეტი მოთხოვნაა და აქედან გამომდინარე, აფთიაქს ურჩევნია ქართული პროდუქცია გაყიდოს.

„აქ მოქმედებს კონკურენტუნარიანი გარემოს პრინციპი თუ ბაზარზე არ შემოდის წამალი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეგნებულად არის დეფიციტი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ შეიძლება ანალოგი წამალი უფრო იაფი ღირს და მასზე მეტი მოთხოვნაა. აქედან გამომდინარე ფარმაცევტული კომპანიებისთვის ამ წამლის შემოტანა შეიძლება არამომგებიანი იყოს. თუკი წამალი ურეცეპტოთ არის დაშვებული, მაშინ მომხმარებელმა უნდა მიიიღოს გადაწყვეტილება შეიძინოს თუ არა. ჩვენ გვაქვს შთაბეჭდილება, რომ საქართველოში წარმოებული წამალი არის ცუდი, მე ამას არ ვეთახმები, ყველაფერი მომხმარებლის გადასაწყვეტია, მან უნდა შეადაროს ხარისხი, ფასი და შემდეგ გადაწყვიტოს შეიძენს თუ არა“, - ამბობს მადონა კოიძე.

სააფთიაქო ქსელებში ენტეროლისა და მისი შემცვლელის ფასები ასეთია;

ენტეროლი - 10 პაკეტი 8.90; იომოგი 10 კაფსულა 15.70; ენტენორმი 20 კაფსულა 11.60; მოლდი -30 კაფსულა 20.40 ლარი. როგორც ვხედავთ, ქართული წარმოების წამლები შედარებით ხელმისაწვდომია, ვიდრე ფრანგული ენტეროლი და გერმანული იომოგი.

მომხმარებელების უფლებების დამცველი გია ბურჯანაძე „ავერსის“ მონოპოლისტობის სურვილზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია „ავერსი“ ხელოვნურად ქმნიდეს ბაზარზე დეფიციტს, რათა თავისი პროდუქცია გაასაღოს.

გია ბურჯანაძე:

„ზოგჯერ არის მომენტები, რომ წამლის შემოტანა გაცილებით დიდ პროცედურებთან და პრობლემებთანაა დაკავშირებული, ამიტომ „ავერსში“ მისული პაციენტი მიიღებს იგივე სახის დახასიათების ფორმატის ახსნა-განმარტებას, იცით რა პაციენტო, არანაირი განსხვავება არ არის მხოლოდ ოდნავი, მაგრამ ეს ის არის, რასაც თქვენ ითხოვთ. მე გარწმუნებთ, რომ არ იქნება ეს ის წამალი, რასაც თქვენ ითხოვთ. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ქართულ ბაზარზე რაიმე მედიკამენტის წარმოება, ევროპული სტანდარტების მიხედვით ხდება. დარწმუნებული ვარ, „ავერსი“ განგებ ქმნის დეფიციტს, რომ თავისი პროდუქცია გაასაღოს“, - აცხადებს გია ბურჯანაძე.

პაციენტს უნიშნავენ წამლებს, რომელიც ბაზარზე აღარ იყიდება, მისი შემცვლელიც კი დეფიციტური მედიკამენტების სიაშია მოხვედრილი, მომხმარებელი ვერ იღებს იმ მომსახურებას, რომელსაც ელოდება, ვერ ყიდულობს წამალს, რომელიც ექიმმა სწრაფი გამოჯანმრთელების მიზნით დაუნიშნა. სააფთიაქო ქსელებს გაურკვეველი მიზეზების გამო ბაზარზე წამლები არ შემოაქვთ, ენტეროვირუსით კი ინფექციურის დერეფნებია გადაჭედილი. „ავერსი“ კი თავის გამოშვებულ ურეცეპტო წამლებს შემცვლელის სახით შედარებით ხელმისაწვდომ ფასად გვთავაზობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სამედიცინო კორპორაცია ევე
პირველ ათეულში მყოფი კარდ

ევექსი

სამედიცინო კორპორაცია

„სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მოწვევით საქართველოში იმყოფებიან ასოციაცია „heartofchildren“-ის წევრი კარდიოლოგები, კარდიოქირურგ ვიტორიო ვანინის ხელმძღვანელობით. გუნდი დაკომპლექტებულია ევროპაში ნომერ პირველი კარდიოქირურგით, კარდიოლოგითა და ანესთეზიოლოგით. პროექტის განმავლობაში დაგეგმილია პაციენტების უფასო გასინჯვა, საჭიროების შემთხვევაში პაციენტებს ჩაუტარდებათ ლაბორატორიული და სხვა სახის სამედიცინო კვლევები.

იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში, რომელიც „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრია, გაიხსნება კარდიოქირურგიული ცენტრი, სადაც გაკეთდება ოპერაციები, ამუშავდება კათეტერიზაციის ლაბორატორია და ყველა ის პაციენტი, რომელიც მსგავს დახმარებას საჭიროებს, სრულ სერვისს მიიღებს.

კორპორაცია ყველანაირად ცდილობს, უფრო ეფექტური გახადოს ყველა ის სერვისი, რომელიც საჭიროა გულის თანდაყოლილი მანკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენ ვესაუბრეთ „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორს **დავით ციბაძეს**.

– რას ითვალისწინებს „სამედიცინო კორპორაცია ევექსსა“ და საერთაშორისო ასოციაცია „heartofchildren“-ის თანამშრომლობა?

– ჩვენი კოლეგები იტალიიდან წარმოადგენენ ასოციაცია „heartofchildren“-ს, ვიტორიო ვანინის ხელმძღვანელობით. ჩვენი სტუმრების ვიზიტის განმავლობაში გამოვლინდა რამდენიმე ფაქტი გულის თანდაყოლილი მანკისა და უკვე დაიგეგმა ქირურგიული ჩარევაც, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს ვიტორიო ვანინი თავისი გუნდით. გუნდი შედგება შემდეგი სპეციალისტებისგან: კარდიოლოგი, კარდიოქირურგი, პერფუზიოლოგი, ანესთეზიოლოგი, რეანიმატოლოგი... მოგეხსენებათ, რომ „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ მთელი ქვეყნის მასშტაბით აქვს საკმაოდ ვრცელი ქსელი, შესაბამისად, პედიატრიული სამსახურისაც, და ჩვენ პერმანენტულად ვახორციელებთ უფასო გასინჯვებს რეგიონებში. „ევექსმა“ უფასო კვლევები ჩაატარა სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოში, აჭარაში, კახეთსა და იმერეთში. სამწუხაროდ, კვლევებმა საკმაოდ ბევრი, გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული ბავშვი გამოავლინა.

– რამდენად ხშირია ბავშვებში გულის თანდაყოლილი მანკით დაავადება?

– ბავშვებში გულის თანდაყოლილი მანკი ძალიან გავრცელებული დაავადებაა.



წელიწადში დაახლოებით 500 პაციენტი საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას. მიუხედავად ძალიან ბევრი დროული ჩარევისა, არის ერთეული შემთხვევები ბავშვების გარდაცვალებისა, რისი მიზეზიც დაგვიანებული სამედიცინო ჩარევაა, ამიტომაც გადავწყვიტეთ, მოგვეწვია უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც ქართველ კოლეგებს გადაამზადებენ და მინიმუმამდე დაიყვანენ ლეტალურ შედეგებს. მისია ხორციელდება „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მასშტაბით. როგორც მოგეხსენებათ, იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოც „ევექსის“ ერთ-ერთი კლინიკაა. აქ გაიხსნება კარდიოქირურგიული ცენტრი, სადაც გაკეთდება ოპერაციები, ამუშავდება კათეტერიზაციის ლაბორატორია და ყველა ის პაციენტი, რომელიც მსგავს დახმარებას საჭიროებს მიიღებს სრულ სერვისს.

– გულის თანდაყოლილი მანკის გამოსავლენად რა ეფექტური ზომების გატარებაა საჭირო?

– მთელი ქვეყნის მასშტაბით მომუშავე პედიატრებს მივმართავ, თუკი გულის აუსკულტაციის დროს ისმის შუილი, თუ პაციენტები უჩივიან სწრაფად დაღლას, ბავშვები, რომლებიც წონასა და განვითარებაში თანატოლებს ჩამორჩებიან ან შეამჩნევენ სილურჯეს, ძალიან ოპერატიულად იმოქმედონ და გამოგზავნონ ჩვენს კლინიკებში, სადაც დაავადებულ ბავშვებს სრული სპექტრის კვლევა ჩაუტარდებათ, ქირურგიული ჩარევის საჭიროების შემთხვევაში კი კვალიფიციური ქირურგები სრულფასოვან ოპერაციას ჩაატარებენ. პირველ რიგში, ამ დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია სწორი დიაგ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქსმა“ საქართველოში ევროპის იოლოგების ჯგუფი ჩამოიყვანა

ნოსტირება, რისი პრობლემის წინაშეც დღეს ვდგავართ.

– რა შედეგს გამოიღებს უცხოელი სპეციალისტების ვიზიტი საქართველოში?

– ჩვენთან სტუმრად მყოფი სპეციალისტები წარმოადგენენ ევროპის კარდიოლოგიური ასოციაციის გუნდს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს გუნდი დაკომპლექტებულია ევროპის მასშტაბით ნომერ პირველი კარდიოლოგებით. შესაბამისად, მათ მიერ გაზიარებული გამოცდილება ერთიორად წაადგება ქართველ კარდიოლოგებს, მათ აქვთ სწორედ ის გამოცდილება და ამ ავადობისადმი ბრძოლის ეფექტური საშუალებები, რაც ბევრად ეფექტურს გახდის მკურნალობის პროცესს საქართველოში. ამ პროექტის განმავლობაში, ჩვენი 10 სპეციალისტი გადამზადდა მსოფლიოს სხვადასხვა უძლიერეს კარდიოლოგიურ ცენტრებში. ვფიქრობ, „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ უდიდესი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით და ის ბავშვები, რომლებიც ამ სახის დახმარებას საჭიროებენ, ყოველგვარი პრობლემის გარეშე, სრული სპექტრის სერვისს მიიღებენ ჩვენს კლინიკებში.

Primetime საქართველოში ვიზიტად მყოფ კარდიოლოგთა გუნდის ხელმძღვანელს, კარდიოქირურგ **ვიტორიო ვანინის** ესაუბრა.

– რამ განაპირობა თქვენი ვიზიტი საქართველოში?

– ჩვენ დაგვიკავშირდა თქვენი თანამემამულე, ქართველი კარდიოქირურგი, რომელსაც სურვილი აქვს, განავითაროს ბავშვთა კარდიოქირურგიის ცენტრი. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდით მის წინადადებას და სწორედ ამიტომაც გეწვიეთ. საქართველოში ჩემს გუნდთან ერთად ჩამოვედი, იმისთვის, რომ შევქმნა ქირურგიული ჯგუფი, რომელიც კვალიფიციური ექიმებით დაკომპლექტდება. ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზანია, დავეხმაროთ ქართველ კოლეგებს და მაქსიმალურად გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება.

– რას ითვალისწინებს პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოში იმყოფებით?

– ჩვენი გუნდი წარმოადგენს ასოციაციას „heartofchildren“-ს, რომელიც თანამშრომლობს „სამედიცინო კორპორაცია ევექსთან“. ვიმედოვნებთ, ჩვენი ასოციაციების თანამშრომლობა, კარგ შედეგს გამოიღებს და გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული ბავშვების მკურნალობა ბევრად ეფექტური გახდება საქართველოში. სწორედ ამას ემსახურება ჩვენი ვიზიტი. საქართველოს მასშტაბით, სამწუხაროდ, ბევრია ამ პროფილით დაავადებული ბავშვი, მაგრამ ვიმედოვნებ, დროული და ეფექტური ჩარევით, ჩვენ და ქართველი კოლეგები ყველა შემთხვევას დავძლევთ. ჩვენ გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც სამი პუნქტისგან შედგება, ესენია: 1. სწავლება; 2. ადგილზე ოპერაციების ჩატარება; და 3. საწყის ეტაპზე ჩვენი ყველანაირი თანადგომა ქართველი კოლეგებისადმი.

– თქვენი აზრით, რა შედეგს გამოიღებს თქვენი და ქართველი მედიკოსების თანამშრომლობა?

– ვფიქრობ, ჩვენი თანამშრომლობა აუცილებლად აისახება ქართველი ექიმების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ყველანაირად ვეცდებით, გავუზიაროთ ის გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში დავაგროვეთ თანდაყოლილი პათოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მე და ჩემი გუნდი სრულ მზადყოფნას ვაცხადებთ ქართველი კოლეგების დასახმარებლად.

– მომავალშიც თუ იგეგმება თქვენი ვიზიტები საქართველოში?

– ჩვენი კონტრაქტი „სამედიცინო კორპორაცია ევექსთან“ ითვალისწინებს პერმანენტულ ვიზიტებს თქვენს ქვეყანაში. თვეში ერთხელ ჩამოვალთ საქართველოში, იმ დრომდე, სანამ აღნიშნული სამედიცინო ცენტრი ნებისმიერი ტიპის გულის თანდაყოლილი მანკის ოპერაციის ჩატარებას დამოუკიდებლად არ შეძლებს. რა თქმა უნდა, ვისურვებთ, თანამშრომლობამ სამუდამო სახე მიიღოს, რადგან ჩემი გუნდის წევრები, მსგავსი მისიის ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დადიან. ჩვენ გუნდში არიან სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, ეს არის ერთგვარი ინტერნაციონალური გუნდი და ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ დავეხმაროთ იმ ქვეყნებს, რომლებიც მსგავს დახმარებას საჭიროებენ.

– რას ითვალისწინებს ქართველი ექიმების გადამზადების პროექტი?

– ჩემი დახმარებით გასულ თვეებში რამდენიმე ქართველი ექიმი იმყოფებოდა ქალაქ ბერგამოში, კარდიოლოგიურ კლინიკაში. ამჟამად სამი ქართველი ექიმი გადის ჩინეთში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. შესაბამისად, ეს თანამშრომლობა ითვალისწინებს, როგორც ჩვენს ვიზიტებს საქართველოში, ასევე ქართველი ექიმების გადამზადებას სხვადასხვა ქვეყნების ძალიან ძლიერ კარდიოლოგიურ კლინიკებში. კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ვიმედოვნებ, ჩვენი თანამშრომლობა ძალიან დიდ შედეგს გამოიღებს საქართველოში, და არამარტო საქართველოში, გავრცელებული გულის თანდაყოლილი მანკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

– რა რჩევებს მისცემდით ქართველ მშობლებს, რომელთა შვილებსაც გულის თანდაყოლილი მანკი აღმოაჩნდათ?

– მშობლები მუდამ ფხიზლად უნდა იყვნენ. ეს არის დაავადება, რომელმაც შეიძლება ძალიან მოულოდნელად იჩინოს თავი. პირველი – ეს არის დროული დიაგნოსტიკა. უპირველეს ყოვლისა, ძალიან ოპერატიულად უნდა მიმართონ სამედიცინო პუნქტებს. ვფიქრობ, ქართველ კარდიოლოგებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია სწორი დიაგნოზის დასასმელად. შეიძლება კონკრეტულ შემთხვევებში ბავშვი გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებდეს, მაგრამ სასურველია, კარდიოლოგის მუდმივი დაკვირვების ქვეშ ვამყოფოთ. ეს არის თანდაყოლილი პათოლოგია, რომელიც შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში საჭიროებდეს სამედიცინო კონტროლს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მმართველი პარტია საკუთარ უალტერნატ

ირაკლი კობახიძე: ნაციონალები ბინძურ მეთოდს მიმართავდნენ: კომპრომატებს, დაჭერებს... სრული ტერორი იყო... თეთრი ძაფით ნაკერი საქმეების განხილვას 9 თვეზე მეტი არ უნდა დასჭირვებოდა....

ქეთი ხატიაშვილი

„ქართული ოცნება“ საარჩევნო რინგზე განახლებული შემადგენლობით გავა. გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, უკვე მიღებული და გაცხადებულია. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი თემაა, რომელიც შესაძლოა, კულისებში უკვე მოლაპარაკებულია, მაგრამ არ საჯაროვდება. მაგალითად, მმართველ კოალიციაში კვოტების გადანაწილების პრინციპი. ის, თუ რას შესთავაზებს „ქართული“ ოცნება ამომრჩეველს და რით შეეცდება მისი ყურადღების მიქცევას.

მთელ ამ რთულ პროცესში მმართველი პარტიის ახალგაზრდა სახეა ჩართული. ის პოლიტიკურ კარიერაში პირველ ნაბიჯებს დგამს. ამბობს, რომ ივანიშვილთან, კალაძესთან და სხვა გავლენიან ფიგურებთან ურთიერთობა არ უჭირს და აინტერესებს.

ირაკლი კობახიძის გამოჩენა პარტიაში ბევრს არ ესიამოვნა, ზოგიერთებმა, საერთოდაც, პარტიიდან წასვლა არჩიეს. რთულ პროცესებზე მედიაშიც დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი, თუმცა თავად ირაკლი მიიჩნევს, რომ ის პოლიტიკური ფიგურაა და როცა მაღალი პოზიცია ჩაიბარა, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ შეჰპარვია.

„პრაიმტაიმს“ პარტია „ქართული-ოცნების“ ახალგაზრდა პოლიტიკოსი ირაკლი კობახიძე ესაუბრა:

– ირაკლი, მმართველი პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტი სერიოზული პოზიციაა. პარტიაში გამოცდილი პოლიტიკოსების ნაკლებობა კი ყოველთვის შეიმჩნეოდა, მაგრამ საკმაოდ ჭრელი შემადგენლობა იყო. ფიქრობდი, რომ გაგიჭირდებოდა?

– დღემდე მე ძირითადად სხვა სფეროში - უნივერსიტეტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში მიწევდა საქმიანობა. როცა პარტიული თანამდებობა დავიკავე, ბუნებრივია, ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დამჭირდა. თუმცა, ადაპტაციის პერიოდი საკმაოდ ადვილად გავიარე. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პარტიის წევრებთან და ლიდერებთან ურთიერთობა არ მიჭირს. გვაქვს ძალიან კონსტრუქციული და პროდუქტიული თანამშრომლობა და ამ რეჟიმში ვაგრძელებ მუშაობას.

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ „ბეგრაუნდს“, პოლიტიკასთან შეხება დიდი ხანია მაქვს, თუმცა ჩემი აქტიური პოლიტიკური ცხოვრება პირველად სწორედ „ქართულ ოცნებას“ დავუკავშირე. 2011 წლიდან, მისი დაფუძნებიდან აქ ვარ... თავიდანვე საზოგადოებრივი მოძრაობის წევრი ვიყავი და ერთ-ერთ სამუშაო ჯგუფს ვხელმძღვანელობდი, შემდეგ პარტიაში გავხევრიანდი... დამფუძნებელი კრების მონაწილე გახლდით... შესაბამისად, „ქართულ ოცნებაში“ მუშაობის მაქსიმალური სტაჟი მაქვს.

საკვანძო თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ მიმაჩნია, ამ კუთხით შესაფერისი გამოცდილება მქონდა. ასე რომ არ ჩამეთვალა, ასეთ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე არ ავიღებდი.

– „ქართული ოცნება“ რომ არ ყოფილიყო, შესაძლებელია, თქვენი პოლიტიკური კარიერა ბურჯანაძის პარტიისთვის დაგეკავშირებინათ?

– 2011 წლიდან „ქართულ ოცნებაში“ ვარ და ეს პარტია დღევანდელ ქართულ რეალობაში უალტერნატივო პოლიტიკურ ძალად მიმაჩნია. შესაბამისად, სხვა გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდი.

– მამათქვენი ცნობილი და გამოცდილი პოლიტიკოსი იყო და გარკვეული ღირებულებების გამო ჩვენთვის მიუღებელი გახლდათ მისი ბურჯანაძის პარტიაში გადასვლა. თქვენ ეს რაიმე დისკომფორტს გიქმნიდათ?

– შემიძლია გითხრათ, რატომ მიიღო მამაჩემმა თავის დროზე ბურჯანაძის პარტიაში შესვლის გადაწყვეტილება. მაშინდელ ხელისუფლებასთან იმ პერიოდში ყველაზე მკვეთრად ეს პარტია იყო დაპირისპირებული და სწორედ ეს გახდა მისი გადაწყვეტილების მიზეზი. მამაჩემის მიზანი ნაციონალური მოძრაობის მძიმე კრიმინალურ რეჟიმთან დაპირისპირება იყო...

– რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას?

– საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ჩვენ აქაც ერთნაირი პოზიცია გვაქვს. ჩვენ ვართ საქართველოს დასავლური კურსის მომხრე. ეს არის „ქართული ოცნების“ მიერ გაცხადებული მიზანი და პრიორიტეტი, რომელსაც მე სრულად ვიზიარებ.

– 2012 წელს თქვენი მთავარი საარჩევნო სლოგანი იყო: „საქართველო მიშას გარეშე“. 2016 წელი „ქართული ოცნებისთვის“ ის პირველი არჩევნებია, როცა მიშა აღარ არის... რა არის ახალი სლოგანი, რას მიიჩნევთ აქტუალურ საკითხად, რომ ელექტორატი მოიზიდოთ...

– ჩვენი მთავარი ამოცანაა ძალიან დახვეწილი და კარგად გათვლილი საარჩევნო პროგრამის შექმნა. ამაზე მუშაობას უკვე მიმდინარე თვეში ვიწყებთ. პროგრამაზე მუშაობის დროს გამოიკვეთება „ქართული ოცნების“ მთავარი პრიორიტეტები. ვაპირებთ, დეტალურად გავაანალიზოთ ის ცვლილებები, რომელიც ქვეყანაში 2012 წლიდან განხორციელდა, სწორედ ამას დაეფუძნება სამომავლო ხედვაც. სლოგანი უკვე შემდგომი მუშაობის საქმეა და ის გამოიკვეთება იმ ხედვიდან, რომელიც წინასაარჩევნო პროგრამაში ჩამოყალიბდება.

– რაზე იქნება პარტია სამომავლოდ ფოკუსირებული – უფრო საგარეო კურსზე თუ სოციალურ საკითხებზე?

– ვფიქრობ, იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ რომელიმე ერთს მივანიჭოთ უპირატესობა და ეს ორი თემა ერთმანეთისგან ასე მკვეთრად გავმიჯნოთ. სამუშაო გვაქვს ყველა მიმართულებით და ყველა მიმართულება პრიორიტეტულია. ჩვენ მძიმე მემკვიდრეობა მივიღეთ არა მხოლოდ წინა ხელისუფლებისგან, არამედ მისი წინამორბედებისგანაც. შესაბამისად, ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე ვდგავართ და ძალიან ბევრ სირთულესთან უნევს დღეს გამკლავება „ქართულ ოცნებას“. აქედან გამომდინარე, ყველა სფერო ერთნაირად პრიორიტეტულია. ამიტომაც ყველაფერს შევეხებით სიღრმისეულად და ამომრჩეველსაც კარგად გათვლილ, კონკრეტულ დაპირებებს წარვუდგენთ.

– კარგი სიტყვა ახსენეთ, „ქართულ ოცნებას“ ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე, არარეალური დაპირებების გამო, ძირითადად სოციალური კუთხით, რომელიც არ შესრულდა. საუბარია კომუნალური გადასახადების გაიაფებაზე, პენსიების გაორმაგებაზე და ასე შემდეგ. ამ არჩევნებზე კოალიცია რეალისტურ დაპირებებს გასცემს? ზომიერი იქნება მმართველი კოალიცია?

– როგორც გითხარით, თავიდანვე ვიყავი საზოგადოებრივ მოძრაობაში ჩართული და ვიცი, როგორ მზადდებოდა წინასაარჩევნო პროგრამა და გაიცემოდა დაპირებები. თავიდან ეს პროცესი საკმაოდ ნორმალურად წარიმართებოდა, თუმცა ბოლოს, როცა უკვე არჩევნების თარიღს მი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ივოზაში დარწმუნებულია

„ქართულ ოცნებას“ საბედისწერო შეცდომები არც დღემდე დაუშვია და დარწმუნებული ვარ, ასეთ შეცდომებს არც მომავალში დაუშვებს

ვუახლოვდით, დევნამ, შანტაჟმა და დაშინებამ უმძიმესი ფორმა მიიღო. კოალიცია პრაქტიკულად ომის მდგომარეობაში გადავიდა, რამაც ძალზე გაართულა პროგრამის შემუშავების პროცესი.

შესაბამისად, ზოგიერთი დაპირება რომელიც პროგრამაში შევიდა, არ ეფუძნებოდა პრაგმატულ და რეალისტურ გათვლებს. გარდა ამისა, მაშინ დახურული იყო თითოეული სამინისტროს კარი და კოალიციისთვის ინფორმაციის მოპოვება პრაქტიკულად შეუძლებელიც კი გახლდათ, რაც დაპირებების შემუშავებას სერიოზულად ართულებდა. ანუ იმას, რომ გარკვეული დაპირებები არარეალისტური იყო, ობიექტური საფუძველი ჰქონდა. ეს არ უნდა განმეორდეს 2016 წლისთვის. დღეს უკვე გვაქვს იმის საშუალება, რომ არაემოციურ გარემოში მოვამზადოთ წინასაარჩევნო პროგრამა და მასში ჩავდოთ მხოლოდ ისეთი დაპირებები, რომლებიც კონკრეტულ გათვლებზე დაფუძნებული და შესრულებადი იქნება.

– ამ პროგრამაზე ვინ მუშაობს?

– მუშაობა ჯერ არ დაწყებულა, თუმცა, დაიწყება ამ თვეშივე. ჩვენ ინოვაციურ მეთოდს მივმართეთ და საპროგრამო დოკუმენტზე სამუშაოდ ექსპერტები ღიად მოვიწვიეთ. რამდენიმე ასეული განაცხადი შემოვიდა. გვინდა, მაქსიმალურად მოვიზიდოთ ექსპერტები, ისეთი ადამიანები, რომლებსაც თავის დარგში შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება, კვალიფიკაცია და უნარები აქვთ, რომელსაც შესწევთ უნარი, სათანადო წვლილი შეიტანონ „ქართული ოცნების“ პროგრამის შემუშავებაში. ჩვენი ინტერესია ამ ადამიანების მობილიზება. ბუნებრივია, ჩვენ შიდა რესურსიც გვაქვს, რომელსაც ასევე აქტიურად გამოვიყენებთ... პროცესი ამ თვეში დაიწყება და სიტუაციის ანალიზზე მუშაობა უკვე წლის ბოლოსთვის დასრულდება, მომავალ წელს ჩამოყალიბდება სამომავლო ხედვაც, რომელსაც შემდგომ პარტიის პოლიტიკური საბჭო განიხილავს და რომელზეც კოალიციურ რეჟიმშიც ვიმსჯელებთ.

– ანალიზი ახსენეთ, ანუ შეცდომებზეც იქნება საუბარი?

– ბუნებრივია, ჩვენ თვითკრიტიკულიც უნდა ვიყოთ. ნებისმიერ ხელისუფლებას შეიძლება ჰქონდეს შეცდომები, არც ერთი ხელისუფლება არსად იდეალური არ არის. თვითკრიტიკის უნარი არის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება, რომელიც ჩვენ წინა ხელისუფლებისგან განგვასხვავებს... „ქართულ ოცნებას“ საბედისწერო შეცდომები არც დღემდე დაუშვია და დარწმუნებული ვარ, ასეთ შეცდომებს არც მომავალში დაუშვებს. ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც ქვეყანას მართავენ, გადაწყვეტილებებს იღებენ და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი ხელისუფლება ნამდვილად არ არის მიდრეკილი მძიმე შეცდომების დაშვებისკენ, აღარაფერს ვამბობ დანაშაულის ჩადენაზე.

– ვინ მიგაჩნიათ 2016 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნების“ კონკურენტად?

– პირდაპირ ვიტყვი: ჩვენ კონკურენტი არ გვყავს. თუმცა, სამწუხაროდ, პოლიტიკური სისტემა დღემდე ორპოლუსიანია...

– ეს ცუდია?

– ცუდია იმიტომ, რომ მეორე პოლუსზე ჯერ კიდევ დგას კრიმინალური წარსულის მქონე „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა არალეგიტიმურად მიიჩნევს. იმისთვის, რომ სრულფასოვანი პოლიტიკური სისტემა შედგეს, მნიშვნელოვანია, რომ სისტემაში შემავალი ყველა პოლიტიკური სუბიექტი მოსახლეობის მხრიდან ლეგიტიმურად იქნეს აღქმული. ევროპის ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში კონკრეტულ ელექტორატს ესა თუ ის პოლიტიკური პარტია შეიძლება მოსწონდეს ან არ მოსწონდეს, მაგრამ ყველა პარტიას, რომელიც პარტიულ სისტემაშია წარმოდგენილი, მთელი მოსახლეობა ლეგიტიმურად აღიქვამს. ჩვენთან სხვა ვითარებაა, პოლიტიკური სისტემის მეორე პოლუსზე არის პარტია, რომელსაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა არალეგიტიმურად აღიქვამს. ეს მთლიანად პოლიტიკური სისტემის განვითარებას აფერხებს. დარწმუნებული ვარ, 2016 წლისთვის ვითარება პრინციპულად შეიცვლება. ამის თქმის მყარ საფუძველს „ნაციონალური მოძრაობის“ ძალიან დაბალი რეიტინგი მაძლევს...

– თქვენ რეიტინგებს იცნობთ?

– ჩვენ გვაქვს შიდა მოხმარების რეიტინგები და ვიცით საერთო სურათი. გარდა დაბალი რეიტინგისა, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ნაციონალურ მოძრაობას ზრდის ნულოვანი შანსი აქვს.

– როცა ამბობთ „ძალიან დაბალს“, ერთნიშნა რეიტინგს გულისხმობთ?

– ეს უკვე დეტალებია... მთავარია, რომ რეიტინგი ძალიან დაბალია და ეს არის იმ ყველაფრის შედეგი, რასაც ეს პარტია წლების განმავლობაში აკეთებდა.

– ითქვა, რომ მზარდი რეიტინგი მხოლოდ ინაშვილს აქვს, ეს თქვენს კვლევებშიც ასეა?

– შეიძლება კონკრეტულ პარტიებს ჰქონდეთ გარკვეული პოზიტიური ან ნეგატიური ტენდენციები, თუმცა დღეს მოქმედ ყველა ოპოზიციურ პარტიას აქვს თავისი „ჭერი“, რომელსაც ვერ გადასცდება. შემიძლია გითხრათ, რომ დღეს ჩვენს პარტიას აქვს ზრდის ყველაზე დიდი რესურსი და პოტენციალი და ამ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ. აქამდე პარტია პასიურად მოქმედებდა და ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები: ჩვენ სამი არჩევნები გამოვიარეთ და მუდმივად საშტაბო რეჟიმში გვიწევდა მუშაობა. დღეს პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურების გაძლიერებაზე აქტიურად ვმუშაობთ.

– თქვენ თქვით, რომ პარტია არ დაუშვებს ხელისუფლებაში მძიმე გადაცდომებს, როგორც ეს ნაციონალებმა გააკეთეს... თუმცა, თუკი ნაციონალების მსგავსად, ოპოზიციაში არ გეყოლებათ სერიოზული და ძლიერი ძალა, ხომ არ დადგებით თქვენც სერიოზული ცდუნების წინაშე?

– ზოგადად, ძლიერი და ჯანსაღი ოპოზიციური ძალების აღმოცენება არის ქართული პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა. წინა ხელისუფლებები პირდაპირ ებრძოდნენ ამ პროცესს, შედეგად ძლიერი ოპოზიცია ვერ ჩამოყალიბდა. დღეს პროცესები სხვაგვარად, ღიად და დემოკრატიულად წარიმართება, რაც ახალი და ძლიერი პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბების იმედს იძლევა. სამომავლოდ, ახალმა ძალებმა უნდა დაიკავონ ოპოზიციური ნიშა.

– ვინმეს ხედავთ, ვინც შეიძლება „ქართული ოცნების“ ალტერნატივა გახდეს?

– დღეს ასეთი ძალის გამოკვეთა ძალიან ძნელია, ამას დრო გვიჩვენებს... სუბიექტურად, „ქართული ოცნებისთვის“ დღევანდელი ვითარება მომგებიანი შეიძლება იყოს, თუმცა ჩვენ სახელმწიფოებრივად ვუდგებით ამ საკითხს და წინა ხელისუფლებებისგან განსხვავებით, ახალი, ძლიერი და ლეგიტიმური ძალების ჩამოყალიბებას ხელს არ ვუშლით. ჩვენი ამოცანაა, ჯანსაღი პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური სპექტრი ჩამოყალიბდეს.

– მოდით, ნაციონალების არგუმენტი ვნახოთ. ისინი ამბობენ, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერები არასოდეს დაუჭერიათ. არ დაუკავებიათ არც სარიშვილი, როცა მისი პარტიის წევრები აიყვანეს, და არც ბურჯანაძე, როცა, ასევე, დააპატიმრეს მისი თანაპარტიელები. თქვენ კი უგულავაც ციხეში გიზით და მერაბიშვილიც. რას ფიქრობთ ამაზე?

– რაც შეეხება ლიდერების დაკავებას, ეს ერთი მხარეა, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, როგორ, რა მეთოდებით ებრძოდა „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციას. ყველანაირ ბინძურ მეთოდს მიმართავდნენ: კომპრომატებს, დაჭერებს... სრული ტერორი იყო...

ახლა თითოეული საქმე, რომლის საფუძველზეც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები არიან დაკავებული, თეთრი ძაფით არის ნაკერი. არ არის მისაღები, ვინმეს პოლიტიკოსის იმუნიტეტი მიეხიჭოს, მაშინ როცა აშკარა დანაშაული აქვს ჩადენილი. პირადად ჩემთვის შერჩევითი სამართალი პრინციპულად მიუღებელია, სამართლიანობის აღდგენას პოლიტიკურმა კონიუნქტურამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუშალოს ხელი. პრობლემას იმაში ვხედავ, რომ გარკვეული საქმეების განხილვა ზედმეტად დიდხანს გაიწელა. თეთრი ძაფით ნაკერი საქმეების განხილვას 9 თვეზე მეტი არ უნდა დასჭირვებოდა....

– ანუ პროკურატურით უკმაყოფილო ხართ?

– რა იყო ამის მიზეზი - პროკურატურა, სასამართლო თუ რაიმე სხვა, ეს მეორეხარისხოვანია, მთავარია, რომ ამ კონკრეტული საქმეების განხილვა ბევრად უფრო ხანმოკლე ვადებში იყო შესაძლებელი...

– არჩევნების თემას დავუბრუნდეთ... კვოტები, ალბათ, ერთ-ერთი ცხელი თემა იქნება კოალიციისთვის. არის უკვე განსაზღვრული მისი განაწილების პრინციპი?

– კვოტების გადანაწილებაზე საუბარი ჯერ არ დაწყებულა. მთავარია, კვოტები სამართლიანად განაწილდეს და სამართლიანი განაწილების კრიტერიუმები სწორად განისაზღვროს. სამართლიანობაში ვგულისხმობ როგორც პარტიების რეიტინგებს, ისე ნებისმიერ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა ძალიან დახვეწილი და კარგად გათვლილი საარჩევნო პროგრამის შექმნა“

რუსეთი ცდილობს, სააკაშვილი ჰააგაში გაასამართლოს

რუსეთი დიდი ხანია, ითხოვს 2008 წლის ომის გამოძიებას. ჰააგას მან უკვე გადასცა 500 ტომი, რითაც, მათივე თქმით, სწორედ ქართული მხარის დანაშაულები იკვეთება. მოსკოვი უკვე ოთხი წელია, ჰააგის ტრიბუნალის რეაქციას ელოდება. რეაქცია ახლა დადგა. მათ ქართულ მხარეს უკვე ოფიციალურად და ღიად მოსთხოვეს საგამოძიებო მასალების მათთვის მინოდება. იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განმარტებით, ქართული ხმარე მზად არის, ითანამშრომლოს ჰააგასთან და ყველა ის მასალა მიაწოდოს, სადაც დასტურდება რუსეთის მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი.

„ჩვენი მიზანი, საქართველოს მიზანი არის ის, რომ, რა თქმა უნდა, თანამშრომლობის ფარგლებში, მათთან ერთად განვახორციელოთ საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ბოლომდე გამოვიძიოთ და გამოვაძიებინოთ მათ, ჩვენთან ერთად, ის ეთნიკური წმენდის ფაქტები, რომლის მსხვერპლიც ჩვენ გავხდით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. სახეზე იყო აგრესია, აგრესია რუსეთის მხრიდან და, რა თქმა უნდა, ჩვენი ვალია, რომის სტატუტის თანახმად, რომ მათთან ბოლომდე ვითანამშრომლოთ“.

საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთი, ისევე როგორც ამერიკა, რომის სტატუტსს არ შეუერთდება, შესაბამისად, ზოგიერთი ექსპერტის განმარტებით, ჰააგის გამოძიება მხოლოდ ქართულ მხარეს შეეხება და არა რუსეთს.

აქ კი მოსკოვი ითხოვს, პასუხი გაეცეს მთავარ კითხვას: ვინ გასცა ცხინვალის დაბომბვის ბრძანება. კრემლში დარწმუნებულნი არიან, რომ ამ კითხვაზე პასუხი გამოძიებას ოდესის გუბერნატორამდე მიიყვანს, ანუ მიხეილ სააკაშვილამდე, რომელიც მაშინ საქართველოს პრეზიდენტი და მთავარსარდალი გახლდათ.

ქართული მხარე კი აქცენტს გენოციდზე აკეთებს და რუსეთის მხრიდან მძიმე დანაშაულებზე საუბრობს.

ჰააგის პროკურორმა ფატუ ბენსუდამ ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა: „არსებობს გონივრული საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ საქართველოში მართლაც იქნა ჩადენილი ჰააგის სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულები 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში“.

არსებობს ეჭვი, რომ მოსკოვი შეეცდება, საკუთარი გავლენები გამოიყენოს იმისთვის, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მიაღწიოს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამის შანსი და საშიშროება არსებობს.

მაგალითისთვის მილოშევიჩი მოჰყავთ, იუგოსლავიაში მიმდინარე სისხლიანი მოვლენების გამო, ის სწორედ ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს, რომელიც გაასამართლეს და ჰააგის ციხეში გარდაიცვალა.

ქართული მხარე მიიჩნევს, რომ რუსეთმა ბევრი მტკიცებულება გაანადგურა და ქართულ ხმარეს არ ეძლევა საშუალება, ოკუპირებული ტერიტორიებიდან რეალური ინფორმაცია მიიღოს.

„რუსეთის ხელისუფლება სრულიად უშლის ხელს სამხედრო დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, რომელიც მათ მიერ არის ჩადენილი 2008 აგვისტოს ომის განმავლობაში. როცა საქართველოს ხელისუფლება იძიებდა ამ ფაქტებს, ძალიან ბევრი მასალა შეგროვდა, თუმცა დიდი რაოდენობით მტკიცებულებები თავად რუსეთის ფედერაციამ გაანადგურა იმ პერიოდში და შემდეგაც“.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მანიკა ასათიანი

ლელა წურწუმია

რეიტინგებ

იმის გამო, რომ „პროფილი“ და „სხვა რაკურსი“ ერთსა და იმავე დროს გადის ეთერში, ყოველთვის ისმის კითხვა, რომელი გადაცემა იყო რეიტინგული. ყოფილა ხუთშაბათები, როცა ორივე გადაცემა ერთდროულად ზეიმობდა გამარჯვებას. წინა ხუთშაბათს, მაია ასათიანმა მაყურებელს მორიგი გამარჯვება მიულოცა და მადლობა გადაუხადა რეიტინგისთვის. „სხვა რაკურსის“ პროდიუსერი, მაია სტეფნაძეც არ დარჩა ვალში და სიციალურ ქსელში სტატუსი გამოაქვეყნა, რომელსაც იქვე უპასუხა „პროფილის“ წამყვანმა. მათ სტატუსებს უცვლელად გთავაზობთ.

მაია სტეფნაძე:

„პირველად და უკანასკნელად ვეხები რეიტინგების თემას. მიმაჩნია, რომ რეიტინგი იმას აფასებს, თუ რამდენად მოეწონა შენი გუნდის ნაშრომი მაყურებელს და პირადად მე კონკურენტის დამარცხებით არ გამიხარია. მთელი ივნის-ივლისი 8 გადაცემა ზედიზედ მოვიგეთ და აზრადაც არ მომსვლია გამარჯვების ყიჟინა დამეცა, რადგან ამით ჩემი სისუსტის დემონსტრირებას მოვახდენდი. მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც მხოლოდ სამსახურით სულდგმულობენ და ისიც

მალხაზ ქვრივიშვილის ყოფილმა ცოლმა

ამ წყვილის სასიყვარ
ერთობა პირველად სწორ
აიმი“-დან გახდა ცნობილი
სკლუზიურად სწორედ ჩვ
ფურცლებიდან გიამბობდ
გაიცნეს და როგორ შეუყვარ
ანეთი. მაშინ ანრი და მარია
წარსულ გრძნობებზე საუბრ
ამტკიცებდნენ, რომ რომან
მოიტოვეს და ახლა მხოლოდ
არიან. როგორც ჩანს, სიყვარ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო მჭედლიშვილი

ის ომი

რსობა მგონია, როცა
ება არ გაკმაყოფილ-
და ტყუილს კადრულ-
ენი ამბიციების და-
აყოფილებლად. წინა
აცემის მოგებაც არ
ნიშნავს შამპანურით,
რომ, დავუტოვოთ ხა-
უფლება, რასაც უნ-
მას უყურონ და ჩვენ
ტკბეთ სიცოცხლით.
ამ თქვენი მაია სტეფ-
“.

ია ასათიანი:

ირველი - გასულ ხუ-
ბათს „პროფილი“ ეთ-
ი არ გასულა, მეორე
მი გადაცემა უკვე 8
ია მოღვაწეობს და
ყოფილა მოგება, რო-
ათვისაც მე ჩემი მა-
ებლისთვის მადლობა
მითქვამს და ეს იცის
ღამ. ჩვენ ერთი გუნდი
ვართ და ძალიან გვიყ-
ვარს ჩვენი საქმე, შესა-
ბამისად, მოგვეცით უფ-
ლება - გვიხაროდეს ჩვენი
წარმატება. მესამე - არ-
ასდროს, არც ერთხელ
ჩემი კარიერის მანძილ-
ზე ტყუილი არ მითქვამს
რეიტინგთან დაკავშირ-
ებით. ნებისმიერ მსურ-
ველს, ნებისმიერ დროს
შემიძლია, 8 წლის მანძ-
ილზე წუთობრივად და-
შლილი „პროფილის“ და
პარალელურად „იმედზე“
გასული გადაცემის რე-
იტინგი ვუჩვენო. დიახ,
ჩვენ ყველა წარმატებულ
ეთერს, ისე აღვნიშნავთ
ხოლმე, როგორც პი-
რველს. სხვანაირად
ამდენი წელი ვერ
ვ ი ქ ნ ე ბ ო დ ი თ
ტელებაზარზე!“.

და ანრი ბიბინეიშვილმა ხელი მოანერეს

ულო ურთი-
ედ „პრაიმტ-
. წყვილი ექ-
ენი გაზეთის
ათ, როგორ
ოდათ ერთმ-
მი მხოლოდ
ობდნენ და
ტიკა უკან
მეგობრები
ული იმაზე
უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე თავად
წყვილს წარმოედგინა. ანრი ბიბინეიშ-
ვილმა და მარიამ ახობაძემ ხელი გადა-
ცემა „სხვა რაკურსში“ მოაწერეს. მანამ,
სანამ გადაცემა ეთერში გავა, ანრის კო-
მენტარს გთავაზობთ.

**- ანრი, როგორ დაითანხმე მარიამი
ცოლობაზე?**

- იმარჯვებს ყოველთვის სიყვარული
და ასე მოხდა ჩვენ შემთხვევაშიც. თუმცა,
მე არ დამითანხმებია, მარიამმა თვითონ
გადმოდგა ნაბიჯი და მთხოვა გავმხდ-
არიყავი ოფიციალური ქმარი მთელი ცხ-
ოვრებით.

- და შენც დასთანხმდი...

- პირველი ორი დღე ვაწვალე (იცინის)
და მერე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

- ბედნიერებას გისურვებთ.

- მინდა ყველა შეყვარებულ წყვილს
მსგავსი დაგვირგვინება ვუსურვო. ასევე,
მადლობა თქვენ, რომ ჩემი ბედნიერება
გაიზიარეთ და მომილოცეთ.

თაკო ჩხეიძე

დათო ტურაშვილი და თინა დალაქიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვისი ინტერესები დგას აჭარაში გ

მედეა ვასაძე: „აშკარა კორუფციული გარიგება იკვეთება. არსებობს ძალიან დიდი მასალა, რომელსაც მალე გავასაჯაროებ“

მირიან ბოქოლიშვილი

რატომ აფერხებს აჭარის მთავრობა მრავალმილიონიან ინვესტიციებს და ვისი ინტერესები დგას გაჩერებული მშენებლობების უკან? ამ საკითხზე სკანდალური მასალების გამოქვეყნებას აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მედეა ვასაძე უახლოეს დღეებში გეგმავს, სადაც, მისივე თქმით, წარმოადგენს ინფორმაციას კორუფციული გარიგებების შესახებ, თუმცა მანამდე მედეა ვასაძე ექსკლუზიურად „პრაიმტაიმს“ უმხელს, რამდენიმე დეტალს. კერძოდ, მისი თქმით, ინვესტორი ბათუმის ცენტრში მრავალმილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას აპირებს და უკვე 8 თვეზე მეტია, უშედეგოდ ელის აჭარის მთავრობის შესაბამის გადაწყვეტილებას. ვასაძის ინფორმაციით, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო ნებართვის გაცემას შეგნებულად აჭიანურებს, რადგან ამ ტერიტორიაზე საკუთარი ინტერესები აქვთ აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან დაახლოებულ ბიზნესწრეებს. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კონკრეტულ გვარებსაც ასახელებს.

„მოგეხსენებათ, სამშენებლო ნებართვების გაცემაში ჩართულია კულტურული მემკვიდრეობის საგენტო. 8 თვეა, კონკრეტული საქმე გაჩერებულია და ინვესტორი, რომელსაც ქალაქის ცენტრში უდიდესი პროექტი აქვს განსახორციელებელი, პრაქტიკულად ყოველი მომდევნო კომისიის სხდომაზე საკითხის გადადების წინაშე დგება. ოფიციალურად მივწერე სააგენტოს, რა არის ამის მიზეზი და ველოდები პასუხს. ფაქტია, რომ ხელოვნურად აჭიანურებენ. ჩემი ინფორმაციით, აქ არის სხვა ინტერესი. კერძოდ, ძმები ხიმშიაშვილების, რომლებიც დაახლოებულნი არიან მთავრობის თავმჯდომარესთან. მათ აქვთ სამშენებლო კომპანია და როგორც მეუბნებიან, სწორედ მათ სურთ, უკვე დაწყებული პროექტი წაართვან კონკრეტულ კომპანიას და მოხდეს მათი ჩანაცვლება. საუბარია რამდენიმე მილიონზე, ქალაქის ცენტრში პრაქტიკულად, ერთი კვარტალის მშენებლობაზე“, – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მედეა ვასაძე.

საქართველოს პარლამენტის წევრი, მურმან დუმბაძე კი ძმებ ხიმშიაშვილებს პრივილეგირებულ ბიზნესმენთა შორის მოიაზრებს. მისი თქმით, „ვარშალომიძის კაბინეტში მჯდომმა ბიზნესმენებმა ახლა ხაბაძის კაბინეტში გადაინაცვლეს და ყველანაირი შეღავათით სარგებლობენ“.

იმ ფაქტს, რომ ხიმშიაშვილებს მართლაც აქვთ გარკვეული პრივილეგიები, ადასტურებს ბათუმის ცენტრში, გორგილაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზაციაც. აღნიშნული ტერიტორია, კერძოდ 1767 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, აუქციონში მონაწილე ერთადერთმა კომპანიამ – შპს „მეგა პალასმა“ შეიძინა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, შპს „მეგა პალასი“ 2014 წელს დაფუძნებული კომპანიაა. კომპანიის 50-50% წილის მფლობელები არიან ბიზნესმენები – ლევან ხიმშიაშვილი და ჯუმბერ ზოიძე. კომპანიას ეს ტერიტორია 30-პროცენტიანი ფასდაკლებით, 610 ათას დოლარად გადაეცა.

ბიზნესმენი ლევან ხიმშიაშვილი არჩილ ხაბაძესთან მეგობრულ ურთიერთობას თავადაც არ მალავს და „ბათუმელებთან“ საუბრისას აღნიშნავს: „ადრე იყო ხისტი დამოკიდებულება ბიზნესმენების მიმართ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ არჩილ ხაბაძის მეგობარი ვარ“, თუმცა, მისივე მტკიცებით, განმეორებით აუქციონში გამარჯვებაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია მის „დიდი ხნის ნაცნობობას არჩილ ხაბაძესთან“.

კომპანია „მეგა პალასი“, რომელიც აუქციონის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე, 29 იანვარს დარეგისტრირდა და გაიმარჯვა კიდეც, ზემოხსენებულ ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობას გეგმავს. აქვს თუ არა მას რაიმე სახის ინტერესი მედეა ვასაძის მიერ ხსენებულ პროექტთან დაკავშირებითაც, ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მის ხელთ არსებულ მასალებს გაასაჯაროებს.

მანამდე კი ის სხვა რამდენიმე კორუფციულ გარიგებაზე ამახვილებს ყურადღებას და აპირებს, რომ კონკრეტული კითხვებით მიმართოს აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს.

მედეა ვასაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:

– არის არაერთი ფაქტი, სადაც აშკარა კორუფციული გარიგება იკვეთება. არსებობს ძალიან დიდი მასალა, რომელსაც მალე გავასაჯაროებ. დღის წესრიგში დგება უმაღლეს საბჭოში მთავრობის თავმჯდომარის მონვევის საკითხი და ამიტომ მინდა ეს თემები უშუალოდ მის წინაშე დავაყენო. მაგალითად, სამუფთოსთვის ორი შენობის შესყიდვა ძალიან ბევრ კითხვას ბადებს. ფასთა შორის სერიოზული სხვაობაა. მე გამოვითხოვე საექსპერტო შეფასება და აღმოჩნდა, რომ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს. თქვეს, რაც გამყიდველმა დააფასა, ის გადავიხადეთო. სინამდვილეში შენობაში, რომელიც 300 ათასად იყიდებოდა, მილიონია გადახდილი. ცხადია, არსებობს ეჭვი, რომ აქ სერიოზული თანხების მითვისებასთან გვაქვს საქმე. კითხვები ჩნდება ინერტული მასალების მოპოვებასთან დაკავშირებით. ამ სფეროში საკმაოდ მაღალი კონკურენციაა, ამიტომ ძლიერია კონკრეტული პირების ინტერესიც. ერთ შემთხვევაში 40 ჰექტარი ჯერ გასცეს, როგორც საფერმე მეურნეობის მოწყობის მიზნით, შემდეგ უკვე ამ კერძო მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე გამოაცხადეს ტენდერი ინერტული მასალების მოპოვებაზე და ცხადია, გაიმარჯვა იმავე კომპანიამ, ვის მფლობელობაშიც გახლდათ რეალურად ეს ტერიტორია. ეს არის ბათუმის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია. აქაც აშკარად გამოხატული კორუფციული გარიგებაა.

– და რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ამ საქმეებში პირადად არჩილ ხაბაძის ინტერესი იკვეთება?

– როგორ წარმოგიდგენიათ, ამ ტიპის საქმეები ვის კაბინეტში წყდება? მეტი რა უნდა მიუთითებდეს ხაბაძის მონაწილეობაზე, როდესაც სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით შექმნეს სახელმწიფო შპს, სადაც საწესდებო კაპიტალის სახით ბიუჯეტიდან 17 მილიონი გადაირიცხა და ეს ფული დაუქვემდებარეს ხაბაძის მამას, იმდენად, რამდენადაც სანარმოთა მართვის განყოფილების უფროსი გახლავთ. ნეღან ვახსენე შეჩერებული ინვესტიციები. ასეთივე პრობლემაა, გონიოს პოლიგონთან დაკავშირებით, სადაც ძალიან დიდი ინვესტიციით შემოსვლის სურვილი აქვს ინვესტორს, იბლოკება ეს თემაც ძალიან საეჭვო ვითარებაში. ყველაფერი მზად არის და საკითხი გაჩერებულია. ინვესტორი დარბის აჭარის მთავრობასა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შორის და ვერაფრით ამოხსნა, რა ხდება. უახლოეს დღეებში ვაპირებ, ყველა ამ საკითხზე უფრო ვრცლად ვისაუბრო და დავასახელო კონკრეტული გვარები, ვისი ინტერესებიც იკვეთება ამ კორუფციულ გარიგებებში და ვინ ბლოკავს მრავალმილიონიან ინვესტიციებს რეგიონში.

აჭარის მთავრობის საქმიანობის შესწავლას საპარლამენტო კომისიის ფარგლებში ითხოვს დეპუტატი მურმან დუმბაძეც, რომელიც, ასევე, საუბრობს კორუფციულ გარიგებებზე.

მურმან დუმბაძე, პარლამენტის წევრი:

– პარლამენტში მხარს ვუჭერ კორუფციული ფაქტების შემსწავლელი კომისიის შექმნას, სადაც წარმოვადგენ კონკრეტულ მასალებს აჭარის რეგიონში არსებულ ვითარებაზე. უმრავლესობა ჯიუტად ცდილობს, პარლამენტში ეს საკითხი არ გავიდეს. ჩემი მონაცემებით, ტენდერების სისტემა მთლიანად არის მორყეული. არაერთი საქმე პროკურატურაშიც დევს, თუმცა უშედეგოდ. არაერთი ფაქტის მოყვანა შემიძლია, სადაც იკვეთება, რომ კონკრეტული გარიგებები ხდება არჩილ ხაბაძის კაბინეტში.

– მაგალითად?

– მაგალითად, აჭარის უმაღლეს საბჭოში გაიტანეს საკითხი ახალი სახელმწიფო შპს-ს შექმნის შესახებ, რომელსაც გადაერიცხა 17 მილიონი. ამ სახელმწიფო კომპანიამ ვითომც-და უნდა უზრუნველყოს ბათუმში სტადიონისა და საავადმყოფოს მშენებლობა, სინამდვილეში, ეს არის ფულის კეთების ახალი წყარო. ამ პროექტის ჯამური ღირებულება დაახლოებით 75 მილიონი ლარი იქნება და მას მთლიანად განკარგავს არჩილ ხაბაძის მამა, თამაზ ხაბაძე, რომელიც სახელმწიფო კომპანიებს კურირებს. ადრე ესპანელებს ჰქონდათ მოგებული სტადიონის მშენებლობის ტენდერი, მაგრამ შეგნებულად ჩააგდეს, რათა ეს უზარმაზარი თანხა მთლიანად ჩაეგდო ხელში აჭარის ხელისუფლებას. პირდაპირი სახელმწიფო კორუფციული გარიგებაა. ეს მასალები პროკურატურაშიც დევს და ის, რომ საქმე არ იძვრის, მაფიქრებინებს, რომ აქ უფრო მაღალი თანამდებობის პირები არიან ჩართულნი. ასევე, კორუფციული ფაქტები იკვეთება მუსლიმანთა სამმართველოსთვის 5-მილიონიანი ქონების შესყიდვაში. არავითარი კონკურსი, არავითარი ქონების აღწერა არ მომხდარა, ისე მისცეს ერთ კონკრეტულ პირს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 5 მილიონი ლარი. ჩვენი ინფორმაციით, ამ ქონების ღირებულება 2-ჯერ ნაკლებია რეალურად გადახდილი თანხისა. ამ თანხიდან 2 მილიონი ლარი პირდაპირი „ატკატის“ სახით მიტანილია ხაბაძესთან.

„არაერთი ფაქტის მოყვანა შემიძლია, სადაც იკვეთება, რომ კონკრეტული გარიგებები ხდება არჩილ ხაბაძის კაბინეტში“

რამდენად შეეს-აბამება რეალობას ოპონენტების ბრ-ალდებები? ამის გასარკვევად აჭ-არის ფინანსთა სამინისტროს დავუკავშირდით. უწყებამ ჩვენს კითხვებს წერილობით უპასუხა. როგორც ჩანს, მედეა ვასაძის შესახებ კონკრეტული ინფორმაციების გამოქვეყნებას აჭარის მთავრობაც გეგმავს, რაც ნიშნავს, რომ რეგიონი კომპრომატებით ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადის. სანამ აჭარის ფინანსთა სამინისტროს განმარტებებს გაგაცნობთ, გეტყვით, რომ უწყებაში კატეგორიულად უარყოფენ ინვესტიციების დაბლოკვას კონკრეტული ბიზნესმენების სასარგებლოდ, თუმცა ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩვენთვის გამოგზავნილ წერილობით პასუხებში არაფერია ნათქვამია ძმები ხიმშიაშვილების შესახებ.

– ოპონენტების ინფორმაციით, ხაბაძესთან დაახლოებული ბიზნესმენების სასარგებლოდ (ძმები ხიმშიაშვილები) ხდება მსხვილი ინვესტორებისთვის პრობლემების შექმნა... მაგალითად, სახელდება ბათუმის ცენტრში მიმდინარე მშენებლობა და გონიოს პოლიგონი...

– 2015 წლის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული ინვესტიციები 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 122%-ით, 91 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. შესაბამისად, ინვესტიციების დაბლოკვასთან დაკავშირ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აჩერებული მშენებლობების უკან?

ფინანსთა სამინისტრო: „უახლოეს პერიოდში აუცილებლად გავასაჯაროებთ შედეგებს, რა უმნიშვნელო ფინანსური მოგებაზე მუშაობდა შპს „ნავთობგადამამუშავებელი“ მედეა ვასაძის მაზლის დირექტორობის პერიოდში“

რა კომპრომატების გამოქვეყნებას გეგმავს მედეა ვასაძე და რას პასუხობენ მას აჭარის მთავრობაში?

ებული ნებისმიერი ბრალდება განცხადების ავტორის მხოლოდ პირად ინტერესებს ემსახურება და რეალობას არ შეესაბამება.

გონიოს ყოფილი სამხედრო პოლიგონის ტერიტორიასთან დაკავშირებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე ტერიტორიის განვითარების პოტენციალის კვლევა მიმდინარეობს. პროექტზე საერთაშორისო ორგანიზაცია „Colliers International Specialist and Consulting UK LLP“ მუშაობს და მისი მიზანია აღნიშნული ტერიტორიის თითოეული ზონის სტრატეგიული დაგეგმარება, რათა შემდგომში ტერიტორია საინვესტიციოდ იქნას გამოყენებული. გონიოს ტერიტორიის განვითარება სწორედ აღნიშნული კონცეფციის მიხედვით მოხდება. საინვესტიციო ობიექტების პრივატიზებისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მსგავსი კვლევა აჭარაში დღემდე არ ჩატარებულა. მას შემდეგ, რაც სპეციალისტები საბოლოო დასკვნებს წარმოადგენენ, მოხდება ყველა პროექტის დეტალური განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. მედეა ვასაძის განცხადებების მიზანი პოლიტიკური ქულების დაწერაა, რასაც ის ყველა საშუალებით ცდილობს, მაშინ როდესაც მისი, როგორც აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, შეფასებები, პირველ რიგში, რეგიონის განვითარების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. გვსურს, კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ ყველას, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ინვესტიციების თემაზე განცხადებებს, ვინაიდან მსგავსი არასწორი ბრალდებები, ინვესტორების მიერ ინვესტიციების განხორციელებას უშლის ხელს.

– რამდენად კონკურენტულ გარემოში ხდება ინერტული მასალების მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემა?

– ინერტული მასალების მოპოვებაზე ლიცენზიების გაცემა 2012 წლამდე არაელექტრონული წესით ხდებოდა. მეტი გამჭვირვალობისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენი უწყების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ლიცენზიების გაცემა სწორედ ელექტრონული აუქციონის წესით დაიწყო, შედეგად ბიუჯეტში აკუმულირებული თანხების რაოდენობა გაიზარდა. მაგალითისთვის: 2011 წელს არაელექტრონულ აუქციონზე გამოტანილი იქნა 909 400 კუბური მეტრი მოცულობის ქვიშა-ხრეში, აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 441 036 ლარი შეადგინა. 2013 წელს ელექტრონულ აუქციონზე გამოტანილ იქნა 216 300 კუბური მეტრი მოცულობის ქვიშა-ხრეში, აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 1 მილ 50 000 ლარი შეადგინა.

ეფექტურად განხორციელებული ელექტრონული აუქციონის წესით, 2011 წელთან შედარებით, 2013 წელს 4-ჯერ ნაკლები მოცულობის ქვიშა-ხრეშის ლიცენზიების გაცემის შედეგად, 2-ჯერ მეტი (150%-ით მეტი) თანხა შევიდა აჭარის ა/რ რესპუბლიკურ ბიუჯეტში. რაც შეეხება აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიას, ის აუქციონის წესით, იჯარით გაიცა. ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას ტერიტორიაზე სათევზე მეურნეობა უნდა მოეწყო, რომლის პროფილი მთელი სარგებლობის ვადით უნდა შეენარჩუნებინა. პროექტში არანაკლებ 1 მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა განხორციელებინა. სათევზე მეურნეობა მოითხოვდა მისი მოწყობისთვის აუცილებელ მიწის დაღრმავებას (რისი პროექტიც არსებობდა). ვინაიდან სამინისტრომ დაინახა რისკი, რომ კომპანიას შესაძლოა, ინერტული მასალის მოპოვება განეხორციელებინა (რისი მცდელობაც მანამდე ჰქონდა), უწყებამ შეაჩერებინა კომპანიას დაღრმავების სამუშაოები ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვების აუქციონის გამოცხადებამდე. პარალელურად ფაქტის ირგვლივ არსებული დოკუმენტაცია სამინისტრომ შესაბამის სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოებს გადაუგზავნა. მას შემდეგ, რაც კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება დააგვიანა, სამინისტრომ მასთან ხელშეკრულება გააუქმა, რათა დანარჩენ 3,6 ჰექტარზეც არ განეხორციელებინა მსგავსი სამუშაოები.

– სტადიონის მშენებლობაზე რას იტყვით?.. ამბობენ, რომ ამ მიზნით სპეციალურად შექმენით სახელმწიფო კომპანია, რომელსაც არჩილ ხაბაძის მამა აკონტროლებს...

– შპს-ს შექმნა კონკრეტული პროექტების განხორციელების მიზნით არ არის ახალი მეთოდი. ამის მაგალითი გვაქვს 2009 წელს შექმნილი შპს „ჰიგიენა 2009“-ის სახით, რომელსაც ნაგავსაყრელის მშენებლობის მონიტორინგი დაევალა. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ შპს „ჰიგიენა 2009“-ს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) 3 მლნ ევროს სესხით, ხოლო შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) 4 მილიონი ევროს გრანტით აფინანსებს. საუბარია უდიდესი ფინანსური რესურსისა და გამოცდილების მქონე ორგანიზაციებზე, რომლებმაც შპს დააფინანსეს და ამით ამ ტიპის ორგანიზაციისადმი თავიანთი ნდობა გამოხატეს. აქვე გვსურს, ხაზი გავუსვათ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, როგორც სამინისტროს, ასევე, შპს-ს შემთხვევაში სავალდებულოა, შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით განხორციელდეს. ამდენად, გაუგებარია მედეა ვასაძის დამოკიდებულება შპს-ს შექმნასთან დაკავშირებით და ბადებს ეჭვს, რომ მისი ეს განცხადებები მხოლოდ პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებასა და საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

ყველას კარგად ახსოვს მედეა ვასაძის მიერ შპს „ნავთობგადამამუშავებელთან“ დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები, რაც დღეს უკვე აღარ გვესმის, რასაც თავისი ლოგიკური მიზეზები აქვს. ქალბატონ მედეასთვის უკვე აღარ არის პოლიტიკურად მომგებიანი წარმატებული შპს „ნავთობგადამამუშავების“ თემით აპელირება. უახლოეს პერიოდში აუცილებლად გავასაჯაროებთ შედეგებს, რა უმნიშვნელო ფინანსური მოგებაზე მუშაობდა შპს „ნავთობგადამამუშავები“ მედეა ვასაძის მაზლის დირექტორობის პერიოდში და რა შემოსავლები მოიტანა დღეს.



„სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით შექმნეს სახელმწიფო შპს, სადაც საწესდებო კაპიტალის სახით ბიუჯეტიდან 17 მილიონი გადაირიცხა და ეს ფული დაუძვემდებარეს ხაბაძის მამას, იმდენად, რამდენადაც საწარმოთა მართვის განყოფილების უფროსი გახლავთ“

არჩილ ხაბაძე

ლევან ხიმშიაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ დატოვა „ჩემი ცოლის და

my View
ნინო მჭედლიშვილი

ქართულ ტელესივრცეში ერთ-ერთ რეიტინგულ სერიალში კვლავ შეიცვალა მთავარი გმირი, უკვე მეორედ(!). კატო კირვალიძის როლზე კვლავ ნინო გაჩეჩილაძე დააბრუნეს. როგორც ირკვევა, როლზე უარი თავად ლელა მებურიშვილმა თქვა. რა მოხდა რეალურად „ფორმულა კრეატივში“ და რა მიზეზით მიატოვა სერიალის მთავარი როლი, ლელა ჩვენთან ინტერვიუში გიამბობთ.

მსახიობთან ახალ სამსახურზე, მეუღლეზე და პატარა ალექსანდრეზეც ვისაუბრეთ.

- ჩემი პირველი პირდაპირი ეთერი „ჯეოსტარი“ იყო. იქ ყველა მეხმარებოდა, მასწავლიდნენ, რა როგორ გამეკეთებინა. ძალიან მომეწონა და შემიყვარდა ეს ამპლუა. ამ პროექტის მერე „ეკი-ვოკის“ წამყვანობა შემომთავაზეს და სიამოვნებით დავთანხმდი. მას მერე, რაც ფეხმძიმობის გამო ამერიკაში მომიწია წასვლა, ამ გადაცემის წამყვანად სხვა დაამტკიცეს. რომ დავბრუნდი სულ მქონდა ტელეწამყვანობის დანაკლისი. რამდენიმე შემოთავაზება მქონდა სხვადასხვა არხიდან. თავიდან თავს ვიკავებდი, რადგან ალექსანდრე პატარა მყავდა. ამ ზაფხულს „იმედიდან“ დამირეკეს და კვირაში ერთი დღით „დღის შოუს“ თანაწამყვანობა შემომთავაზეს. ვიფიქრე, რომ კვირაში ერთი დღე ადვილად შეთავსებადი იქნებოდა, სერიალთან თანამშრომლობაში ხელს არ შემიშლიდა. თან ისეთი თემა შემომთავაზეს, რაც ამ ეტაპზე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია: ბავშვის მოვლა, კვება, აღზრდა.

- როცა „იმედს“ დასთანხმდი, იფიქრე იმაზე, რომ ეს „ჩემი ცოლის დაქალებში“ ხელს შეგიშლიდა?

- არა, რადგან როცა სერიალში მონაწილეობას დავთანხმდი, მაშინვე გვქონდა მოლაპარაკება, რომ შემეძლო პარალელურად ნებისმიერ პროექტში, ნებისმიერ არხზე წავსულიყავი. მით უმეტეს, რომ მე უკვე ერთი წელია „რუსთავი 2“-ის თანამშრომელი აღარ ვარ, მე ვარ „ფორმულა კრეატივის“ თანამშრომელი.

- სწორედ „ფორმულა კრეატივის“ თანამშრომელი, მიშა მშვილდაძე ამბობდა, რომ არ არის კარგი ტენდენცია, როცა სერიალის მსახიობი კონკურენტ არხზე იწყებს მუშაობას...

- არ ვიცი მიშამ რატომ თქვა ასეთი რამ. სხვა დროს არ ჰქონიათ პრობლემა. სერიალის არაერთი მსახიობი სხვა არხზე მუშაობს, სხვადასხვა სერიალში.

- მაშ რა მოხდა, რატომ დაბრუნეს ნინო გაჩეჩილაძე?

- მოხდა ისეთი რაღაც, რაზეც საუბარი არც ერთ მხარეს არ გვინდა. ეს შიდა სამზარეულოა და ამაზე საჯაროდ საუბარი არ მიმაჩნია სწორად. დიდი ხანია ამ ჯგუფთან ვთანამშრომლობ. „საპონი“ იყო პირველი სერიალი, რომლის დროსაც დავიწყე თანამშრომლობა და დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს მათთან. ასე რომ, ამ ფაქტზე ასე საჯაროდ საუბარი, ვფიქრობ, არასწორია.

- იყო კონფლიქტი, გაუგებრობა?

- არანაირი კონფლიქტი და სკანდალი არ ყოფილა. ალბათ, უფრო გაუგებრობა. ასეთი რაღაცები ხდება ხოლმე, პირველი ხომ არ არის. უბრალოდ, ისე განვითარდა მოვლენები, გადავწყვიტე, რომ ამ ეტაპზე ასე ჯობდა.

- შენ გადაწყვიტე?

- ჰო, ვინმე სხვანაირად ამბობს? რომ მათ გადაწყვიტეს და გამიშვეს?

- არ ვიცი, კითხვას ვსვამ...

- სიამოვნებით ვიქნებოდი ამ სერიალში და გავაგრძელებდი მუშაობას ამ ჯგუფთან, მაგრამ ისე აეწყო ფაქტები ერთმანეთს, იმდენი რამ დაემთხვა ერთმანეთს, ყველანაირი კონფლიქტის, კამათის და უთანხმოების გარეშე მივიღე გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე ასე ჯობს. დარწმუნებული ვარ სხვა ბევრი საინტერესო პროექტი გველოდება წინ.

- ჩვენ გვახსოვს იდენტური შემთხვევა, როცა ნინო გაჩეჩილაძემ დატოვა სერიალი, მალევე გაირკვა, რომ მსახიობი და პროდიუსინგი ჰონორარზე ვერ შეთანხმდნენ. ხომ არ დგას იგივე პრობლემა ახლაც?

- არა, არანაირი პრეტენზია არ მქონია, არც ჰონორარზე და არც გრაფიკზე. ვიმეორებ, იდეალური ურთიერთობა მაქვს დღემდე ამ ჯგუფთან. ეს ისეთი დეტალებია, რომელზე საუბარი, უბრალოდ, არ ღირს.

- არ მგონია, უმნიშვნელო დეტალებმა გათქმევინა უარი კატოს როლზე. რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა, რაზეც ლაპა-

„ასეთი რაღაცები ხდება ხოლმე, პირველი ხომ არ არის. უბრალოდ, ისე განვითარდა მოვლენები, გადავწყვიტე, რომ ამ ეტაპზე ასე ჯობდა“

„მაყურებელი ყოველთვის მტკივნეულად განიცდის ხოლმე მთავარი გმირის გამოცვლას სერიალში. იქნება, ალბათ, „რა წესია“, „რას გვაპამპულავებენ“, მაგრამ, საბოლოოდ შეეჩვევა თვალი“

„ჩემი ოჯახი არასდროს ყოფილა ამ ტელევიზიის წინააღმდეგი“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქალები“ ლელა მეგურიშვილმა



„ვაპირებდი გამეგრძელებინა თანამშრომლობა „ჩემი ცოლის დაქალებთან“. „რუსთავი 2“-დანაც ველოდებოდი შემოთავაზებას ამ ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ... ძალიან დამწყდა გული“

ბენ იმაზე, რომ „რუსთავი 2“-თან ურთიერთობის გაწყვეტა შენმა ახალმა ოჯახმა გაიძულა, რომელიც, ყველამ ვიცით, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერია.

„ვინმეემ თქვა, რომ მათ გამომიშვეს?“

- სამწუხაროდ, ბევრი არასწორი ვერსია მომისმენია და ერთ-ერთია ეს. დიდი ხანია, რაც ამ ტელევიზიასთან ვთანამშრომლობ და არასდროს მითქვამს ცუდი ამ არხზე. მათ მასწავლეს ბევრი რამ. შესაბამისად, ჩემი ოჯახი არასდროს ყოფილა ამ ტელევიზიის წინააღმდეგი. ჩემი ქმარი ყოველთვის გვერდით მედგა და მოსწონდა ისიც, რასაც ამ ტელევიზიაში ვაკეთებდი. თურქეთში ვიყავით, ჩამოვედით და ვაპირებდი გამეგრძელებინა „ჩემი ცოლის დაქალებთან“-თან თანამშრომლობა. „რუსთავი 2“-დანაც ველოდებოდი შემოთავაზებას ამ ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ... ძალიან დამწყდა გული.

- როგორ გგონია, მაყურებელი როგორ მიიღებს ძველ კატოს, ნინო გაჩეჩილაძეს?

- მაყურებელი ყოველთვის მტკივნეულად განიცდის ხოლმე მთავარი გმირის გამოცვლას სერიალში. იქნება, ალბათ, „რა წესია“, „რას გვაპამპულავებენ“, მაგრამ, საბოლოოდ შეეჩვევა თვალი, თან ეს როლი ხომ სწორედ ნინომ შექმნა და მაყურებელმაც პირველად ის შეიყვარა.

- ამ ამბების შემდეგ ნინოს თუ ესაუბრე?

- არა, არ მინახავს. დაიწყება სეზონი თეატრში და შევხვდებით ერთმანეთს.

- ლელა, ბაჩოს მოსწონს ასეთი აქტიური ცოლი?

- კი, მიეჩვია მგონი. სანამ ცოლ-ქმარი გავხდებოდით, მანამდეც ძალიან აქტიური ვიყავი, გვიანობამდე ვმუშაობდი. ასეთი გამიცნო და ასეთი შევუყვარდი. ამერიკაშიც რომ ვიყავით, საგენტოებს და პროდიუსერებს ეკონტაქტებოდა, ცდილობდა დავესაქმებინე. ძალიან მიწყობს ხელს კარიერაში.

- ამერიკაში წასვლის მთავარი მიზეზი შენი მშობიარობა იყო?

- კი, ასეა.

- ახლა ალექსანდრეზეც მოგვიყევი ცოტა, როგორი ბიჭია?

- ალექსანდრე ჩემთვის ყველაფერია. ხშირად ვამბობ, რომ ზღაპარში ვცხოვრობ. დილით, რომ ვიღვიძებ და გადავხედავ პატარა ხუჭუჭას, გაშტერებული დავცქერი ხოლმე. გვილამაზებს ცხოვრებას, ყველაზე დიდ სიამოვნებას ის გვანიჭებს, მეც და ბაჩოსაც და გვინდა მაქსიმალურად დიდი დრო დავუთმოთ. მე ისედაც ძალიან მიყვარს ბავშვები, ქუჩაში სრულიად უცხო ბავშვებს ვეფერებოდი ხოლმე და ეს მართლა სასწაული ყოფილა. ყველაფერი შეცვალა ჩემს ცხოვრებაში.

- ვინ გეხმარება ბავშვის გაზრდაში?

- ჩემი და ბაჩოს მშობლები. ჩვენ მარტონი ვცხოვრობთ, გვყავს ძიძა. საღამოობით სტუმრები მოდიან ხშირად.

- ცოტა ხნის წინ, დაბადების დღეზე სიურპრიზი მოგიწყვეს პირდაპი ეთერში.

- ჰო, ტორტი, ფოიერვერკი და ბავშვი მომიყვანეს ეთერში. გაოგნებული ვიყავი, „იმედში“ რომ წამოვედი, ბავშვი დასაძინებლად დავტოვე სახლში. თავიდან მეგონა, რომ ეს შემოქმედებითი ჯგუფის სიურპრიზი იყო, მაგრამ ამ სიურპრიზის ავტორი ბაჩო აღმოჩნდა.

- ხშირად განებივრებს ასეთი სიურპრიზებით?

- ცდილობს და მეც ვცდილობ, რომ გავანებივრო სიურპრიზებით, არამხოლოდ დაბადების დღეებზე. ახლა ჩვენი ჯვრისწერის დღე ახლოვდება და მეუბნება, რომ უნდა გამაოცოს, რომ ათი ბალიდან ათით შევაფასებ მის საჩუქარს. სხვა დროს დაახლოვებით მაინც ვხვდები ხოლმე რას მიმზადებს და ახლა წარმოდგენა არ მაქვს. თან თვითონაც მაბრაზებს, ვერ ხვდებიო, სულ მეკითხება (იცინის).

- ლელა, როგორი ცოლი ხარ?

- მაქსიმალურად ვცდილობ ბედნიერი იყოს ჩემი ქმარი ჩემ გვერდით, ვიყო ყველაზე მაგარი ცოლი. ზუსტად ვიცი, რომ ყველაფერს ვერ ვაკეთებ. ჩემი მეუღლე გურმანია და ამ მხრივ ნამდვილად ვერ ვანებივრებ. ჩვენს ოჯახში ყოველთვის არის გემრიელი კერძი, მაგრამ არა ჩემი მომზადებული. თუმცა, როცა დრო მაქვს, ვცდილობ თავად მოვუმზადო რამე გემრიელი და სხვათა შორის გამომდის, ან მატყუებს ბაჩო (იცინის).

- ლელა, რომელიმე ახალ ქართულ სერიალში ხომ არ გამოჩნდები?

- ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, ყველა სერიალი, რომელშიც დაკავებული ვიყავი, წარმატებული იყო თავის დროზე. ძალიან დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი რომელიმე ქართულ მხატვრულ ფილმში თუ დამიძახებენ, სიამოვნებით გადავინაცვლებდი სერიალიდან დიდ კინოში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბათუმში სკულპტურული ომი კვლავაც გრძელდება

ვის და რატომ აშინებს ახალი მემორიალი?

მარია ნადირაძე

ძეგლების გადატანა, დადგმა თუ დემონტაჟი თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ემოციურ თემად გადაიქცა. ამ მხრივ, ბათუმი ხშირად ეპიცენტრიც კია. ამჯერად საქმე ეხება მემორიალს, რომელიც, დიდი ალბათობით, ქალაქის ცენტრში, საკათედრო ტაძართან დაიდგმება და მნახველებს აჭარაზე ოსმალთა სამასწლიან ბატონობას გაახსენებს.

სკეპტიკოსები თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების ჭრილში ხედავენ ამ პროცესს...

ოპტიმისტები – ტერიტორიებდაკარგული საქართველოსთვის ერთგვარ იმედს...

ხელისუფლება კი ჯერჯერობით არც მწვადს წვავს და არც შამფურს და ამ ეტაპისთვის იდეის ავტორებთან მხოლოდ სიტყვიერი მხარდაჭერით შემოიფარგლება...

„პრაიმტაიმი“ არსებული პრობლემების მიმოხილვისთვის იდეის ავტორს, მწერალ ნიაზ ბოლქვაძეს ესაუბრა:

– წარმოიდგინეთ ბათუმი, სადაც არის გაჭყეპილი ბოთლის ძეგლი, შლოპანცის ძეგლი... ასეთ დროს ჩვენს ქვეყანაში უკვე დიდი ხანია ეროვნული გმირების ხსოვნის პატივსაცემად არც ერთი ძეგლი არ დადგმულა... ჩვენი საზოგადოება ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას, როგორც კი რომელიმე წარმომადგენელი ჩვენი მეზობელი ქვეყნიდან იტყვის, რომ ბათუმი თურქეთის ისტორიული ნაწილია. ამბობენ, ამას სკოლებშიც ასწავლიანო. არსებობს რეაქციული ძალები, რომლებიც ამ ინტერესის გავრცელებას უწყობენ ხელს, რომ აჭარა ოსმალეთის იყო და კვლავაც დაუბრუნდება. ამასობაში კი ჩვენგან პროტესტი უკმაყოფილო სახეებით ამოინურება მხოლოდ. ამიტომაც მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის ერთ-ერთ შეკრებაზე გავაჟღერე ინიციატივა, რომ ბათუმის ცენტრში დაგვედგა მემორიალი, რომელზეც ასახული იქნებოდა ჩვენი წინაპრების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. არადა მართლაც თავდადებული გმირები გვყავს – სელიმ ხიმშიაშვილი, რომელსაც ოსმალებმა თავი მოჰკვეთეს, მემედ აბაშიძე, რომელიც სასტიკად აწამეს... სამასი წლის განმავლობაში ათზე მეტი მნიშვნელოვანი შეიარაღებული აჯანყებაა დაფიქსირებული ოსმალთა ბატონობისგან თავის დასაღწევად. ამიტომაც ეს მემორიალი მტერსაც და მოყვარესაც უჩვენებდა, რომ აჭარა ოსმალეთის ისტორიული ნაწილი კი არ იყო, არამედ მიტაცებული ტერიტორია, რომელიც საქართველოს დაუბრუნდა. ამით წერტილი დაესმება სხვა უსაფუძვლო საუბრებს.

– ხელისუფლებისგან, ალბათ, შეგხვდებოდათ წინააღმდეგობა ამ იდეის განხორციელებაზე, ვინაიდან არავის აწყობს თურქეთის განაწყენება...

– სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, ვინც ამბობს, ოსმალეთის ხსენებით თურქეთი არ გავანაწყენოთო. ეს არის მხდალი პოლიტიკა და განათლებასთანაც პრობლემას ვხედავთ. მეოცე საუკუნეში თავად თურქმა ხალხმა თქვა უარი ოსმალეთის დამპყრობლურ პოლიტიკაზე, ათა თურქის ხელმძღვანელობით დაამხო რეჟიმი და შექმნა დემოკრატიული თურქეთის რესპუბლიკა. სწორედ ამ რესპუბლიკასთან გვაქვს ჩვენ მეგობრული ურთიერთობა. მესაბამისად, მემორიალის დადგმით ჩვენ თურქ ხალხთან მეგობრობას სწორი მიმართულება უნდა მივცეთ. თუ ჩვენ იმასაც ვერ ვახსენებთ, რომ ვიყავით დაპყრობილი, ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ თვითონ თურქეთის რესპუბლიკა ყოველი წლის 29 ოქტომბერს ოსმალეთის რეჟიმზე გამარჯვებას აღნიშნავს. შარშან სწორედ ამ დღეს ჩავედი ქემალ ფაშას მთავარ მოედანზე. ყველა დიდი სიამოვნებით იღებდა ჩემგან ბაირამის (დღესასწაულის) მილოცვას. შესაბამისად, ჩვენთვისაც იგივე დღესასწაულია 25 აგვისტო – სულთნისგან განთავისუფლების დღე.

– ამ მემორიალის შექმნის იდეა ორი წლის წინათ გაჩნდა... რა პროცესები გაიარეთ ამ ხნის განმავლობაში? ფაქტია, რომ მემორიალი ჯერაც არ დგას ბათუმში...

– დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იდეა ქვეყანას სჭირდება და ამას საზოგადოებაც გაიზიარებდა – ეს მომავლისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარსულის გასახსენებლად. როდესაც ჩვენი ქვეყანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის წინაშე დგას, უნდა ვიცოდეთ, რომ აჭარისა და მესხეთის დაბრუნება უკვე მოხდა და ეს ფაქტი მომავალ თაობას აძლევს იმედს, რომ დაკარგულის დაბრუნება შესაძლებელია. როდესაც მემორიალის იდეა გაჩნდა, პირველ რიგში, მივმართეთ ბატონ არჩილ ხაბაძეს, ქალაქის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და მეუფე დიმიტრის. ჩავრთეთ მერაბ ბერძენიშვილიც. როდესაც მან მაკეტი ნახა, თქვა, რომ ეს არის ბრწყინვალე იდეის ბრწყინვალე განხორციელება. მხარს გვიჭერენ დედაქალაქშიც – ეროვნული აკადემია და ქართული ერთობის დარბაზი... ბათუმის ბიბლიოთეკაში შედგა შეხვედრა ინტელიგენციასთან. მაკეტი ჯერ კიდევ პლასტელინში იყო შესრულებული. ყველამ მოიწონა ამ იდეის ვიზუალურიც და შინაარსობრივი ნაწილიც. ჩავატარეთ გამოკითხვაც და რაკი იდეამ გაიმარჯვა, საბოლოოდ საკრებულოსა და მერიას მივმართეთ მოთხოვნით ადგილის გამოყოფაზე. ბათუმის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში განიხილეს ეს საკითხი და თქვეს, რომ ამ მემორიალის დადგმა აუცილებლად მიაჩნიათ და მისთვის ადგილიც მიუთითეს.

– სად იყო ეს ადგილი?

– გმირთა ხეივანში... თუმცა არქიტექტორებისთვის ეს ადგილი მიუღებელი აღმოჩნდა. სწორედ იქ დგას გაჭყეპილი ბოთლის და სხვა მსგავსი ძეგლები. თუ ჩვენ იქ დავდგამდით ამ მემორიალს, მერე მაინც მოგვიწევდა მისთვის ადგილის შეცვლა. ჩავატარეთ გამოკითხვა საზოგადოებაში და სწორედ ამ გამოკითხვის შედეგად დღეს ამ მემორიალისთვის ადგილი უკვე ნაკურთხი აქვს მეუფე დიმიტრის – საკათედრო ტაძრის მიმდებარე სკვერში. სხვათა შორის, ერთი ძალიან საინტერესო დამთხვევა მოხდა: რამდენიმე დღის წინ გავეცანი ერთ ისტორიულ დოკუმენტს. ეს არის ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერები, რომელმაც 80-იანი წლების ბოლოს იმოგზაურა აჭარაში, აღწერა ისტორიული დეტალები, რაც ამ კუთხემ გადაიტანა ოსმალთა ბატონობის დროს. ერთ-ერთი ასეთი ისტორიის მიხედვით, როდესაც ოსმალომ აჭარა დაიპყრო, დადგა თავსაკვეთები, სადაც გამოფენილი იყო იმ ადამიანთა მოკვეთილი თავები, ვინც ქრისტიანობაზე უარს არ იტყოდა. ასეთი თავსაკვეთები იყო კინტრიშზე, მდინარე მაჭახელაზე, აჭარის წყალზე, ჭოროხზე და ბათუმში. ბათუმში მითითებულ ადგილზე წერია, რომ, სადაც თავსაკვეთი და სახრჩობელა იდგა, მოგვიანებით აიგო კათოლიკური ეკლესია, რომელიც ახლა ჩვენი საკათედრო ტაძარია... როდესაც ეს ადგილი მემორიალისთვის იკურთხა, მაშინ ჩვენთვის ცნობილი არ იყო ეს ისტორია. სხვათა შორის, საპატრიარქოს მივმართეთ თხოვნით, რომ, რაკი მესხეთისა და აჭარის განთავისუფლებისთვის ბრძოლას ათეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 25 აგვისტო შეტანილი იყოს ღირსშესანიშნავი რელიგიური დღეების ნუსხაში. მეუფე დიმიტრი დაგვპირდა, რომ სინოდის უახლოეს კრებაზე თავად წარადგენს ამ წინადადებას. იგივე იდეით მივმართეთ პარლამენტის თავმჯდომარესაც, მაგრამ უპასუხოდ დაგვტოვა. როგორც ჩანს, ეროვნული ინტერესების დაცვა რესპუბლიკური პარტიის ინტერესებში არ შედის...

„შიშველი პოსეიდონის ძეგლის გადმოტანაზე, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ძეგლი ჩაანაცვლა, მთელი თვის ბიუჯეტი დაიხარჯა“

– კონკრეტული დოკუმენტი თუ გაქვთ ხელისუფლებისგან ამ მემორიალისთვის ადგილის გამოყოფაზე?

– გასული წლის 12 დეკემბერს ბათუმის საკრებულოში განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიამ, რომელსაც 8 დეპუტატი ესწრებოდა, ერთხმად გადაწყვიტა, რომ ეს მემორიალი უნდა დაიდგას იმ ადგილზე, რომელიც უკვე ნაკურთხია. ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა და ბოლოს, და ბოლოს, საკრებულოს თავმჯდომარემ და ქალაქის მერმა, რომლებიც 25 აგვისტოს ესწრებოდნენ აჭარის განთავისუფლების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, მოგვილოცეს და აღნიშნეს, რომ ხალხის ნება აღსრულებული იქნება ადგილის გამოყოფაზე. თუმცა ამ დრომდე ჩვენ მათი მხოლოდ სიტყვიერი დაპირება გვაქვს. რამდენიმე დღის წინ შეხვედრის დროსაც დაგვიდასტურა ბატონმა ერმაკოვმა, რომ საკითხი გადაწყვეტილია და მალე დაიწყება მისი აღსრულება.

– გამოდის, რომ პრობლემა არ გქონიათ ამ მემორიალის დადგმაზე...

– პრობლემა ის არის, რომ ამ დრომდე მხოლოდ სიტყვიერი დაპირება გვაქვს და არ არსებობს თანხები...

– რა თანხას გულისხმობთ?

– მემორიალი ჩვენი სახსრებითა და შემოწირულობებით შეიქმნა. უამრავმა ადამიანმა ანაზღაურების გარეშე იმუშავა. მხოლოდ კვარცხლბეკისთვის ვითხოვეთ 25 ათასი ლარი. ამისთვისაც 16 ოქტომბერს საქველმოქმედო კონცერტს ვმართავთ და იმედი გვაქვს, რომ საჭირო თანხა შეიკრიბება. ეს ფულიც აღარ დაგვჭირდება ხელისუფლებისგან. მხოლოდ ნება იქნება საჭირო, მეტი არაფერი. თუმცა გულდასაწყვეტია, რომ შიშველი პოსეიდონის ძეგლის გადმოტანაზე, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ძეგლი ჩაანაცვლა, მთელი თვის ბიუჯეტი დაიხარჯა. ნინოსა და ალის ძეგლის გადაადგილებაზე, სამ მეტრზე რომ გადასწიეს, 185 ათასი ლარი გამოიყო, მაგრამ ასეთი მამულიშვილური საქმისთვის ერთი თეთრი არ გამოიყოფა ბიუჯეტიდან. ზოგადად, ქვეყნის კეთილდღეობას სჭირდება ხალხის, ხელისუფლებისა და ეკლესიის ერთობა. ამ შემთხვევაში გამოვლინდა ეს ერთობა. აკლია მხოლოდ მერის ხელმოწერა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲤᲝᲢᲝ: ᲗᲘᲜᲐ ᲗᲣᲗᲘᲡᲐᲜᲘ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ონისე ონიანის ცხოვრე



„ზედსიძე ვიყავი და ლოგავი, ჩვის ვსვამდი ხვაშრით“

my View
ნინო მჭედლიშვილი

მუსიკოსი დედისა და ეკონომისტი მამის ოჯახში გაიზარდა. ცეკვა რომ მოსწყინდა, ქუთაისის თეატრში სცენის მუშად დაიწყო მუშაობა. მალე აიკრა გუდა-ნაბადი და 16 წლის ასაკში დედაქალაქს შეაფარა თავი...

პირველ წელს დაიწუნეს, მეტყველება გიჭირს, ზედა ტუჩი არ გიმუშავებსო, უთხრეს. დღეს მარჯანიშვილის თეატრის წამყვანი მსახიობია.

ონისე ონიანს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ვესაუბრეთ.

ლეიბის საბერტყი ჯოხი და მეზობლის გაპუტული ინდაური

- 16 წლამდე ქუთაისში ვიზრდებოდი. ზაფხულობით ხშირად ვიყავი რაჭაში, სადაც დღემდე მაქვს სახლი და ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადგილია... უბრალო ადამიანები იყვნენ ჩემი მშობლები, დედა მუსიკოსი გახლდათ, მუსიკალურ ათწლედში ასწავლიდა. მამა ეკონომისტი იყო, პარალელურად მღეროდა ქუთაისის ერთ-ერთ ხალხურ ანსამბლში. მყავს უფროსი და-ძმა. ჩემი უფროსი ძმა სულ მეჩხუბებოდა, შენგან არაფერი გამოვა, არაფერი იქნები ამ ქვეყანაზე, გამრავლების ტაბულაც არ იცი. მართლა არ ვიცოდი და მის ჯინაზე ვისწავლე.

- როგორც უმცროსს გათამამებდნენ?

- არა, ჩვენს ოჯახში არ იყო შვილების გათამამებისა და გაფეტიშების კულტი... ვიყავი ძალიან ცელქი, სისხლს ვუშროდი ჩემებს, მდინარეზე ვიპარებოდი და თან მიმყავდა მთელი უბნის ბავშვები. წარმოიდგინე, მდინარე ვერეში რომ იბანაო, დაახლოებით ასეთი მდინარე იყო ქუთაისში, ოღასკურა, ბაყაყებითა და კიბორჩხალებით სავსე. იქ დამყავდა ბავშვები. მერე მშობლები ნაკურთხ წყალში გვაბანავებდნენ, რომ არაფერი დაგვმართნოდა (იცინის). დედაჩემი ლეიბის საბერტყ ჯოხსაც დამამატებდა ხოლმე... საშინელებებს ვაკეთებდი. ერთხელ, მახსოვს, ინდაური გავპუტე, ფარშევანგი მეგონა (იცინის). მერე ინდაურებს მიმალავდნენ, გაპუტავსო.

- განსაკუთრებული დარიგება გახსენდება მშობლების მხრიდან?

- აკრძალვები არ ყოფილა. მოგეხსენებათ, აკრძალული ხილი ყოველთვის გემრიელია, ეტყობა ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ჩვენი მშობლები და არაფერს გვიშლიდნენ. მაშინ მერვე-მეცხრე კლასელ ბავშვებს ღამისთევით არსად უშვებდნენ, მე მიშვებდნენ ჩემი მშობლები... დიდი სიყვარული იყო ჩვენს ოჯახში, არ მახსოვს ჩემს მშობლებს ეჩხუბათ, ისეთი სიყვარული ჰქონდათ... ეს იყო ურთიერთობის მაგალითი ჩემთვის. ასე რომ, დარიგება, როგორც ასეთი, არ ყოფილა, მაგალითები წინ გვქონდა სამივეს ჩვენი მშობლების სახით.

მარტო დედაქალაქში

- სკოლა დავამთავრე და წამოვედი თბილისში მარტო. დიდ ქალაქში ცხოვრების სურვილი დიდი იყო ჩემში. იმ პერიოდში თბილისში მყავდა უკვე მეგობრების წრე. არ მქონდა სახლი, ვიქირავე ბინა. იმ წელიწადს ვერ ჩავაბარე. მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში ვაბარებდი. მეორე ტურში ვეღარ გავედი, მეტყველების პრობლემა გაქვს, ზედა ტუჩი არ გიმუშავებსო, მითხრეს. მერე, როცა უკვე ჩავაბარე, საწარმოო პრაქტიკის დროს მომისმინა რუსუდან ფარემოზაშვილმა და თქვა, ეს რა კარგი ბიჭი არ მივიღეთ მაშინო. ამის მერე დავაბლოვდითო... სანამ ჩავაბარებდი, ჯარი იყო ჩემს ცხოვრებაში. ჯარის შემდეგ საფუძვლიანად მოვემზადე და ჩავაბარე თეატრალურში. ძალიან საინტერესოდ მახსენდება ეს პერიოდი.

- რამ თუ ვინ მოახდინა გავლენა შენზე, რომ სწორედ ეს სფერო აირჩიე კარიერისთვის?

- მშობლებმა შემიწყვეს ხელი. ქუთაისში იყო ანსამბლი „ალიონი“, სადაც ვმღეროდი. პირველი სცენის მტვერი სწორედ აქ შევისუნთქე. ჩვენ კორპუსში ცხოვრობდა არაჩვეულებრივი თეატრალური საზოგადოება: ოპერის მომღერალი, მესხიშვილის თეატრის მსახიობები, თეატრის მუშაკები. ბატონი ანზორ ხერხაძის შვილთან ვმეგობრობდი. ხშირად მიწევდა მისი სპექტაკლების ალბომის დათვალიერება. როგორც კი შეგნებულ ასაკს მივუახლოვდი, დავიწყე თეატრში სიარული. გარკვეული პერიოდი სცენის მუშადაც კი ვმუშაობდი. ბევრჯერ მინახავს გაჯავრებული მსახიობი, რომ ყვიროდნენ დეკორაციების ან სცენის სხვა დეტალების გამო. აქედან გამომდინარე, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, ყოველთვის თბილად ვექცევი სცენის მუშებს. ვერავინ იტყვის, რომ მე, ან სხვა რომელიმე ჩემი თაობის მსახიობი უხეშად მოექცა სცენის მუშას... ეს იყო ჩემი პირველი სამსახური, სადაც მქონდა 80 მანეთი ხელფასი.

- რაში დახარჯე პირველი ჯამაგირი?

- შარვალი შევიკერე. ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ განსხვავებული ჩაცმის სტილი მქონდა. ამის მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ხშირად მივმართავდი მკერავს. მზა ტანისამოსი ყოველთვის უფრო ძვირი იყო...

„იყო დრო, როცა ერთ-ერთ ბარში კარტოფილს ვთლიდი, ელიავაზე საბურავებს ვყიდდი, მერე ჩემი მეუღლე ნამცხვრებს აცხობდა, მე მაღაზიებში ვაბარებდი“

ოაზისი ჯარში

- ჯარი ვახსენეთ, ამან რა გამოცდილება მოგცა?

- ყველაზე დიდი. მოსკოვთან ახლოს, კალუგაში ვმსახურობდი. 26 ქართველი ვიყავით, იქ მყავდა მეგობრებიც, წესით, არაფერი უნდა გაგვჭირვებოდა და არც გვიჭირდა. მაშინ იქ ძალა ჰქონდა ქართველს, რუსისთვის ჩვენ საშიში ობიექტები ვიყავით. კუნთებზე იყურებოდნენ ქართველები და აშინებდნენ ამ საცოდავ რუსებს. მე თანაბრად ვმეგობრობდი უკრაინელთან, რუსთან, თათართან და სომეხთან... დამოუკიდებლობა ვისწავლე ჯარში. იქ ძალიან ბევრ პრობლემასთან პირისპირ შეჯახება გიწევს, რაღაც მომენტში მარტოსულობაც კი. იმდენად მეზიზღებოდა ჯარი, ვამბობდი, ქართული ანბანიდან ასო ბგერა „ჯ“-ს ამოვიღებ-მეთქი. მიუხედავად ამისა, მე ჩემი ოაზისი მოვიწყვე ჯარში. თევზების დიდი აკვარიუმი მქონდა, რომელშიც მყავდა თევზები, მოვაშენე ყვავილები და ვუვლიდი ამ ყველაფერს.

- ქუჩის აკადემიამ რა მოგცა გამოცდილების თვალსაზრისით?

- მე ვასწავლი სკოლაში თეატრალურ ხელოვნებას, მიწევს მაღალ კლასებში შესვლა. გარდა თეატრისა, ჩვენ სხვადასხვა თემებზე ვსაუბრობთ. ყოველთვის ვეუბნები ბიჭებს, რომ ყველამ უნდა გაიაროს ქუჩის აკადემია. თუნდაც ეს ე. წ. „ბირჟა“, ძალიან ბევრ რამეს გასწავლის. ოღონდ ეს არ უნდა გადაიქცეს შენი ცხოვრების

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„16 შეყვარებული მყავდა 21 წლამდე“

„შეიძლება ძალიან მოგწონდეს, მაგრამ თინეიჯეროობის ასაკში ყოფნა რაღაც ასაკის მერე აღარ გიხდება. პირველ რიგში, შენ ასაკს უნდა სცე პატივი, სარკეში ჩაიხედო და ჭაღარა გაიხსენო“

მთავარ ადგილად. ქუჩაში კაცებთან ურთიერთობას სწავლობ, ჩხუბიც მოგიწევს, ხელიც მოგხვდება, სისხლიც წამოგივა ცხვირიდან, მაგრამ ამ ყველაფრით სწავლობ თავის გატანას, ურთიერთობას.

- შენ მოგხვედრია?

- რა თქმა უნდა, გემრიელადაც მომხვედრია. მეცხრე კლასში მახსოვს, მთელი კლასი ავტეხე და შატალოზე წავიყვანე. სხვა უბანში მოვხვდით. ვიღაცამ სიგარეტი გვთხოვა, მერე აგვიშარდნენ, რატომ არ გაქვთო და ამაზე დაიწყო ჩხუბი. ღმერთმა დაგვიფარა და იმ პერიოდში არ იყვნენ შეიარაღებული ტიპები. ე.წ. „ლისიჩკებს“ კი დავატარებდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ ვიყენებდით.

სასიყვარულო გამოცდილება...

- მეორე კლასში ვიყავი, რომ ვთქვი, შეყვარებული ვარ-მეთქი. ხათუნა ერქვა, გვარი არ მახსოვს. ჩემ გვერდით იჯდა, ქუჩქუჩა ტრუსები ეცვა, პატარა მოკლე კაბაზე და უზარმაზარი ბაფთა ეკეთა. თმას ვქაჩავდი სულ, ამით გამოვხატავდი სიყვარულს. 16 შეყვარებული მყავდა 21 წლამდე. 21 წლისამ შევირთე პირველი მეუღლე. სამ თვეში გადავწყვიტეთ დაქორწინება, გაუცნობიერებლად. შვილი არ გვყოლია. ერთი ნელი ვიცხოვრეთ ერთად.

- რამ გააფუჭა ურთიერთობა?

- მისი მშობლების უხეშმა ჩარევამ.

- რას გიწუნებდნენ?

- არ ვიცი, ზედსიძე ვიყავი და ალბათ, ჩაის ვსვამდი ხმაურით (იცინის).

- თუ სიყვარულია, იქ ვერავინ ვერაფერს აფუჭებს...

- არ იყო ჭეშმარიტი სიყვარული. გაუცნობიერებლად შევქმენით ოჯახი. ამის მერე იყო ჩემი ცოხვრების კიდევ ერთი დიდი რომანი, მაგრამ ისიც დამთავრდა.

- რატომ?

- ძალიან რთული ხასიათი ჰქონდა, ეჭვიანი იყო... 28 წლის ასაკში გამოჩნდა ჩემი ცხოვრების მართლა დიდი სიყვარული, თათია, რომელიც ჩემზე ათი წლით უმცროსია და რომელთან ერთადაც ვცხოვრობ დღემდე. ხომ არიან წყვილები, რომლებსაც უყვართ ერთმანეთი, მაგრამ გასართობად ცალ-ცალკე დადიან, თავ-თავისი სამეგობრო წრეები ჰყავთ. ჩვენ სულ ერთად დავდივართ, ჩვენმა მეგობრებმაც იციან ეს და ყველგან ერთად გვეპატიჟებიან. როცა გიყვარს, მას შეცდომებსაც პატიობ, გაბრაზებასაც, ცუდ ხასიათსაც.

- როგორ აბრაზებ თათიას?

- როცა დავთვრებოდი, ვპორტყავდი, ვცანცარებდი. ეს არ მოსწონდა. ახლა დავღვინდი ეტყობა და დავალაგეთ ყველაფერი. შეიძლება ძალიან მოგწონდეს, მაგრამ თინეიჯერობის ასაკში ყოფნა რაღაც ასაკის მერე აღარ გიხდება. პირველ რიგში, შენ ასაკს უნდა სცე პატივი, სარკეში ჩაიხედო და ჭაღარა გაიხსენო. ძალიან ვიწრო სამეგობროში ახლაც კი ავიწყვიტავთ ხოლმე, მაგრამ ამას სხვა ვერ დაინახავს... 4 წელიწადში ვერცხლის ქორწილი გვიწევს და გეპატიჟებით. აქამდე ხელი არ მოგვიწერია, მხოლოდ ჯვარი გვაქვს დაწერილი და ხელსაც მოვაწერთ.

- რას საქმიანობს თათია?

- ერთ-ერთი აფთიაქის მენეჯერია. გვყავს 20 წლის ლილე, რომელიც სამხატვრო აკადემიაში სწავლობს და მერვეკლასელი ტასო.

- ონისე, როგორია რეცეპტი იმისა, რომ სიყვარული არ გახუნდეს?

- ჩემს მეუღლეს არ უყვარს სიურპრიზები, ამან ძალიან შემიწყო ხელი, მაგრამ ამავდროულად, არ უყვარს უყურადღებობა. ჩემი უყურადღებობა ხშირად გამხდარა კამათის საფუძველი. ამასობაში გავიცანით ერთმანეთი და ვფიქრობთ ერთმანეთის სურვილებზე, ხასიათზე. ესაა მთავარი. ჩემი შვილები მაწანწალებს გვეძახიან, ყოველ საღამოს სადღაც გავდივართ, ხან მეგობერთან, ხან კინოში, ხან თეატრში. ვცდილობთ მრავალფეროვანი გავხადოთ ჩვენი ცხოვრება.

ყველაზე რთული პერიოდი...

- რომ გითხრა, ახლა ძალიან კარგად ვარ-მეთქი, მოვიტყუები, მაგრამ შედარებითია ყველაფერი. მაშინ 50 ლარი თუ მქონდა ჰონორარი, ახლა ათასი ლარი მაქვს, მაგრამ იზრდება ხელფასი და იზრდება ფინანსური მოთხოვნები. იყო დრო როცა 50 მანეთზე ვცხოვრობდით და იმასაც დროულად არ მაძლევდნენ. როცა უკვე მამა ხარ და შვილი გყავს, ძნელია ასე ცხოვრება. ამიტომ თეატრის პარალელურად სხვა რაღაცებსაც ვაკეთებდი. იყო დრო, როცა ერთ-ერთ ბარში კარტოფილს ვთლიდი, ელიავაზე საბურავებს ვყიდდი, მერე ჩემი მეუღლე ნამცხვრებს აცხობდა, მე მაღაზიებში ვაბარებდი. ზოგჯერ ათი ნაჭრიდან ექვსი ფუჭდებოდა, ვყრიდით და ასე ნელ-ნელა გამოვძვერით ამ კრიზისიდან. მაშინ ყველას უჭირდა, ხან თათიას მშობლები გვეხმარებოდნენ, ხან ჩემები.

ახალგაზრდობის ელექსირი

- 50 წლის ვხვდებიო, მითხარი. ჩემი მკითხველი არ მაპატიებს, ახალგაზრდო -ბის საიდუმლო ელექსირზე რომ არ გკითხო...

- (იცინის) რაჭულ საჭმელებს ვჭამ ხშირად, ამის ბრალია, ალბათ. სვანები მიბრაზდებიან, სულ რაჭას რატომ ახსენებო, მაგრამ რა ვქნა, იქაურობა უფრო მიყვარს... უკვე ბევრი წელია დილით უზმოზე 2 ჭიქა წყალს ვსვამ. ეს უკვე რეფლექსია, ნახევრად დახუჭული თვალებით მივდივარ ონკანთან და დილას წლით ვიწყებ. სხვა რა გითხრათ, იუმორი აახალგაზრდავებს... ნაოჭებს რაც შეეხება, დედა რომ გვაბანავებდა ხოლმე საბავშვო „მაზს“ („დეტსკი კრემს“) გვისვამდა სახეზე. ეტყობა ამასაც აქვს შედეგი, დღემდე ვხმარობ და ამიტომ გამოვიყურები ახალგაზრდულად (იცინის).

- დასასრულ, შეცდომებზეც გკითხავ...

- უშეცდომო ადამიანი არ არსებობს, მაგრამ უკან რომ დამაბრუნო, ზუსტად იგივე გზას გავივლიდი, რაც აქამდე გამოვიარე. მძიმე და მტკივნეული შეცდომა არ დამიშვია ცხოვრებაში, დღემდე რომ ხინჯად მქონდეს გულში. ცხოვრებისეული შეცდომები, დაუფიქრებელი ნაბიჯები, რა თქმა უნდა, ყოფილა, მაგრამ სწორედ ამან მომცა გამოცდილება, ამან მასწავლა ცხოვრება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროტეინი - სიცოცხლისთვის

სალომე ჩადუნელი

ქეთევან ბერიძე: „ვიტამინების, მიკროელემენტების, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებების შემცველი საკვები დანამატები შესაძლებელია აკრძალულ ნივთიერებებსაც შეიცავდეს“

ფიტნესი და ჯანსაღი ცხოვრების წესი ყოველდღიურად უფრო და უფრო პოპულარული ხდება. უამრავი ადამიანი იწყებს ვარჯიშს და წონის დაკლებისა და სასურველი ფიგურის დაყენების მიზნით სპორტდარბაზებს სტუმრობს. ადამიანები კი, რომლებიც უფრო აქტიური სპორტის მიმდევრები არიან და მხოლოდ ფიტნესით არ ინტერესდებიან სპორტის წესებით ცხოვრობენ. ბოდიბილდერები, ძალისმიერი სპორტის წარმომადგენლები, სპორტის ინსტრუქტორები და ფიტნესით დაკავებული ადამიანები, სპორტული კვების პარალელურად, საკვებ დანამატებსაც იღებენ. პროტეინი, გეინერები, ამინომჟავები, კრეატინები, გლუტამინები - ეს მცირე ჩამონათვალია იმ საკვები დანამატებისა, რომელსაც სპორტსმენები და ხშირად მოყვარულებიც კი ვარჯიშის პარალელურად იღებენ. საკვებ დანამატებს შორის პროტეინი ყველაზე ხშირად მოხმარებადია. აზრები საკვები დანამატების შესახებ სპორტულ მედიცინაში იყოფა: ექიმები მიიჩნევენ, რომ ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების მიღება(ბასდ) სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია, სპორტული ინსტრუქტორების თქმით, კი საფრთხე უსაფუძვლოა და პროტეინის მიღება სპორტსმენებისთვის რეკომენდებულიც კია. საშიშია თუ არა საკვები დანამატების მიღება ორგანიზმისთვის და რა კონკრეტულ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას? - ამ კითხვებით დაინტერესდა „პრაიმტაიმი“ და პასუხების მიღებას კვების ექსპერტებისგან, სპორტის ისტრუქტორებისგან, ენდოკრინოლოგებისგან და თავად სპორტსმენებისგან შეეცადა.

პროტეინი მაღალმოლეკულური ბუნებრივი ორგანული ნაერთია, რომელიც ამინომჟავებისგან შედგება და ცხიმებთან და ნახშირწყლებთან ერთად უმნიშვნელოვანესი ბიოქიმიური დანიშნულება აქვს. დღესდღეობით სპორტული საკვები დანამატების 700-მდე სახეობა არსებობს, რომელთა უმრავლესობა პროტეინს შეიცავს. პროტეინული ნარევი - ეს არის პროდუქტი, რომელიც საკვები ნედლეულისგან მიიღება (კვერცხი, რძე, ხორცი, სოია) და ცილებითაა გამდიდრებული. როგორც წესი, მათში ცილის შემცველობა 60-80%-ია, თუმცა ზოგიერთი სუფთა ცილას წარმოადგენს (100%). ასევე იწარმოება ცილოვანი საკვები ნარევები, რომლებიც ცილის გარდა ნახშირწყლებსა და სხვა აუცილებელ კომპონენტებს შეიცავენ. არსებობს სხვადასხვა სახის პროტეინული ნარევი:

ცილა-ნახშირწყლოვანი - ასეთი ნარევი კუნთოვანი მასის სწრაფი ზრდისთვისაა განკუთვნილი.

ნახშირწყლოვან-ცილოვანი პროდუქტები - ძირითადად, ხანგრძლივი ინტენსიური წვრთნებისა და შეჯიბრებების შემდეგ ფიზიკური შრომისუნარიანობის სწრაფი აღდგენისთვისაა განკუთვნილი.

პროტეინული, ცილა-ნახშირწყლოვანი, ვიტამინიზირებული და სხვა ნარევების გარდა, ბაზარზე სპეციალურად წონის კორექციისთვის განკუთვნილი სხვადასხვა შემადგენლობის ნარევებია, რომლებიც საშუალებას იძლევა სპორტსმენმა წონის კორექცია ფიზიკური დატვირთვების პერიოდში მოახდინოს.

დიეტოლოგ, **ქეთევან ბერიძის** განცხადებით, ზოგადად, პროტეინების მიღება რეკომენდებული არ არის, რადგან არათუ არასწორად, არამედ სწორად მიღების შემთხვევაშიც კი, საკვები დანამატები ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

ქეთევან ბერიძე:

„საკვები დანამატების, ერთი შეხედვით, სწორად მოხმარების შემთხვევაშიც კი მომხმარებელის ჯანმრთელობას შესაძლოა საფრთხე შეექმნას. სხვადასხვა საკვებ დანამატს განსხვავებული გართულებები მოჰყვება. შესაძლებელია დაირღვეს ღვიძლის, თირკმლის ფუნქციები და სისხლის ტუტე-მჟავიანობა, რაც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს“.

ქეთევან ბერიძის თქმით, თუ ადრე საკვები დანამატები უსაფრთხო საშუალებად ითვლებოდა, დღეს, მედიცინაში ჩნდება ნაშრომები, რომლებიც ამ პროდუქტების საფრთხის შემცველობაზე დასაბუთებულად საუბრობს და არ გამორიცხავს, რომ საკვები პროდუქტის ეტიკეტის მიღმა დოპინგის შემცველი ნივთიერებებიც იმალებოდეს.

„ვიტამინების, მიკროელემენტების, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებების შემცველი საკვები დანამატები შესაძლებელია აკრძალულ ნივთიერებებსაც შეიცავდეს. პროდუქტები შეიძლება შედგენოდნენ ნივთიერებებისგან, რომლებიც ეტიკეტზე აღნიშნული არაა და აკრძალულ ნივთიერებებში შედის. შესაძლებელია, ეტიკეტზე აკრძალული ნივთიერება ალტერნატიული სახელით იყოს მითითებული, რომლითაც ის აკრძალულ ნივთიერებათა სიაში შეტანილი არ არის. სხვადასხვა ქვეყანაში ერთი და იგივე სახელის გასაყიდი პროდუქტი შესაძლებელია სხვადასხვა შემადგენლობის იყოს და ეს განსხვავება ეტიკეტზე არ აისახოს; ერთადერთი გამოსავალი ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების(ბასდ) მიღებით გამოწვეული რისკის თავიდან ასაცილებლად, არის ის, რომ სპორტსმენმა უარი თქვას ბასდ-ის მიღებაზე“, - ამბობს ქეთევან ბერიძე.

ქეთევან ბერიძის აზრს არ იზიარებს სპორტის ინსტრუქტორი ია უძილაური, რომელიც თავადაა საკვები დანამატების მომხმარებელი. ის ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ პროტეინებისა და სხვა საკვები დანამატების გარეშე ვერც ერთი სპორტსმენი ვერ შეძლებს ინტენსიური ვარჯიშის შედეგად დახარჯული ენერგიის აღდგენას.

„საკვებ დანამატებს ყოველდღიურად არ ვიღებ, მე ვიცი როდის რა მჭირდება. შეიძლება შეჯიბრისთვის ვემზადებოდე, შეიძლება სუსტად ვგრძნობდე თავს, შეიძლება ნონაში უფრო ვიკლებდე და არ მინდოდეს - სხვადასხვა მიზეზი შეიძლება მქონდეს თუ რატომ უნდა მივიღო საკვები დანამატი. მაგალითად, როცა ვგრძნობ ფიზიკურ საჭიროებას, როცა მკაცრი რეჟიმი და გრაფიკი მაქვს, მკაცრს დიეტაზე ვარ და ამის პარალელურად მე ენერგია მჭირდება, კუნთს სიძლიერე და აღდგენა, რათა ვარჯიშის შემდეგ ტკივილი არ მქონდეს, შეიძლება შეჯიბრების მომზადების პროცესი იყოს. უკვე საკმარისი გამოცდილება მაქვს და ჩემით ვიღებ გადაწყვეტილებას. მხოლოდ საკვებით, ამ დატვირთვას, თითქმის ვერც ერთი სპორტსმენი ვერ აინაზღაურებს. ორი უკიდურესი მიდგომაა და ორივე არასწორია. ერთი რომ არ იცი რას იღებ და რატომ და მაინც იღებ და მეორე ის შემთხვევაა, რომ საშიშია და საფრთხეა. ასეთი საფრთხე ყველაფრისგან შეიძლება მოდიოდეს თუ არ იცი როგორ იკვებო“, - ამბობს **ია უძილაური.**



არჩილ იანვარაშვილი: „კითხვებს ვუსვამთ იმის გასარკვევად, რაიმე ხომ არ აწუხებს. მაგალითად, სახსრების ტკივილი, თირკმელი როგორ მუშაობს, კუჭ-ნაწლავის მოქმედება როგორი აქვს და ამის მიხედვით ვურჩევთ საკვებ დანამატს“

ნინო ბერეკაშვილი: „მაღალი დოზით პროტეინის მიღება გულის კუნთის ჰიპერტროფიას (მოცულობის გაზრდას) იწვევს, რაც, შესაძლოა, გულის უკმარისობის მიზეზი გახდეს“

სპორტულ საკვებ დანამატებს რეკომენდაციას ვერც ენდოკრინოლოგი ნინო ბერეკაშვილი უნ-ევს და საუბრობს იმ პრობლემებზე, რომელიც კვებითი დანამატის ჭარბი დოზით მოხმარების შემთხვევაში, ორგანიზმს შეიძლება გაუჩნდეს.

ნინო ბერეკაშვილი:

„კლინიკური თვალსაზრისით სპორტული საკვები დანამატების გამოყენებას რეკომენდაციას არ ვუნევთ, რადგან აღნიშნული პროდუქტების უსაფრთხოების შესახებ სამედიცინო კვლევის შედეგები არ არსებობს. არსებობს სამეცნიერო კვლევის მონაცემები, რომელთა დასკვის მიხედვით მაღალი დოზით პროტეინის მიღება გულის კუნთის ჰიპერტროფიას (მოცულობის გაზრდას) იწვევს, რაც, შესაძლოა, გულის უკმარისობის მიზეზი გახდეს. გაცილებით მაღალია გართულების განვითარების რისკი გულ-სისხძარღვთა პათოლოგიის მქონე პაციენტებში“ .

ექიმების აზრებსა და არგუმენტებს სპორტის ინსტრუქტორები და სპორტული სფეროს წარმომადგენლები სრულიად ემიჯნებიან. მათი თქმით არ არსებობს ჭარბი დოზა, არსებობს მაქსიმალური დოზა და პროტეინების მაქსიმალური დოზით მიღებამ არაფერი არ შეიძლება გამოიწვიოს გარდა იმისა, რომ ორგანიზმი ცილებს ეფექტურად ვერ აითვისებს, ან სხეული ნონაში მოიმატებს.

სპორტსმენები საკვებ დანამატებს უფრო ინტენსიურად შეჯიბრის ან დატვირთული ვარჯიშის წინ იღებენ ხოლმე. პროტეინების მიღების დოზას საზღვრავს სპორტული ექიმი ან სპორტის ინსტრუქტორი, რომელიც სპორტმენის წონის მიხედვით ცილების მიღების ყოველდღიურ ნორმას ადგენსს.

„შეიძლება მწვრთნელმა ან ექიმმა ურჩიოს, მაგრამ ეს ყველაფერი სპორსტსმენის საჭიროებაზეა დამოკიდებული. თუ მას მასის მომატება სჭირდება, მაშინ შეგვიძლია თითოეულ კილოზე ორი გრამი პროტეინი გამოვიანგარიშოთ. მიღების დოზებს ჩვენ ვნიშნავთ: ინსტრუქტორები, ბოდიბილდერები, ძალისმიერი სამჭიდის წარმომადგენლები, ოლიმპიური შტანგის მწვრთნელები. საკვებ დანამატია ეს და არა საკვები, ამიტომ, პირველ რიგში, უპირატესობა საკვებს ენიჭება და მერე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საშიში გარდაუვალი რეალობა



ქეთევან ბერიძე: „ერთადერთი გამოსავალი ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების(ბასდ) მიღებით გამოწვეული რისკის თავიდან ასაცილებლად, არის ის, რომ სპორტსმენმა უარი თქვას ბასდ-ის მიღებაზე“

EXCLUSIVE

ია უძილაური: „ორი უკიდურესი მიდგომაა და ორივე არასწორია. ერთი, რომ არ იცი რას იღებ და რატომ და მაინც იღებ და მეორე ის შემთხვევაა, რომ საშიშია და საფრთხეა“

დიეტოლოგი ქეთი ბერიძე:

„ნებისმიერი ბასდ-ის (ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები) შერჩევა-მიღებისას კვების რაციონი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგან რომელიმე ამინომჟავის, ვიტამინის, მიკროელემენტის ნუტრიენტის გადამეტებამ ან/და თანაფარდობის დარღვევამ ორგანიზმში შესაძლებელია მნიშვნელოვანი დარღვევები გამოიწვიოს. დღესდღეობით, როცა შესაძლებელია, ორგანიზმის მოთხოვნილების მიხედვით, სპორტის დიეტოლოგების მიერ შედგენილი იყოს კვების ინდივიდუალური ან თუნდაც ორგანიზებული კვების რაციონი, მრავალი ფაქტორის მოქმედების გათვალისწინებით, ბასდ-ის გამოყენებისგან თავის შეკავება გაცილებით უსაფრთხო იქნებოდა“.

ქეთი ბერიძის თქმით, საკვები დანამატების მიღება გარდაუვალია ისეთ შემთხვევაში, როდესაც საკმაოდ მაღალი სპორტული დატვირთვაა.

„ეს პროდუქტები განკუთვნილია მაღალი ფიზიკური დატვირთვების შემთხვევაში გარდაუვალი აუცილებლობის დროს მოხმარებისთვის, დოზირების და მიღების წესების მკაცრი შერჩევითა და დაცვით. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შერჩევა, დოზირება და მიღების წესების დადგენა, სპორტის ექიმთან შეთანხმებით, სპორტის დიეტოლოგის პრეროგატივაა“,- ამბობს ქეთი დოლიძე.

ექიმების რეკომენდაციაა, სპორტსმენებმა უარი თქვან საკვებ დანამატებზე, გაუფრთხილდნენ ჯანმრთელობას და სასურველ შედეგამდე, მაგალითად, წონის დაკლებამდე, პირველადი მიზეზების დიაგნოსტირებისა და მისი მოგვარების გზით მივიდნენ. უმთავრეს საკითხად კი სწორ სპორტულ კვებას ასახელებენ. კვების დანამატებთან შედარებით ჯანსაღი კვების უპირატესობას არჩილ იანვარაშვილიც იზიარებს.

„ჩემი მიდგომა ყოველთვის არის ის, რომ, პირველ რიგში, საკვები და არა საკვები დანამატი“.

და მაშინ რა უნდა გააკეთოს სპორტსმენმა, რომელსაც საკმაოდ მაღალი ფიზიკური დატვირთვით უწევს ვარჯიში და ყოველ ჯერზე ორგანიზმის თავიდან აშენება სჭირდება? ექიმი ენდოკრინოლოგი ნინო ბერეკაშვილი რამდენიმე რჩევას იძლევა.

1. პაციენტები, რომლებიც ხშირად მოიხმარენ სპორტულ საკვებ დანამატებს, პირველ რიგში, უნდა შემოწმდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ჩაუტარდეთ ლაბორატორიული კვლევები, განისაზღვროს ბიოქიმიური სინჯები, კარდიოლოგიური კვლევები.

2. ფიზიკური დატვირთვისა და ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გათვალისწნებით, კვების რეჟიმს ინდივიდუალურად ვუდგენთ. ფიზიოლოგიური ფუნქციონირების რითმი ბალანსირებული კვებითა და ადეკვატური ფიზიკური აქტივობთ უნდა აღვადგინოთ. ვითვალისწინებთ ამერიკის სპორტული აკადემიის, ამერიკის კარდიოლოგთა ასოციაციის რეკომენდაციებს, სადაც დეტალურად არის განერილი დატვირთვის მასშტაბი ჯანმრთელობის სტატუსისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

საკვებდანამატს. საკვებიდან მიღებული ცილა ნორმალურ პირობებში, ერთ ჭამაზე 30 გრამამდე შეგვიძლია მივიღოთ. ამის გათვალისწინებით ანგარიშდება თუ რამდენი გრამი ცილა დასჭირდება ათლეტს. ერთდროულად დიდი რაოდენობის ცილის მიღება არ ხდება, ეს არის არასრულფასოვანი. თუ სწორი კვება დაცული არაა პროტეინების მიღებას აზრი არ აქვს“. - განმარტავს სპორტული ინსტრუქტორი არჩილ იანვარაშვილი.

კითხვაზე საკვები დანამატის რაციონის გამოწერამდე ინტერესდებიან თუ არა სპორტსმენის ჯანმთელობით, ინსტრუქტორი გვპასუხოს, რომ სპორტსმენს გამოკითხვა უტარდება, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას ისახავს მიზნად.

არჩილ იანვარაშვილი:

„კითხვებს ვუსვამთ იმის გასარკვევად რაიმე ხომ არ აწუხებს. მაგალითად, სახსრების ტკივილი, თირკმელი როგორ მუშაობს, კუჭ-ნაწლავის მოქმედება როგორი აქვს და ამის მიხედვით ვურჩევთ საკვებ დანამატს. მე პირადად, გამოკითხვას ყოველთვის ვაწარმოებ, თითოეულ ადამიანს ინდივიდუალურად უნდა მიუდგე“.

ვალდებულება, რომ სპორტსმენმა ექიმთან უნდა გაიაროს კონსულტაცია, არ არსებობს. აქედან გამომდინარე ჩნდება საფრთხე, რომ ფიტნესით გატაცებულმა ადამიანმა, რომელსაც სურს ძალიან მალე ნახოს შედეგი და კუნთები „გაეზარდოს“ რეალურად არ იცის თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ინსტრუქტორი შეცდომაში შეჰყავს ან ინტერნეტიდან მოძიებული მასალის საშუალებით ადგენს დოზებს და საკვები დანამატების ბაზარზე ყველასგან დამოუკიდებლად ყიდულობს სასურველ პროდუქციას.

ენდოკრინოლოგი ნინო ბერეკაშვილი:

„პრეპარატის მიღებამდე ღვიძლის ფუნქციური სინჯები, თირკმლის ფუნქციური მდგომარება კონტროლდება. აუცილებელია თითოეული პაციენტის ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის, სხეულის მასისა და კუნთოვანი სისტემის შესწავლა“.

ქეთევან ბერიძე: „შესაძლებელია დაირღვეს ღვიძლის, თირკმლის ფუნქციები და სისხლის ტუტე-მჟავიანობა, რაც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჯიფონი საქარ

ლაშა ზარანდია

16 – 19 ოქტომბერს თბილისი პირველად მასპინძლობს 4 დღის მანძილზე საერთაშორისო კინოფესტივალს „ჯიფონი საქართველო“. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ახალგაზრდული ფესტივალი, რომელიც რანგით ისეთ ცნობილ კინოფესტივალებს უტოლდება, როგორებიცაა კანი და ბერლინალე. კინოფესტივალის ჩატარების უფლება კავკასიის რეგიონში საქართველომ მოიპოვა და გახდა ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ფესტივალს ყოველგვარი საზღვრის გადასახადის გადახდის გარეშე ატარებს. ეროვნული კინოცენტრი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან ერთად სტუმრებს იტალიიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ხორვატიიდან ელის. ფესტივალში მონაწილეობას 13-დან 18 წლამდე ასაკის 500 ახალგაზრდა მიიღებს, მათ შორის საქართველოს ისეთი საზღვრისპირა რეგიონებიდან, როგორებიცაა: პანკისის ხეობა, ერგნეთი, ნიქოზი, უშგული.

ფესტივალის პროგრამა დეტალურად გაწერილი და ძალიან მრავალფეროვანია. 4 დღის განმავლობაში ბავშვები უყურებენ „ჯიფონის“ კინოფესტივალის ფილმებს. ფილმების ნახვის შემდეგ იმართება დისკუსიები (ინგლისურ ენაზე), დაგეგმილია „სუხიშვილების“ მასტერკლასი, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, ახალგაზრდები დაესწრებიან კომპიუტერული თამაშების, ფოტოგრაფიის, TV რეპორტაჟის შექმნის, ხატვის, ანიმაციის ვორქშოპებს.

ფესტივალს ეყოლება სპეციალური სტუმრები: „ოსკარზე“ ნომინირებული რეჟისორი ზაზა ურუშაძე, გიორგი ოვაშვილი, ცნობილი ქართველი მსახიობები. მოწვეული სპიკერები წაიკითხავენ ლექციებს სხვადასხვა თემაზე, მოეწყობა წარმატებული ქართული ფილმების ჩვენება. ფესტივალის პროგრამა დატვირთულია სხვადასხვა გასართობი და მუსიკალური აქტივობებით.

„საქართველოში დაგეგმილი ფესტივალი, როგორც ვახსენე, ბევრად უფრო სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტია, ვიდრე მხოლოდ კინოფესტივალი. ამიტომაც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „ჯიფონი საქართველო“ არაფრით ჩამოუვარდება იტალიაში გამართულ არაერთ ფესტივალს“

პროექტი წარმოადგენს საერთაშორისო კინოფესტივალ „Giffoni Experience“-ის ანალოგს, რომელიც 1971 წელს დაარსდა იტალიის ქალაქში ჯიფონი. ფესტივალს იტალიაში სტუმრობენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: მერილ სტრიპი, რიჩარდ გირი, ორლანდო ბლუმი, მარკ რუფალო, ელაია ვუდი, დენი დე ვიტო, მეგ რაიანი, უაინონა რაიდერი, რომან პოლანსკი, ლეა მიშელი, მეთ ბომერი, ალან რიკმანი, ჯესიკა ჩესტეინი, ედი რედმაინი, საშა ბარონ კოენი, ჯესიკა ალბა, ჰილარი სვონკი, სუზან სარანდონი და მრავალი სხვა. ფესტივალის მონაწილეებს აქვთ უნიკალური შანსი შეხვდნენ და შეკითხვები დაუსვან კინოვარსკვლავებს.

პროექტის მიზანია კინოგანათლების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა თაობის თავისუფალი აზრის ხელშეწყობა, მოზარდებში კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება. პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

Prime Time ესაუბრა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორს **ნანა ჯანელიძეს.**

- რას სთავაზობს ფესტივალი მოწვეულ ბავშვებს?

- ფესტივალზე მოწვეული გვყავს პროფესიონალების ძალიან საინტერესო ჯგუფი. ისინი ქართველ და უცხოელ მოზარდებს წაუკითხავენ ლექციებს, ჩაურტარებენ ვორკშოპებს. მოწვეულ სტუმრებს შორის იქნებიან „ოსკარის“ ნომინაციაზე წარდგენილი რეჟისორები - ზაზა ურუშაძე და გიორგი ოვაშვილი. ლევან ბერძენიშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე - კინო და ლიტერატურა. რატი ამაღლობელი ისაუბრებს პოეზიაზე, მიშა მდინარაძე ჩაატარებს ძალიან საინტერესო ლექციას სახელწოდებით - „კინო და მუსიკა“. ასევე იქნება შეხვედრები მსახიობებთან, კახი კავსაძესთან, ნინო კასრაძესთან და სხვებთან. ვფიქრობთ, ფესტივალი ძალიან საინტერესოდ ჩაივლის. ბავშვებს არ ექნებათ მოწყენის საშუალება. ლექციების და ვორკშოპების ჩამონათვალი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ახალგაზდები ნამდვილად ბევრ რამეს წაიღებენ ამ ფესტივალიდან.

ფესტივალს ეყოლება სპეციალური სტუმრები: „ოსკარზე“ ნომინირებული რეჟისორი ზაზა ურუშაძე, გიორგი ოვაშვილი, ცნობილი ქართველი მსახიობები. მოწვეული სპიკერები წაიკითხავენ ლექციებს სხვადასხვა თემაზე, მოეწყობა წარმატებული ქართული ფილმების ჩვენება

- ქართველ ბავშვებთან ერთად რომელი ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას ფესტივალზე?

- როგორც მოგეხსენებათ, ფესტივალში ქართველ ბავშვებთან ერთად უცხოელი ბავშვებიც იღებენ მონაწილეობას - იტალიიდან, მაკედონიიდან, ხორვატიიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. ასევე, ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ფესტივალში ჩაგვერთო ბავშვები ისეთი რეგიონებიდან, სადაც კულტურულ პროცესებზე წვდომა ნაკლებია. ველით მოზარდებს საზღვრისპირა, მაღალმთიანი სოფლებიდან, კონფლიქტის ზონიდან. ზოგ შემთხვევაში ისინი რაიონულ ცენტრებშიც კი არ არიან ნამყოფი, ამიტომაც ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, მაქსიმალურად ჩავრთოთ კინოფესტივალში. მოზარდები შეიძენენ ახალ მეგობრებს, მიიღებენ უამრავ გამოცდილებას და ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მე მიმაჩნია, რომ ფესტივალი ძალიან დიდ კვალს დატოვებს მათ ცხოვრებაში.

- რა მოლოდინები გაქვთ ფესტივალთან დაკავშირებით?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველო პირველ საერთაშორისო საბავშვო ფესტივალს მასპინძლობს

EXCLUSIVE

- საერთო ჯამში ეს იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი. სადაც არა მარტო კინემატოგრაფზე იქნება საუბარი, არამედ იგი ითვალისწინებს სხვა უამრავ მიმართულებას, ამიტომაც ვიმედოვნებ, რომ ძალიან საინტერესოდ ჩაივლის. ორგანიზატორები საამისოდ ყველაფერს აკეთებენ.

- საქართველო არის თუ არა მზად უმასპინძლოს მსგავსი მასშტაბის ფესტივალს?

- მინდა გამოგიტყდეთ, მე ორჯერ ვიყავი იტალიაში „ჯიფონის“ კინოფესტივალზე. რასაკვირველია, არაჩვეულებრივი ფესტივალია და ორგანიზების მიმართულებითაც ყველაფერი უნაკლოდაა შესრულებული, მაგრამ, ასეთი სავსე, ასეთი ღრმა და საგანმანათლებლო პროგრამა, ვფიქრობ, რომ მათაც არ აქვთ. იტალიაში გამართულ ფესტივალზე ძირითადი აქცენტი კეთდება ვარსკვლავებზე, მათ სტუმრობაზე და ზოგად საუბრებზე ბავშვებთან. საქართველოში დაგეგმილი ფესტივალი, როგორც ვახსენე, ბევრად უფრო სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტია, ვიდრე მხოლოდ კინოფესტივალი. ამიტომაც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „ჯიფონი საქართველო“ არაფრით ჩამოუვარდება იტალიაში გამართულ არაერთ ფესტივალს.

ჩვენ ასევე ვესაუბრეთ „ოსკარის“ ერთ-ერთ ნომინანტს, ქართველ რეჟისორს **გიორგი ოვაშვილს**, რომელიც ფესტივალზე მიწვეულია როგორც საპატიო სტუმარი.

- რას ითვალისწინებს თქვენი მონაწილეობა ფესტივალზე?

- მე უნდა შევხვდე ბავშვებს ფესტივალის მიმდინარეობისას. ეს იქნება ლექციის ტიპის შეხვედრა, სადაც ვისაუბრებთ ზოგადად კინოზე, კინოს ისტორიაზე, ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესოდ წარიმართება ჩვენი საუბარი.

- რას შესძენს „ჯიფონი“ ქართველ და არამარტო ქართველ ბავშვებს?

- ეს არის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ფესტივალი, სადაც ფილმების მთავარი შემფასებლები არიან ბავშვები, მე ვფიქრობ, რომ ბავშვების ასეთი ტიპის ჩართულობა, ხელოვნების მიმართულებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კინემატოგრაფის მიმართულებით, ძალიან ეხმარება მათ კარგ ადამიანებად ჩამოყალიბებაში. ხელოვნებასთან კონტაქტი ადრეული ასაკიდან, ადამიანს თავისთავად აკეთილშობილებს, ბევრად უფრო საინტერესოს ხდის მას და მის ცხოვრებას. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს ფესტივალი ძალიან დიდ გავლენას მოახდენს თითოეულ მათგანზე, რა თქმა უნდა, გავლენაში კარგ, დადებით მხარეს ვგულისხმობ.

- რას ნიშნავს თქვენთვის ამ ფესტივალში მონაწილეობა?

- როგორც ყველა მიწვეული სტუმრისთვის, ჩემთვისაც ძალიან სასიხარულო და საინტერესოა ეს პროექტი. იგი იდეაშივე მოიაზრებს მხოლოდ ბავშვების განვითარებას, მათი ცნობიერების ამაღლებას და თვალსაწიერის ზრდას. რისთვისაც მე მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ფესტივალის ორგანიზატორებს.

ფესტივალზე მიწვეულ სტუმრებს შორისაა ქართველი კომპოზიტორი **მიშა მდინარაძე,** მან „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა:

- მიწვეული ვარ ფესტივალზე, უნდა ჩავატარო ლექცია კინომუსიკაზე. ვფიქრობ რომ, მსგავსი ტიპის ფესტივალები ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბავშვებს უწევთ ტექნოლოგიურად ძალიან განვითარებულ ეპოქაში ცხოვრება და ხელი მიუწვდებათ ინტერნეტზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად ყველა ინფორმაციის მოძიება. ამიტომაც ჩვენ, უფროსი თაობა, ვალდებულნი ვართ მათ ყველანაირად დავუკმაყოფილოთ ის ინტერესები, რაც გააჩნიათ. რაც შეეხება კინომუსიკას, საქართველოში ეს სფერო არც თუ ისე განვითარებულია. მე ყველანაირად ვეცდები, საინტერესოდ წარვმართო მოზარდებთან საუბარი, ეს იქნება უფრო კითხვა-პასუხის რეჟიმის შეხვედრა, სადაც მე ბავშვების მიერ დასმულ ყველა კითხვაზე ამომწურავად გავცემ პასუხს.

„მე ყველანაირად ვეცდები, საინტერესოდ წარვმართო მოზარდებთან საუბარი, ეს იქნება უფრო კითხვა-პასუხის რეჟიმის შეხვედრა, სადაც მე ბავშვების მიერ დასმულ ყველა კითხვაზე ამომწურავად გავცემ პასუხს“

„როგორც ყველა მიწვეული სტუმრისთვის, ჩემთვისაც ძალიან სასიხარულო და საინტერესოა ეს პროექტი. იგი იდეაშივე მოიაზრებს მხოლოდ ბავშვების განვითარებას, მათი ცნობიერების ამაღლებას და თვალსაწიერის ზრდას. რისთვისაც მე მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ფესტივალის ორგანიზატორებს“

საბოლოო ჯამში, ვიმედოვნებ, რომ ეს ფესტივალი ყოველი მონაწილის გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდება, როგორც საუკეთესო მოგონება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბავშვებს მოუწევთ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ თანატოლებთან ურთიერთობა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, გახსნილობის, კომუნიკაციის ტექნიკის და ელემენტარული ადამიანური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ძალიან კარგი წამოწყებაა და იმედია გაგრძელებაც ასეთივე საინტერესო იქნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეს მარტივია

ცოცხალი ინფორმაცია

როგორ შევინახოთ კარტოფილი



კარტოფილი ყველასთვის საყვარელი და სასარგებლო პროდუქტია. ხშირად მოსახლეობა ერთ ჯერზე რამდენიმე კილოგრამ კარტოფილს ყიდულობს და მას სახლში ან აივანზე ინახავს. ისიც ცნობილია, რომ სითბოში კარტოფილი შეიძლება ადვილად აღერდეს, სიცივეში კი ადვილად იკრას ნესტი, რაც მის ლპობას გამოიწვევს.

იმისთვის, რომ თქვენი კარტოფილი დიდხანს შეინახოს, ხის ყუთში ჩაყარეთ, ოღონდ მანამდე ყუთის ძირში ნახშირი ან ხახვის გამხმარი ნაფცქვენი ჩაუფინეთ. ეს კარტოფილს არასასურველი ნესტისგან და დალპობისგანაც დაიცავს.

მეხსიერების გაუმჯობესება მსურთ?

სანამ საქმეს შეუდგებით მიირთვით ერთი თეფში გახეხილი სტაფილო ზეთით ან არაჟნით. თურმე სტაფილოში შემავალი A ვიტამინი მეხსიერებას აუმჯობესებს. ამის გარდა, სასურველია მიირთვათ თხილი, კაკალი, ისინი ადვილად ხსნიან დაღლილობის შეგრძნებას. ხშირად ჩართეთ თქვენს რაციონში ქიშმიში, ჭერმის ჩირი (კურაგა), შემწვარი ვაშლი, ზღვის პროდუქტები. ისინი ყურადღების კონცენტრირებაში დაგეხმარებათ.

სასარგებლო მასკა თქვენი მშრალი თმისთვის

შეიძლება ამ ზაფხულს ზღვაზე არ დაგისვენიათ და არ გარუჯულხართ, მაგრამ ცხელმა ზაფხულმა მაინც გამოაშრო თქვენი ლამაზი თმა. იმისთვის, რომ ის ისევ ისეთი ლამაზი, რბილი და ბრჭყვიალა გახდეს, აიღეთ 5 სადილის კოვზი შვრიის ფანტელი, დააბლენდერეთ ისე, რომ ფქვილის ფაქტურამდე მიიყვანოთ, დაამატეთ იმდენი რძე ან ნაღები, რომ არაჟნის კონსისტენციის გახდეს. მიღებული მასა 20 წუთით წაისვით შამპუნით ახლადდაბანილ თმაზე. ჩამოიბანეთ ოდნავ თბილი წყლით. თუ ქერა თმა გაქვთ, უმჯობესი იქნება თუ თმას გვირილის ნაყენით ჩამოიბანთ. ასეთი მასკა შეგიძლიათ კვირაში ერთხელ გაიკეთოთ. მერწმუნეთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით.

ჩემს სახლში პატარა ბაღია...

გარეთ უკვე აგრილდა, ყოველ შემთხვევაში ყვავილებისთვის. თქვენი ქოთნის ყვავილები ნელ-ნელა შეგიძლიათ შეიტანოთ სახლში და მათთვის ჩვეულ გარემოს და ადგილს დაუბრუნოთ, ოღონდ, მანამდე კარგად დაათვალიერეთ მიწა, ფოთლები, რომ რაიმე მავნე მწერი არ შემოყვეს ოთახში. მცენარეს ფოთლებიდან, ფრთხილად, ფუნჯით ან რბილი ნაჭრით მოაშორეთ მტვერი, მოაცილეთ გამხმარი, ფორმადაკარგული ფოთლები. თუ არ გაქვთ იმის საშუალება, რომ მიწა შეუცვალოთ (შემოდგომა კარგი დროა ყვავილების გადასარგავად), ეცადეთ სპეციალური ხელსაწყოთი ოდნავ შემოაცალოთ ნიადაგი, გააფხვიეროთ და დაამატოთ ტორფიანი ან სპეციალური ვიტამინებით გაჯერებული მიწა. ცოტა ხანში მცენარეები უკეთ იგრძნობენ თავს და აყვავილდებიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სპეცოპერაცია ქუთაისში

სამართალდამცველებმა „კვეჟოვიჩის“ დაჯგუფება გაანეიტრალეს

მირიან ბოქოლიშვილი

საბჭოთა პერიოდში იყო ერთი ასეთი გამონათქვამი: ქურდების დედა ოდესაა, მამა – ქუთაისიო... „დედის“ რა გითხრათ და „მამის“ ანგარიშზე რომ მართლაც უამრავი „კანონიერი“ ქურდი ირიცხებოდა, ამას ქუთაისის სასაფლაოსთვის თვალის ერთი გადავლებაც ცხადყოფს. სწორედ იქ, საკმაოდ ფეშენებელურ სამარხებში განისვენებენ ძველი თუ ახალი თაობის ქურდები. პრესაშიც ხშირად იწერებოდა, რომ შევარდნაძის დროს ხელისუფლების პირველი პირები ქურდებთან ერთად პურსაც ტეხდნენ და ფულსაც.

ახლა, როცა ზოგი სასჯელს ქართულ ციხეში იხდის, ზოგი კი ქვეყნის გარეთ იმყოფება, ცხადია, მოქმედების ტაქტიკაც შეიცვალა. ხელისუფლებასთან ჰარმონია შევარდნაძის ეპოქასთან ერთად ჩაბარდა წარსულს, მათ დაკარგეს სერიოზული გავლენები სახელისუფლებო შტოებზე, ამიტომაც ახლა მოქმედების არეალი ძირითადად ბიზნესმენების დარეკეტების მცდელობაში განისაზღვრება. ამისთვის კი, როგორც ჩანს, ქვეყნის შიგნით მოქმედ დაჯგუფებებს იყენებენ, რომელთაც ისინი უცხოეთიდან მართავენ, თუმცა ცალსახაა, რომ ბოლო წლებში ამ მიმართულებითაც სერიოზული ჩავარდნა აქვთ, რასაც ქურდული სამყაროს მიმართ ჩატარებული არაერთი სპეცოპერაციაც ადასტურებს.

ერთ-ერთი ასეთი სპეცოპერაცია ქუთაისში გასულ კვირას ჩატარდა, რა დროსაც სამართალდამცავებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ქურდული სამყაროს წევრობისა და გამოძალვის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.

„პრაიმტაიმისთვის“, ერთ-ერთი დაზარალებულის ახლობელზე დაყრდნობით, ცნობილი გახდა ამ საქმის დეტალები და იმ „კანონიერი ქურდის“ ვინაობა, რომელიც ქუთაისელ ინდმეწარმეებს ფულს სძალავდა. ჩვენ, ასევე, მოვახერხეთ დაზარალებულ ბიზნესმენთან გასაუბრება, თუმცა სანამ მის ნაამბობს გაგაცნობთ, მოდით, ვნახოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდული სამყაროს წევრობის და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ბრალდებით, 1959 წელს დაბადებული მურად ს. და 1961 წელს დაბადებული ვასილ ჩ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები აღიარებდნენ ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებდნენ დანაშაულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად. კერძოდ, მუქარისა და დაშინების გზით, ინდივიდუალურ მეწარმეებს: უჩა ჩ-ს, გია დ-სა და თეიმურაზ გ-ს გამოსძალეს 10 000 ლარი. სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, გამოძალული სრული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

მღებრიშვილის უწყებამ გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად გამოძალვის ფაქტზე დაიწყო.

ვინ არიან ქურდული სამყაროს წევრობაში ბრალდებულები და რა კავშირი აქვთ მათ რუსეთში მცხოვრებ „კანონიერ ქურდ“ „კვეჟოვიჩთან“?

მოკლედ, როგორც გავარკვიეთ, სამართალდამცველებმა სპეცოპერაცია ქუთაისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე ჩაატარეს და ორი ბრალდებული უშუალოდ დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის მომენტში აიყვანეს. ამბობენ, რომ ორივე მათგანი ცნობილი ქუთაისელი „კანონიერი ქურდის“, „კვეჟოვიჩის“ ინტერესებს წარმოადგენდა. ამ ინფორმაციას ის გარემოებაც ამყარებს, რომ დაკავებულთაგან ერთ-ერთი, ვასილ ჩიხლაძე „კვეჟოვიჩის“ (გურამ ჩიხლაძე) ბიძაა, მეორე კი, ასევე, მისი გარემოცვის წევრი, მურად სვანაძე, იგივე „არკადიჩი“.

სწორედ გურამ ჩიხლაძის, იგივე „კვეჟოვიჩის“, სახელით ემუქრებოდნენ ადგილობრივ ბიზნესმენებს ზემოხსენებული პირები. მათი ერთ-ერთი სამიზნე ბიზნესმენი გია დიანოსაშვილი და მისი პარტნიორები გახდნენ. მათი ინდსაწარმო თურქეთსა და საბერძნეთში მგზავრების გადაყვანასა და ამანათების გაგზავნა-მიღებაზე მუშაობდა. ერთ დღესაც მათ ოფისში მოულოდნელი სტუმრები ეწვივნენ, რომლებმაც უთხრეს, რომ ბიზნესიდან 10 ათასი ლარი „ობშიაკში“ უნდა შეეტანათ. თავდაპირველად შეთავაზებაზე უარი მიიღეს, რის შემდეგაც მათ მიმართ მუქარის ტონმა იმატა. ამ ინციდენტის შემდეგ გია დიანოსაშვილმა ბიზნესი საერთოდ გააჩერა, თუმცა სამართალდამცავების ჩარევის შედეგად მას და მის პარტნიორებს კუთვნილი თანხა უკან დაუბრუნდათ. აი, რას უყვება „პრაიმტაიმს“ დაზარალებული ბიზნესმენი:

„ახლა არანაირ ბიზნესს აღარ ვაწარმოებ. თურქეთი-საბერძნეთის ტუროპერატორი გვქონდა. ვემსახურებოდით მგზავრების გადაყვანას და ამანათების მიღება-გაგზავნას. ოფისში მოვიდნენ და იყო მუქარა შავი სამყაროს წარმომადგენლების სახელით. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთვნენ სამართალდამცავები. ჩაატარეს სპეცოპერაცია და უშუალოდ თანხის გადაცემის მომენტში დააკავეს ეს ხალხი“, – **აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ბიზნესმენი გია დიანოსაშვილი.**



გურამ ჩიხლაძე („კვეჟოვიჩი“)

რა კავშირი აქვთ ბრალდებულებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე გახმაურებულ ქურდულ შურისძიებასთან?

ბიზნესმენი სხვა დეტალების გამჟღავნებისგან თავს იკავებს, თუმცა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მას და მის პარტნიორებს სწორედ რუსეთში მცხოვრები „კანონიერი ქურდის“, გურამ ჩიხლაძის სახელით ემუქრებოდნენ.

ჩიხლაძე, იგივე „კვეჟოვიჩი“, ახალგაზრდა თაობის ქურდებს მიეკუთვნება. მას სამართალდამცავებთან პრობლემები არაერთხელ შეჰქმნია. ბოლოს მის დასაპატიმრებლად მოსკოვის მილიციამ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციაც კი ჩაატარა, თუმცა, როგორც რუსული მედია იუწყება, მაშინ „კვეჟოვიჩმა“ მილიციას მასტერკლასი ჩაუტარა და ალყიდან დაძვრა. სპეცოპერაცია მოსკოვის სანაპიროზე მდებარე რესტორან „ხინკალნაიაში“ ჩატარდა, სადაც ჩიხლაძე 30 წლის იუბილეს აღნიშნავდა.

რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლმა ჯგუფმა, სტუმრად მისული 37 პირი დააკავა, მათ შორის ბურიატიიდან ჩასული „საპატიო“ სტუმრებიც. თავად „კვეჟოვიჩმა“ რუს პოლიციელებს მასტერკლასი ჩაუტარა და მათ მიერ ორგანიზებული ალყიდან „ქურდულად“ გაიპარა“, – წერდა რუსული პრესა.

გურამ ჩიხლაძის სახელს, ასაკის მიუხედავად, საკმაოდ სკანდალური კრიმინალური ისტორია უკავშირდება... მის ქურდულ „კარიერაში“ დიდი როლი ითამაშა 1994 წელს მომხდარმა ფაქტმა, როდესაც 9 წლის გურამ ჩიხლაძის თვალწინ ჩაცხრილეს დედა და მამა – ასევე, ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ავთო ჩიხლაძე, იგივე „კვეჟო“ (სწორედ ავთო ჩიხლაძის ძმა დააკავეს გასულ კვირას ქუთაისში, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით). შემთხვევა მოსკოვში, ჩიხლაძეების ბინაში მოხდა. მაშინ თავდამსხმელებმა, ასევე, ესროლეს 9 წლის გურამ ჩიხლაძესაც, თუმცა ის სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა.

ჩიხლაძეების ოჯახზე თავდასხმაზე მაშინ ბევრი მითქმა-მოთქმა დადიოდა. ვრცელდებოდა სხვადასხვა ვერსიები, თუმცა რეალური მკვლელის ამოცნობა მხოლოდ გადარჩენილ მცირეწლოვანს შეეძლო. ზუსტად 20 წლის შემდეგ კი ბურისძიების დროც დადგა:

2014 წლის 11 იანვარს მოსკოვის შემოგარენში ქართველი „კანონიერი ქურდი“ დავით მელქაძე, მეტსახელად „დათო ფოთინსკი“ მოკლეს. კრიმინალურ ავტორიტეტს თავდამსხმელმა ცეცხლი კრასნოგორსკის ჰიპერმარკეტის მიწისქვეშა ავტოფარეხში გაუხსნა, სადაც ის მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად იმყოფებოდა.

პრესა წერდა, რომ ჰიპერმარკეტიდან გამოსულ მელქაძეს ავტომანქანამდე რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა, როცა მოულოდნელად უცნობმა ცეცხლი გაუხსნა. მელქაძე ინსტინქტურად უმცროს ქალიშვილს გადაეფარა, ხოლო ცოლსა და უფროს ვაჟს (10 წლის) დაუყვირა, – გაიქეცითო. მოულოდნელად მკვლელის იარაღში ტყვია გაიჭედა, რამაც საშუალება მისცა მელქაძესა და მის მხლებლებს ჰიპერმარკეტში შეეღწიათ, თუმცა კილერი არ მოეშვა და სროლით დაედევნა... მძიმედ დაჭრილი მელქაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ითქვა, რომ სწორედ უმცროსმა ჩიხლაძემ იძია შური დავით მელქაძეზე, რომელმაც 20 წლის წინათ მისი ოჯახი ამოწყვიტა. ნიშანდობლივია, რომ დავით მელქაძე 10 წლის ვაჟის თვალწინ დაცხრილეს, ისევე, როგორც 20 წლის წინათ მოკლეს „კვეჟო“ 9 წლის ვაჟის თვალწინ. მას შემდეგ გურამ ჩიხლაძე მამის ძმაკაცებმა გაზარდეს, „ქურდადაც“ აკურთხეს და მეტსახელად „კვეჟოვიჩი“ უწოდეს.

სწორედ ამ „კანონიერ ქურდთან“ კავშირშია მხილებული, ქუთაისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაკავებული ორი პირი, რომელთაგან ერთ-ერთი, როგორც უკვე გითხარით, ან გარდაცვლილი „კანონიერი ქურდის“, ავთანდილ ჩიხლაძის ძმა, ვასილ ჩიხლაძეა.



მამა-შვილი ჩიხლაძეები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიზნესმენი უგულავა სკანდალში ეხ

მონიკა დავლიანიძე

ცნობილი ბიზნესმენი თემურ უგულავა მის ერთადერთ ოფიციალურ ცოლს ეყრება. განქორწინების პროცედურა საკმაოდ მძიმეა და ამ შემთხვევაში დამამცირებელიც, რადგანაც ბაია დავითაია მიიჩნევს, რომ არამხოლოდ მეუღლე, ახლა უკვე სასამართლოც, მას უსამართლოდ ექცევა და მის კანონიერ უფლებებს ქონებაზე, ლახავს.

ეს სწორედ ის მომენტია ცხოვრებაში, როცა ყველაზე ახლობელი ადამიანი თანდათან უცხო ხდება, როცა ისეთ სირთულეებს აწყდები, ადრე წარმოდგენაც რომ არ გქონდა... ეს ყველა ქალისთვის და განსაკუთრებით დედისთვის, მძიმე ტვირთია.

რისთვის იბრძვის ბაია დავითაია, რა ურთიერთობა აქვს ახალგაზრდა გოგოსთან, ვინც რამდენიმე ხანში მისი ქმრის ცოლი გახდება, რას ამბობს ერთადერთ შვილზე, რომელსაც აუტიზმის მძიმე ფორმა აქვს და რაზე არჩევს გაჩუმებას. **ბაია დავითაიამ** „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.

- ბაია, თუ არ ვცდებით, თქვენ ერთადერთი ქალბატონი ხართ, ვინც თემურ უგულავასთან ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდით. ახლა განქორწინების რთულ ეტაპს გადიხართ. ალბათ, იმაზეც გიწევთ ფიქრი, რა მოხდა თქვენ შორის, რა გახდა განქორწინების მიზეზი? სხვა ქალი, თუ პრობლემები მანამდე დაიწყო?

- მე და თემური ოფიციალურ ქორწინებაში ვიმყოფებით. ჩვენ შორის მოხდა ის, რაც, სამწუხაროდ, ბევრ ქართულ ოჯახში ხდება. მე ვერ ავიტანე ის საქციელი, რაც, რატომღაც ჩვეულებრივად და მისაღებად იქცა საზოგადოებისთვის. ქმრის ღალატს ნორმალური ადამიანი ვერ აიტანს.

„ასეთ ბავშვს სჭირდება სტაბილური გარემო. აქამდე ველოდით, რომ თემური გაითვალისწინებდა ამ მდგომარეობას“

„მე არ ვაპირებ მას უაპელაციოდ მივცე საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს რა მისცეს და რა არა თავის ცოლს. ეს მისი გადასაწყვეტი არაა, ამას კანონი არეგულირებს და თან ძალიან მკაფიოდ“

- 2013 წელს, თქვენ, უგულავასთან საქორწინო კონტრაქტი გაიფორმეთ. ამ დროს თქვენ მასთან უკვე თანაცხოვრებაში იმყოფებოდით. იყო თუ არა ჩადებული კონტრაქტში ისეთი პუნქტები, რომლებიც თქვენთვის ქონების მიღების გარანტიას უზრუნველყოფდა. თუ მისი გადმოფორმების დროს, რაღაც კომპრომისზე წახვედით, რის გამოც დღეს სასამართლოში დავა გიწევთ?

- ქონების მიღებას კი არა, პირიქით - თემურისთვის ქონების გადაცემას გულისხმობდა. კერძოდ, ამ ხელშეკრულებით თემურს დავუთმე ჩემი წილი იმ შენობაში კოსტავას ქუჩაზე, რომელშიც დღეს „თბილისი რუმსია“ განთავსებული და რომელშიც მომავალში უნდა განთავსდეს სასტუმრო „ინტერკონტინენტალი“. სანაცვლოდ, თემურს მხოლოდ ერთი რამ უნდა გაეკეთებინა - ბანკის ვალებისგან გამოეთავისუფლებინა ჩემი წილი ქონება „ჰოლიდეი ინში“, რაც მას დღემდე არ გაუკეთებია.

- თემურ უგულავა ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქალბატონებში, შესაბამისად, მედიაშიც სხვადასხვა ინფორმაციები ჩნდებოდა. ამბობენ, რომ ის საკმაოდ გულუხვი იყო და ზოგს ბინას ჩუქნიდა, მაგალითად, ლონდონში და ზოგს ავტომობილს. საუბრობენ იმაზეც, რომ თქვენც მეუღლისგან ლონდონში ბინის შეძენას ითხოვთ. რას იტყოდით ასეთ ხმებზე? არის აქ სიმართლის მარცვალი?

- ნამდვილად ვერ გეტყვით როგორი სტატუსით სარგებლობს თემური, თუმცა ბოლო პერიოდის მოვლენებს თუ გადავავლებთ თვალს, ალბათ, შეიძლება ამის დაჯერებაც. წლების მანძილზე, ჩვენ განვიხილავდით, რა აჯობებდა ჩვენი შვილისთვის, ლუკასთვის - ამერიკაში ცხოვრება და მკურნალობა თუ ინგლისში. ჩვენ ძირითადად ამერიკაში ვცხოვრობდით, თუმცა, აქტიურად ვფიქრობდით ლონდონზეც, რადგან, მოგეხსენებათ, რომ ლონდონი ბევრად ახლოა. ლუკას კი ძალიან უჭირდა წელიწადში ორჯერ ან სამჯერ 12-12 საათი ფრენა, ამხელა მანძილზე. ეს ძალიან ძნელია ბავშვისთვის, განსაკუთრებით კი - აუტიზმის ასეთი მძიმე ფორმის მქონე ბავშვისთვის. ფრენის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ვევა, ინტერვიუ ბაია დავითაიასთან

„მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი მოლაპარაკებით ვცადე მორიგება, მან ამჯობინა სასამართლოს გზით გადაეწყვიტა ეს საკითხი“

EXCLUSIVE

გარეშე კი არ გამოდიოდა, რადგან ამერიკაში არ გვქონდა მუდმივი ცხოვრების უფლება, ან ინვესტ-ვიზა (რისი გაკეთებაც თემურისთვის პრობლემა არ იყო). ამიტომ, ჩვენ დღემდე ვართ ტურისტული ვიზით და წელიწადში სამჯერ ამხელა გზაზე გვიწევს ფრენა. ასევე, ამერიკაში ბავშვთან მარტო ყოფნა მიჭირდა, მშობლების მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ ინგლისში გადასვლა იყო ერთ-ერთი გამოსავალი. ბინის შეძენა კი თითქმის იგივე ჯდება, რაც ბინის გრძელვადიანად ქირაობა. რატომ უნდა გადაგვეყარა თანხები წყალში? თანაც, ნაქირავები ბინიდან ბინაში გადასვლას ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამდა ლუკა, რომელიც, ისევ ვიმეორებ, მძიმე ფორმის აუტისტია. ასეთ ბავშვს სჭირდება სტაბილური გარემო. აქამდე ველოდით, რომ თემური გაითვალისწინებდა ამ მდგომარეობას. სამჯერ ვიყავი ჩასული ლონდონში და ბინაც მოვძებნეთ. თემური ამ ყველაფრის მონაწილე იყო, თუმცა, ეს საკითხი მაინც არ გადაწყდა... სხვა ქალს უყიდა ლონდონში სახლი და ჩვენ დღემდე ვცხოვრობთ ნაქირავებში ამერიკაში.

- თქვენი ადვოკატის განცხადებით, სასამართლომ თემურ უგულავას არასრულწლოვანი შვილის მკურნალობა/რეაბილიტაციის ხარჯი 25%-ით შეამცირა. ხომ არ ნიშნავს, ეს რომ უგულავა ფიქრობს, რომ ის 25%-ით მეტს იხდიდა მკურნალობაში, ვიდრე ეს ბავშვს რეალურად ესაჭიროებოდა. ეს ვარაუდი თუნდაც იქიდან ჩნდება, რომ ის აკონტროლებს ყველა თანხას, რომელსაც ბავშვისთვის გამოყოფს?

- პირდაპირ გეტყვით - არა. ეს იყო თემურის აზრით სადამსჯელო ზომა. მან წინასწარ დაგვიანონსა, რომ მოსამართლე ებანოიძე ზუსტად ასეთ გადაწყვეტილებას გამოიტანდა ამ ნაწილში და, ჰოი საოცრებავ - სწორედ ეს მოხდა. მხოლოდ ერთ მაგალითს გეტყვით - იმ 25%-ით შემცირებულ თანხაში, რომლის გადახდაც სასამართლომ თემურს დაავალა, არ შედის იმ ავიაბილეთების ფული, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე გვჭირდება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ლუკას მდგომარეობიდან გამომდინარე, მგზავრობა ყოველთვის ბიზნეს-კლასით გვიწევს, 4 ადამიანი სულ დავყვებით ლუკას თვითმფრინავით, რაც აუცილებელია. ეს კი ამერიკამდე უძვირესია. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვის მოვლა ძალიან ძვირია და დიდი თანხები სჭირდება. ნებიესმიერ ექიმთან შეგიძლიათ ეს იკითხოთ. ლუკა უკვე გაიზარდა, პატარა აღარ არის და ჩვენ ვეღარ ვერევით, ამიტომ მამაკაცი ავიყვანეთ დამხმარე ძიძად. ასევე ამ თანხებში არ შედის დასვენება არდადეგების დროს, ორჯერ მაინც წელიწადში... ასეთი მაგალითი კიდევ ბევრია. ასე რომ, თავად განსაჯეთ.

- თქვენ აღნიშნავთ, რომ უგულავა შვილს, გარდა ფინანსური, არც მორალურ არც სულიერ დახმარებას არ უწევდა. საინტერესოა, როგორი იყო უგულავა მეუღლის ამპლუაში. თქვენც განიცდიდით ყურადღების დეფიციტს? როგორი იყო ის, როგორც მეუღლე და მამა, თუ შეიძლება უფრო დეტალურად რომ გვითხრათ.

- დიახ, თემური მხოლოდ ფინანსურად ეხმარებოდა ლუკას. თუმცა, ეს არ არის საკმარისი. ყველა ბავშვს, სრულფასოვანი განვითარებისთვის, სჭირდება მზრუნველი მშობელი, მშობლის განუყოფელი დრო და ყურადღება, რაღაც პერიოდულობით მაინც და არამხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფა. ამ მხრივ, ლუკას გაცილებით მეტი სჭირდებოდა მამისგან, ვიდრე ჰქონდა, ან აქვს. სხვა დანარჩენს რაც შეეხება - ანუ ჩემი და თემურის თანაცხოვრების დეტალებს - ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

- რა არის თქვენი სამომავლო გეგმა. საქართველოში საქმის წაგების შემთხვევაში, რას გირჩევენ თქვენი ადვოკატები?

- ჩემი გეგმა იყო და არის დამოუკიდებელი ცხოვრება, ფინანსურადაც. არანაირად არ მსურს ყოფილი ქმრის კმაყოფაზე ყოფნა და არც ახლა ვაპირებ. მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი მოლაპარაკებით ვცადე მორიგება, მან ამჯობინა სასამართლოს გზით გადაეწყვიტა ეს საკითხი. საერთოდ, არ მიფიქრია და არც კი დამიშვია, რომ სასამართლო ასეთ გაუგონარ ნაბიჯს გადადგამდა და სრულიად არაფერს არ დამიტოვებდა.

- სასამართლო დავა, თქვენი მხრიდან ერთგვარი შურისძიებაა თუ მხოლოდ ბავშვის ინტერესების დაცვა?

- სიმართლე გითხრათ, მე არ ვდაობ. თემური დაობს და ცდილობს, ყველაფერი რაც ერთად შევქმენით, რაღაც ხერხებით მთლიანად თავისთვის დაიტოვოს. მე ვიცავ ჩემს უფლებებს, დავიტოვო ის, რაც მეკუთვნის კანონით. მე არ ვაპირებ მას უაპელაციოდ მივცე საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს რა მისცეს და რა არა თავის ცოლს. ეს მისი გადასაწყვეტი არაა, ამას კანონი არეგულირებს და თან ძალიან მკაფიოდ.

- იცნობთ იმ გოგონას, ვისზეც თემურ უგულავა ახლა აპირებს დაქორწინებას? შეხვედრიხართ მას? როგორ აგიხსნათ მეუღლემ თქვენთან განქორწინების აუცილებლობა, როგორი იყო თქვენი პოზიცია? ეს დაძაბული საუბარი იყო, თუ ვითარებას გაგებით შეხვდით?

- კი, მე ვიცნობ ნინის. შეხვედრივარ და სულაც არ მიკვირს ის, რომ თემურს ნინი მოეწონა. ჩვენი განქორწინება არ მომხდარა მის გამო. განქორწინების აუცილებლობა ჩემთვის არავის აუხსნია. მე თავისუფალი აზროვნებით გამზარდეს და ბავშვობიდან მასწავლიდნენ, რომ ტყუილში ცხოვრება არ არის კარგი, როცა გავიგე, რომ თემური მღალატობს, ჩვენ დავიშალეთ. ამ ვითარებას, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად გაგებით მოვეკიდე.

„მე ვიცნობ ნინის. შეხვედრივარ და სულაც არ მიკვირს ის, რომ თემურს ნინი მოეწონა. ჩვენი განქორწინება არ მომხდარა მის გამო“

- დაბოლოს, მკითხველს რომ მკაფიოდ განუმარტოთ, რას ითხოვთ თქვენ, ქონების რა ნაწილის მიღების იმედი გაქვთ?

- ვითხოვ, მხოლოდ იმას, რაც კანონით ეკუთვნის ნებისმიერ მეუღლეს განქორწინებისას - ქორწინების პერიოდში შეძენილი, შექმნილი და ღირებულებაგაზრდილი ქონების ნახევარს. ეს არის ის, რაც მეკუთვნის კანონით. მოსამართლე ებანოიძემ გადაწყვიტა, რომ ის კანონზე მაღლა დგას და იმ ქონებიდან, რომელიც ჩვენი თანაცხოვრებისა და ქორწინების პერიოდში შევქმენით, საერთოდ არაფერი მომაკუთვნა, რაც მართლაც უპრეცედენტო გადაწყვეტილებაა და, ალბათ, ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს გაუჩენს ეჭვს მოსამართლის არც თუ ისე ალტრუისტულ მოტივებთან დაკავშირებით. რაც შეეხება იმედს, იმედი მაქვს, სააპელაციო სასამართლო გაუძლებს ცდუნებას (რომლის მცდელობასაც, ეჭვი არ მეპარება, ექნება ადგილი) და არ დაუშვებს ქალის მიმართ უსამართლობას და არ დაჩაგრავს, როგორც ეს გააკეთა პირველი ინსტანციის სასამართლომ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისის „უჯრედული თერაპიის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი“

„შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტის პირველი ტიპის მკურნალობა, ღვიძლის უჯრედების მკურნალობა, ზურგის ტვინის, თავის ტვინის დაავადებების მკურნალობა“

EXCLUSIVE

სალომე ჯოლია

9 ოქტომბერს, სასტუმრო Holiday Inn-ში გაიმართა თბილისის „უჯრედული თერაპიის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი“. სიმპოზიუმი ერთდღიანი იყო და მასში ათი მომხსენებელი მონაწილეობდა. შვიდი მომხსენებელი უცხოელი იყო, ხოლო სამი – ქართველი.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო უჯრედული თერაპიის თანამედროვე მიღწევები შაქრიანი დიაბეტის, ღვიძლის, გულისა და ნერვული სისტემის დაავადებების მკურნალობაში, ასევე განხილული იყო ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების გამრავლებისა და კლინიკაში გამოყენების ასპექტები.

გოჩა შათირიშვილი, ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების ბანკის – „ჯეოქორდის“ სამედიცინო დირექტორი:

„ეს არის თბილისის „უჯრედული თერაპიის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი“. უჯრედული თერაპია, მედიცინის მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც ვითარდება. ის ითვალისწინებს ტრანსპლანტაციას ისეთი დაავადებებისთვის, როგორიც არის ლეიკემია, ძვლის ტვინისა და ჭიპლარის სისხლის ტრანსპლანტაცია. ამასთანავე, შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტის პირველი ტიპის მკურნალობა, ღვიძლის უჯრედების მკურნალობა, ზურგის ტვინის, თავის ტვინის დაავადებების მკურნალობა და ასევე, ღვიძლის ციროზის მკურნალობაც. ამ ყველაფერს მოიცავს ჩვენი სიმპოზიუმი. აქ იქნება მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევების წარდგენა. ქართველი სამეცნიერო საზოგადოების წინაშე გამოჩნდება ის პერსპექტივები და მიღწევები, რომლებიც სადღეისოდ არის ამ დარგში.

ძალიან მნიშვნელოვანია სამი რამ: პირველი – ცნობიერების ამაღლება ქართველ ექიმებში. ღეროვანი უჯრედები არის ძალიან ბევრი დაავადების განკურნების საშუალება. მოხსენება იქნება წარმოდგენილი გულის კუნთ- ის სინჯარაში შე- ქმნაზეც, ჩვენი გერმანელი კო- ლეგის მიერ არის შექმნი- ლი კუმშვადი კუნთი. მეორე – მნიშვნელ- ოვანი თემა არის ის, რომ განვითარდეს და ინტერესი გაჩნდეს ამ დარგის მიმართ ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერებში, სტუდენტებსა და ბიოლოგებში. მესამე – ქართველები ძალიან არ უნდა ჩამორჩნენ იმ ნაბიჯებს, რომელსაც მსოფლიოს მეცნიერება დგამს ამ მიმართულებით“.



სიმპოზიუმზე მოხსენება წარმოადგინეს: ჰანოვერის, მიუნხენის, ბელგიის, ბრიუსელის, შვეიცარიის, ჟენევის, შვედეთის, სტოკჰოლმის, ავსტრიისა და კანადის ცნობილმა ექიმებმა და მეცნიერებმა, ასევე, ქართველმა სპეციალისტებმა.

რობერტ ლანგერი, ელიზაბეთ ინენის საავადმყოფო, ლინცი, ავსტრია:

„მე წარმოვადგენ უნგრეთს. როდესაც ჩვენ შევუერთდით ევროიმპლანტის პროგრამას, მოვიწვიეთ სხვადასხვა ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნებიდან და გავიგეთ მათი აზრი, როგორ ატარებენ ამ პროგრამებს თავიანთ ქვეყნებში. ავიღეთ საუკეთესო ნაწილი და დავნერგეთ ჩვენს ქვეყანაში. მსგავსი სიმპოზიუმი ადრეც ჩამიტარებია. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან რთული და ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი სიმპოზიუმების ჩატარება. წლების განმავლობაში შეიძლება იმუშაოთ კონკრეტულ სფეროზე, მაგრამ საზოგადოება იმდენად დაკავებულია, რომ სირთულეა აუდიტორიის შეკრება. ეს შეიძლება წლებ- ის განმავლობაში ვერ მოხერხდეს. ამ სახის შეხვედრები ძალიან სასარგებლო, ინ- ფორმაციული და აუცილებელიც ია. ამიტომ, უპ- იანი იქნება, რაც შეიძლება ხშირად ჩატარდეს“.

აღნიშნული სიმპოზიუმის ორგანიზატორია მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი, რომელმაც, ორგანიზებასთან ერთად, სიმპოზიუმის ფინანსური მხარდაჭერაც უზრუნველყო.

კონსტანტინე მარდალეიშვილი, ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი:

„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ქართულ მედიცინაში. ჩვენ ძირითადად განვიხილავთ უჯრედული ტექნოლოგიებისა და უჯრედული ტრანსპლანტაციის საკითხებს. ყველა მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს არის 21-ე საუკუნის მედიცინა. მთავარია ის, რომ ბოლო წლებში, ღეროვანი უჯრედების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა მრავალი პათოლოგიის მკურნალობა. ღეროვანი უჯრედები გამოიყენება დიაბეტის, გულის კუნთის დაავადებების დროს და ონკოლოგიური პაციენტების სამკურნალოდ. ეს შეხვედრა ემსახურება იმას, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი მიღწევები და აზრები, იმის შესახებ, როგორ წარვმართოთ მომავალში მსგავსი მკურნალობის სტრატეგიები. ეს შეხვედრა ზოგადი ხასიათისაა, თუმცა აუცილებელია გაცნობისთვის. ვფიქრობთ, რომ მსგავსი კონფერენციები ჩავატაროთ ორ წელიწადში ერთხელ, სადაც განიხილება სხვადასხვა კონკრეტული თემები, იქნება ეს ონკოლოგია, ჰემატოლოგია, ღვიძლის ტრანსპლანტაცია, გულ-სისხლძარღვთა აღდგენა და ა.შ. აგრეთვე, ვაპირებთ კონფერენციების გამართვას ღეროვანი უჯრედების ტრანსპლატაცია-გამოყენებაზე“.

თბილისის „უჯრედული თერაპიის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის“ მხარდამჭერია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ევროპის ორგანოთა ტრანსპლანტაციის საზოგადოება (ESOT).

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თბილისობა-2015“

სალომე ჯოლია

16 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, როცა ცნობილი გახდება „თბილისის საპატიო მოქალაქის“ ვინაობა, სტარტს აიღებს თბილისობის დღესასწაული – „თბილისობა-2015“. წელს, თბილისობის დღესასწაული ოთხი დღე გაგრძელდება და დატვირთული იქნება სხვადასხვა სახის ღონისძიებებით. ღონისძიებების ცენტრალური მდებარეობა იქნება რიყის ტერიტორია, სადაც სხვადასხვა ჟანრის, თემატიკისა და „ვიზუალის“ წარმოდგენები გაიმართება. გარდა რიყის ტერიტორიისა, ღონისძიებები მოეწყობა შარდენის ქუჩაზეც. თბილისობის დღესასწაულის ორივე დღეს დაასრულებს გალა კონცერტი. 17 ოქტომბრის ღამის გალა კონცერტი იქნება "მუსიკალური ტრანსფორმაციების 2 საუკუნე თბილისში", რომელიც მიშა მდინარაძის საავტორო პროექტია. ხოლო მეორე დღეს გაიმართება გალა კონცერტი, სადაც ქართული ესტრადის მომღერლები შეასრულებენ სიმღერებს „თბილისზე“.

იმის გასარკვევად, კონკრეტულად რა ტიპის ღონისძიებებია დაგეგმილი წლევანდელ „თბილისობაზე“, დავუკავშირდით მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს **ია მაქაცარიას**.

„წლევანდელი თბილისობა უკვე განსხვავებულია, იქიდან გამომდინარე, რომ არასდროს ჩატარებულა კონკურსი, თუ რა სურთ თბილისელებს“

– ქალბატონო ია, რა ტიპის ღონისძიებები მოეწყობა „თბილისობა-2015“-ის ფარგლებში?

– თბილისობის დღესასწაულზე გაიმართება კულინარიის ფესტივალი, რომელიც საქართველოში პირველად ტარდება და ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იქნება. კვების ნაწილში წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ქვეყნების სამზარეულო, ასევე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სამზარეულო. ამას თან ერთვის შემოდგომის ფესტივალი, რადგან, ტრადიციულად, თბილისობის ღონისძიება შემოდგომაზე იმართება და რაიონებიდან ჩამოდის სხვადასხვა პროდუქტი. შემოდგომის ნობათისთვის განკუთვნილი იქნება სპეციალური სივრცე, სადაც გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. გარდა ამისა, წარმოდგენილი იქნება ხილის, თაფლის, ყველისა და ა.შ ასორტიმენტები. გვექნება, ასევე, ღვინის ფესტივალი.

გარდა ამ ღონისძიებებისა, დაგეგმილია კულტურული ღონისძიებების კასკადი.

პირველ და მეორე დღეს გვაქვს რამდენიმე დღის სცენა და ღამის გალა კონცერტის სცენა. პირველ დღეს, არაერთი ანსამბლის შესრულებით, გაიმართება ფოლკლორული კონცერტი. მეორე დღეს კი, ფოლკლორულ კონცერტს ეთნო-ჯაზკონცერტი ჩაანაცვლებს. რიყის ტერიტორიაზე მოეწყობა ახალგაზრდული სივრცე, სადაც ორივე დღის მანძილზე იქნება ახალგაზრდული „ლაივ“ კონცერტები.

„შესაბამისად, დელეგაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან წელსაც ესტუმრებიან თბილისს ამ დღესასწაულის აღსანიშნავად“

გარდა ამისა, ტრადიციულად, წელსაც ავირჩევთ „თბილისის საპატიო მოქალაქეს“.

– რა კრიტერიუმებით ხდება „თბილისის საპატიო მოქალაქის“ არჩევა?

– საპატიო თბილისელის დაჯილდოება თბილისობის დღესასწაულის განუყოფელი ნაწილია. არსებობს ამის ტრადიცია. დაარსების დღიდან მოყოლებული, ეს ტრადიცია გრძელდება და ყოველწლიურად ირჩევენ „საპატიო თბილისელს“. არსებობს დებულება, სადაც დაწერილია, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ესა თუ ის პიროვნება ამ სტატუსის მოსაპოვებლად და, როგორც წესი, საინიციატივო ჯგუფები, საზოგადო მოღვაწეები და ფიზიკური პირები მოგვმართავენ წერილობით. წლის განმავლობაში გროვდება მსგავსი ტიპის წერილები და შემდგომ იკრიბება სპეციალური კომისია, რომელიც თითოეულ წერილს განიხილავს და ამ წერილების საფუძველზე ხდება საპატიო მოქალაქის არჩევა. მთავარი კრიტერიუმია ქალაქის წინაშე გაწეული დამსახურება, წვლილი, ღვაწლი, მიღწევები. ქალაქისთვის დამახასიათებელი პროფესიული, პიროვნული, თუ სხვა ტიპის მიღწევები.

– რამდენი საპატიო მოქალაქის არჩევაა შესაძლებელი და მხოლოდ თბილისელებს ენიჭებათ ეს სტატუსი?

– დებულებით არ არის შეზღუდული საპატიო მოქალაქეთა რაოდენობა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, წლების მიხედვით, სხვადასხვა რაოდენობის საპატიო მოქალაქეს ირჩევენ. რასაკვირველია მხოლოდ თბილისელს არ ენიჭება ეს სტატუსი. მაგალითად, შარმან რიჩარდ ნორლანდი გახდა თბილისის საპატიო მოქალაქე. ის არ არის თბილისელი, მაგრამ, როგორც ელჩს, ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის განვითარებაში. როგორც უკვე აღვნიშნე, საპატიო მოქალაქის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, იკრიბება კომისია. კომისიაზე ყველა გამოხატავს აზრს და შემდეგ, კენჭისყრის საშუალებით, დააფიქსირებენ საკუთარ პოზიციას – ვინ უჭერს მხარს ამა თუ იმ მოქალაქეს. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, შემოიტანოს განაცხადი და ყველას აქვს შანსი, გახდეს თბილისის საპატიო მოქალაქე.

„დაჯილდოების ცერემონიის ფარგლებში შედგება ასევე, დიდ ეკრანზე „თბილისზე მზრუნველის“ კანდიდატების შესახებ გადაღებული ფილმების ჩვენება“

– კომისიას ვინ წარმოადგენს?

– კომისიას წარმოადგენს მერია და საკრებულო.

– თბილისობის დღესასწაულზე იქნებიან თუ არა მონწვეული უცხოელი სტუმრები?

– თბილისის მერია, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, მუდმივად იწვევს დამეგობრებული და პარტნიორი ქვეყნებიდან დელეგაციებს. შესაბამისად, დელეგაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან წელსაც ესტუმრებიან თბილისს ამ დღესასწაულის აღსანიშნავად.

– ელოდება თუ არა რამე განსაკუთრებული თბილისობის დღესასწაულზე მოსულს და რით განსხვავდება ეს თბილისობა წინა წლებში ჩატარებული თბილისობისგან?

– წლევანდელი თბილისობა უკვე განსხვავებულია, იქიდან გამომდინარე, რომ არასდროს ჩატარებულა კონკურსი, თუ რა სურთ თბილისელებს, ქალაქის გულშემატკივრებს ნახონ თბილისობის დღესასწაულზე. წელს თბილისის მერიამ კონკურსი გამოაცხადა სახელწოდებით „ჩემი თბილისობა“. სულ შემოვიდა 21 განაცხადი, საიდანაც 3 კონცეფცია შეირჩა, რომელიც შემდგომ სოციალურ ქსელში განთავსდა და ხმის მიცემის საშუალებით გამოვლინდა გამარჯვებული. ამ სამი საუკეთესო კონცეფციიდან ამოკრეფილი თემები დაჯგუფდა, შეჯამდა და შედგა წლევანდელი პროგრამა. მინდა აღვნიშნო, რომ წინა წლიდან არსებობს „თბილისზე მზრუნველის“ ნომინაცია, რომელიც სპეციფიკური და საინტერესოა, ის სხვა ტიპისა და შინაარსის შემცველია. შეიძლება ითქვას, რომ წელს მას აბსოლუტურად განსხვავებული პროექტის სახე აქვს. პროექტის მიზანია საზოგადოებას გააცნოს ადამიანები, რომლებიც თავისი მზრუნველობითა და ცხოვრების წესით ქმნიან ჩვენი ქალაქის ისტორიას.

2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიიდან გამომდინარე, წლევანდელი კანდიდატები ძირითადად არიან ადამიანები, რომლებმაც თავისი უდიდესი წვლილი შეიტანეს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში და სამოქალაქო სოლიდარობის უპრეცედენტო მაგალითი აჩვენეს.

საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა გაიცნოს ეს ადამიანები მათზე გადაღებული მოკლემეტრაჟიანი, დოკუმენტური ფილმების მეშვეობით და სატელეფონო ზარის საშუალებით მისცენ ხმა სასურველ კანდიდატს.

ხალხის რჩეულის გამოვლენა და „თბილისზე მზრუნველის“ დაჯილდოება 2015 წლის 18 ოქტომბერს, 18:30 საათზე, რიყის პარკში მოხდება.

დაჯილდოების ცერემონიის ფარგლებში შედგება ასევე, დიდ ეკრანზე „თბილისზე მზრუნველის“ კანდიდატების შესახებ გადაღებული ფილმების ჩვენება.

თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით გადაიღეს კლიპი, რომელსაც ფონად ადევს ნიაზ დიასამიძის სიმღერა. შეიძლება ითქვას, რომ ეს კლიპი თბილისობის დღესასწაულის ერთგვარი პრომოა. ის უკვე ტრიალებს სატელევიზიო ეთერში და მისი მეშვეობით საზოგადოებას შეუძლია გაიგოს, კონკრეტულად რომელ ტერიტორიაზე და რა დროს იმართება „თბილისობა 2015“-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები.

ამასთან ჩვენს მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ სრული და ამომწურავი ინფორმაცია ქალაქ თბილისის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდისა (http://tbilisi.gov.ge/) და სოციალური ქსელის (facebook.com/თბილისის მერია / Tbilisi City Hall - #ესჩვენითბილისობაა #თბილისობა2015) მეშვეობით.

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N40 (341) ორშაბათი, 12 ოქტომბერი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

„წლევანდელი თბილისობა უკვე განსხვავებულია, იქიდან გამომდინარე, რომ არასდროს ჩატარებულა კონკურსი, თუ რა სურთ თბილისელებს“

exclusive

„თბილისობა-2015“

„ასეთი რაღაცები ხდება ხოლმე, პირველი ხომ არ არის. უბრალოდ, ისე განვითარდა მოვლენები, გადავწყვიტე, რომ ამ ეტაპზე ასე ჯობდა“

exclusive

რატომ დატოვა „ჩემი ცოლის დაქალები“ ლელა მეგურიშვილმა

exclusive

„მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირი მოლაპარაკებით ვცადე მორიგება, მან ამჯობინა, სასამართლოს გზით გადაეწყვიტა ეს საკითხი“

ბიზნესმენი უგულავა სკანდალში ეხვევა, ინტერვიუ გაია დავითაიასთან

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების სამყარო

exclusive

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება